ტარას შევჩენკო მშობლიური უკრაინის ჭეშმარიტად „თანამდევი სულია“. იგი შორიდან კი არ სწავლობდა საკუთარი ერის ცხოვრებას, არამედ ცხოვრობდა მისი ცხოვრებით, თავს დასტრიალებდა უკრაინას გულით, ფიქრებით, ოცნებებით („მე მივჰქრი... ყველაფერს თავი დავანებე, რომ კვლავ უკრაინის ვნახო სამანები...“, „თითქოს თვითონაც გადავფრინდები თუნდაც საათით...“).

„ის იყო ყმის შვილი და იქცა სულიერი საუფლოს მბრძანებლად. ის იყო ყმა და იქცა ბუმბერაზად საკაცობრიო კულტურის საუფლოში.“

ის იყო თვითნასწავლი და უჩვენა ახალი, ნათელი და თავისუფალი გზები პროფესორებსა და მწიგნობარ სწავლულებს.

ათ წელიწადს ტანჯავდა მას რუსულ ჯარში წვრთნის სიმძიმე, მაგრამ რუსეთის თავისუფლებისთვის გააკეთა უფრო მეტი, ვიდრე ათმა ძღვევამოსილმა არმიამ“ (ი. ფრანკო).

დღეს ტარას შევჩენკო მთელ ცივილიზებულ სამყაროს ეკუთვნის. პოეტის ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის დასტურია ისიც. რომ მისი ძეგლები დგას არა მარტო მშობლიური დნიპროს, არამედ მოსკვა-რეკის, პოტომაკისა და სენის ნაპირებზეც. დგას იგი პაწაწინტელა იმერული ღელის ჩიხურას ნაპირზედაც, სადაც „კობზარის“ პირველად გამოსვლის წელს ქვეყნიერებას მოვევლინა დიდი აკაკი წერეთელი. (არც ერთ მწერალს, ალბათ, მსოფლიოში არ უდგას იმდენი ძეგლი, რამდენიც შევჩენკოს; საკმაოდ მოძველებული მონაცემებით მას ედგა ხუთ-ასამდე ძეგლი, ახლა კი მათი რიცხვი უეჭველად მეტი იქნება).

სანამ ლეგენდად და მარადისობის მკვიდრად იქცეოდა, ტარას შევჩენკოს, როგორც ნებისმიერ ხორციელს, მიწიერი ყოფის გზაც უნდა გაეველო. იგი დაიბადა 1814 წლის (მარტს ზვენიგოროდის მაზრის დღევანდელი ჩერკასის ოლქის სოფელ მორინცაში, ყმა გლეხების გრიგოლ ივანეს ძე შევჩენკოსა (1781–1825) და ეკატერინე იაკიმეს ასულ ბოიკოს (1783–1823) ოჯახში.

გადავაველოთ თვალი წარსულს და ვნახოთ კიდევ რითია საინტერესო მსოფლიოს ისტორიაში ტარას შევჩენკოს გაჩე-





ნის უამი? სწორედ ამ წელს ქვეყნიერებას მოეგლინა ასევე მიხეილ ლერმონტოვი, ალექსანდრ პუშკინმა გამოაქვეყნა თავისი პირველი ნაწარმოები „მეგობარ მელექსეს“, ჯორჯ გორდონ ბაირონმა გამოსცა პოემა „მეკობრე“, უფლის წინაშე წარსდგნენ გერმანელი ფილოსოფოსი იოჰან გოტლიბ ფიხტე და ნაპოლეონ ბონაპარტეს პირველი მეუღლე ჟოზეფინა ბოგარნე; იმავე წელს შედგა ნაპოლეონის ექვსდღიანი ომი, რომლის მერეც იგი კუნძულ ელბაზე აღმოჩნდა; სიმონ ბოლივარმა საკუთარი არმიის ნარჩენებით დატოვა კარაკასი და კარიბის ზღვის სამხეთ სანაპიროსკენ დაიხია, ინგლის-ამერიკის ომის მსვლელობისას ბრიტანეთის დესანტმა ხელთ იგდო ვაშინგტონი, დაწვა კონგრესი და კაპიტოლიუმი, ხოლო გენტის ხელშეკრულების თანახმად ეს ომი დასრულდა; იმავე წელს მექსიკის პირველი კონსტიტუციის შესაბამისად ქვეყანა რესპუბლიკად გამოცხადდა. იყო, ალბათ, სხვა, მეტნაკლებად მნიშვნელოვანი მოვლენებიც, მაგრამ ეპოქის ზოგადი სურათის გადმოსაცემად, ვფიქრობ, ესეც საკმარისია. ერთადერთი, რისი დამატებაც აუცილებლად მიმაჩნია, ის გახლავთ, რომ ესაა რუსეთის იმპერიაში ბატონყმობის ზეობის ხანა, როცა ძლიერთა ამა ქვენისათა კაცის სიცოცხლე, მისი ადამიანური ღირსებები ჩირად უღირთ. შევჩენკოს არ გაუმართლა — იგი ყმად და მოჯამაგირედ დაიბადა; მისი მებატონე, ლიფლიანდიელი ბარონების შთამომავალი, გენერალ-ანშეფი, მოგვიანებით კი სენატორი ვასილ ენგელგარდტი უკრაინაში ფლობდა 160 ათას დესეტინა მიწას და 50 ათას ყმას. იმ უკანასკნელთაგან ერთ-ერთს ბედად ეწერა არა მხოლოდ საკუთარი, არამედ მჩაგვრელის სახელის გაუკვდავებაც. მემამულის გარდაცვალების შემდეგ მისი უზარმაზარი მემკვიდრეობა ჩვეულებისამებრ შთამომავლებმა დაინაწილეს. შევჩენკოს მშობლიური მხარე ზვენიგოროდის სხვა სოფლებთან ერთად ერგო გარდაცვლილი მაგნატის ნაბუშარს პავლე ენგელგარდტს, რომელიც გვარდიის პორუჩიკი და ვილნოს (ამჟამინდელი ვილნიუსის) სამხედრო გუბერნატორის რიმსკი-კორსაკოვის ადიუტანტი გახლდათ.

„პავლე ენგელგარდტი იყო თუ ნიმუში არა, ყოველ შემთხვევაში, მნიშვნელოვანი წარმომჩენი იმ „მოზაიკისა“, რომლითაც მოხატულია თანამედროვე უკრაინა. მამით თითქოს გერმანელი, მართლმადიდებლური აღმსარებლობისა, ენით ან პოლონელი ან ფრანგი, სამსახურით — რუსეთის ერთგული

ქვეშევრდომი ოფიცერი, ადათ-წესებით — კოსმოპოლიტი მებატონე“ (ო. კონისკი).

11 წლის ტარასი უკვე დედ-მამით ობოლი იყო. დედა ცხრა წლისას გარდაეცვალა, წვრილშვილიანმა მამამ კი ცოტაოდენი გლოვის შემდეგ სხვა ცოლი შეირთო, რომელმაც სამი ობოლი შვილიც თან მოიყოლა. მოგვიანებით მოთხრობაში „თავადის ქალი“ ტარასი დაწერს: „ვისაც შორიდან მაინც დაუნახავს დედინაცვალი და ეგრეთწოდებული გერები, მას უსათუოდ უნახავს საზიზღრად მოხეიბე ჯოჯოხეთი. საათიც კი არ გავიდოდა ცრემლებისა და ბავშვების ჩხუბის გარეშე. საათი არ გავიდოდა მამასა და დედინაცვალს შორის შეხლა-შემოხლისა და ლანძღვა-გინების გარეშე. მე დედინაცვალს განსაკუთრებით ვძულდი, რადგან ხშირად ვაწვალებდი მის დალეულ სტეფანკოს.“

ორ წელიწადში დედას მამაც მიჰყვა და და დარჩა პატარა ტარასი ცისა და მიწის ანაბარა. უდედმამო ბიჭუნა ხან მედავითნეს ედგა წყლის მომტანად, ხან ხუცესს ჰყავდა მეხრედ. მედავითნესთან მას უკვე ნასწავლი ჰქონდა წერა-კითხვა, ახლა ხატვის უინი აეკვიტა. ხატავდა ცარციტა და ნახშირით, უხეში ნაცრისფერი ქალაღდისა თუ ფანქრის მოხელთება ხომ მისთვის დღესასწაული იყო. ცხოვრობდა მოფამფალეებულ ქოხში, რომელსაც თვითონ ასე გვიხატავს: „...ლატაკი, ძველი თეთრი ხატა ჩამუქებული ისლის სახურავითა და შავი საკვამურით, ოდის შორიახლო ლოყებლაჟღაჟა ნაყოფიანი ვაშლის ხე დგას, გარშემო კი ყვავილნარია, ჩემი დაუვიწყარი დის რჩეული, ჩემი ჭირთამთმენი, ჩემი ნაზი გადიისა! ჭიშკართან კი დგას კენწეროგამხმარი და ტოტებგაშლილი ძეწნა, რომლის იქითაც საბძელია...“.

მედავითნე, რომელთანაც ტარასი წერა-კითხვას სწავლობდა, გამოუსწორებელი ღოთი და გულქვა დესპოტი გამოდგა. მან ჩემში გამოიწვია სამუდამო ზიზღი და სიძულვილი ერთი ადამიანის მიერ მეორისადმი ძალადობის მიმართ, — იხსენებდა იგი მოგვიანებით.

1829 წელს პავლე ენგელგარდტი გაემგზავრა ვარშავაში, სადაც მისი ულანთა პოლკი იდგა. მებატონეს, რომელსაც ალალით თან მიჰქონდა სამხედრო ცხოვრებისთვის აუცილებელი ქონება, სხვა შინაყმებთან ერთად პირისფარეშად ახლდა თხუთმეტი წლის ტარასიც. გზა საკმაოდ შორი იყო, ამიტომ ყმაწვილს საშუალება მიეცა კარგად შეეველო თვალი არა

მარტო მშობლიური უკრაინისთვის, არამედ ბელორუსისა და ლიტვისთვისაც, სადაც ისინი საკმაოდ ხანს დაყოვნდნენ.

ვილნო იქცა მომავალი ხელოვანისთვის პირველ არასლავურ ქალაქად, რომელიც რუსეთის მფლობელობაში ყოფნის მიუხედავად კარგად ინარჩუნებდა თვითმყოფად, ეროვნულ სახეს. მთავარი კი მაინც ის იყო, რომ ხატვას მოწყურებულმა ბიჭუნამ სწორედ ვილნოში მიიღო პროფესიონალი მხატვრის პირველი გაკვეთილები. მებატონემ, რომელმაც ყმა ბიჭუნაში აშკარა ნიჭიერებას ხედავდა, ალბათ, იფიქრა, ამისგან გვარიანი კარის მხატვარი გამოვაო და მის მისწრაფებას მხარი დაუჭირა. სანამ ისინი ვილნოში იმყოფებოდნენ, პოლონეთის აჯანყებაც მოხდა, რამაც შევჩენკოზე წარუხოცელი შთაბეჭდილება დატოვა. მისი მომავლისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა იმასაც, რომ ენგელგარდტს ვარშავის ნაცვლად პეტერბურგში ჩასვლა უბრძანეს. ალალმა კურსი იმპერიის სატახტო ქალაქისკენ აიღო. სადაც შევჩენკოს ყმობიდან განთავისუფლება და თავისუფალი შემოქმედებისკენ მიმავალი გზა ელოდა.

ენგელგარდტმა თავისი ხელის ბიჭი მხატვარ-დეკორატორ ვასილ შირიაევის სამხატვრო არტელში მიაბარა. მოითქვა სული ჭაბუკმა, მიეცა გასაქანი მის ფანტაზიას. იგი არ იფარგლება მარტო მასწავლებლის დავალებით, მუშაობს დამოუკიდებლად, დადის საზაფხულო ბაღში, ნატურიდან იხატავს მარმარილოს ქანდაკებებს; სწორედ აქ გაიცნო მან სამხატვრო აკადემიის სტუდენტი უკრაინელი ივან სოშენკო, რომლის მეოხებითაც დაუახლოვდა რუსული ინტელიგენციის შესანიშნავ წარმომადგენლებს.

„ტარასი დამ-დამობით მიდიოდა საზაფხულო ბაღში, რათა ქანდაკებები გადმოეხატა და მისთვის საყვარელ ოცნებებს მისცემოდა, დღესასწაულებზე კი ერმიტაჟში ფერწერის დიად ქმნილებებს აჯაჭვავდა მზერას. მისი სული აკადემიისკენ იღტვოდა. საამდროოდ იგი უკვე საკმაოდ კარგად ხატავდა აკვარელით“, — იგონებდა ივან სოშენკო.

არტელში შევჩენკომ მალე მიიპყრო მასწავლებელთა და მოსწავლეთა ყურადღება. მისი სახელი ცნობილი გახდა პეტერბურგის საზოგადოებისთვის, უპირველესად კი უკრაინელთა სათვისტომოსთვის.

1838 წლის მაისიდან ჭაბუკი ტარასი სწავლას იწყებს პეტერბურგის სამხატვრო აკადემიის ისტორიული ფერწერის ფაკულტეტზე, რომელსაც კარლ ბრიულოვი ხელმძღვანელობდა.

დიდი მხატვრის კლასში მოხვედრაზე ბევრი დამწყები ხელოვანი ოცნებობდა, მაგრამ ეს არც თუ ისე იოლი იყო. ტარასს პროტექცია არ დასჭირვებია — მაესტრომ უკვე იცოდა მომავალი შეგირდის არა მარტო ბიოგრაფია, არამედ მისი უჩვეულო ნიჭიერებაც. მართალია, ყოფილი სოციალური სტატუსი სტუდენტობაშიც უშლიდა ხელს მომავალ გენიოსს — აკადემიაში იგი “გარეშე მოსწავლის” უფლებით იყო ჩარიცხული, რას იმას ნიშნავდა, რომ სახელმწიფო კმაყოფა მას არ ეხებოდა და არსობის პურზე უწინდებურად თავადვე უნდა ებრუნა. შევჩენკომ სწრაფად აითვისა პროფესიული უნარ-ჩვევები, ჩაწვდა მხატვრობის ბევრ საიდუმლოს. გაიწაფა ხელი სხვადასხვა ჟანრებში და შთამბეჭდავ წარმატებებსაც მიაღწია — სწავლის პერიოდში სხვადასხვა ნამუშევრებისთვის იგი სამგზის დააჯილდოვეს ვერცხლის მედლით.

თავის ავტობიოგრაფიაში (1860) ტარას შევჩენკო წერდა: „1838 წელს სოშენკომ ჩემი თავი წარუდგინა სამხატვრო აკადემიის კონფერენც-მდივანს ვ. ი. გრიგოროვიჩს თხოვნით — დავეხსენი ჩემი საწყალი ბედისგან. გრიგოროვიჩმა ეს თხოვნა ვ. ა. შუკოვსკის გადასცა. იგი წინასწარ შეევაჭრა ჩემს მემამულეს და თხოვა კ. პ. ბრიულოვს დაეხატა მისი, შუკოვსკის, პორტრეტი, რათა იგი ლატარიაში გაეთამაშებინათ. დიდი ბრიულოვი მაშინვე დათანხმდა და მალე შუკოვსკის პორტრეტიც მზად იყო. შუკოვსკიმ გრაფ მ. ი. ვიელგორსკის მეოხებით მოაწყო ლატარია — 500-მანეთიანი ასიგნაციებით და ამ ფასად იქნა ნაყიდი ჩემი თავისუფლება 1838 წლის აპრილის 22-ს“.

ამ დაუვიწყარი მოვლენის მეორე წლისთავზე, 1840 წელს სანკტ-პეტერბურგში იბეჭდება 26 წლის ტარას შევჩენკოს ლექსთა პირველი კრებული „კობზარი“, რომელშიც სულ რვა ლექსი შედიოდა.

ბარემ აქვე ვიტყვი იმასაც, რომ ამ სახელწოდებით ავტორმა კიდევ ორჯერ, 1844 და 1860 წლებშიც გამოსცა თავისი ლექსები. ერთხელ სცადა ახალი გამოცემისთვის „პოეზია“ დაერქმია, მაგრამ ცენზურამ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, შენ სახალხო მთქმელი ხარ და ეს უფრო შეგშენის, „პოეზია“ კიდევ პროფესიონალთა საქმეაო. ასე, თითქოს მისდა უნებურად იქცა აწ უკვე გაღეგენებული სათაური ტარას შევჩენკოს უტკნობი პოეტური შემოქმედების სიმბოლოდ, თვით პოეტის მეტსახელედაც.





პოეზიამდე, სიტყვიერ ხელოვნებამდე ტარას შევჩენკო მხატვრობიდან, უსულო საგნებიდან, ფუნჯის დიდოსტატების ტილოთა რეპროდუქციებიდან, პალიტრაზე განფენილი ფერებიდან მივიდა. მან იგრძნო სათქმელისა და განცდების უჩვეულო მოზღვავება, შინაგანი ამბოხი და შემოტევა, რაც აუცილებლად ქაღალდზე უნდა გადაეტანა, სხვებისთვისაც გაეზიარებინა, შიკრიკებად დაეგზავნა სიმართლეს მოწყურებულ, მხოლოდ ღმერთის იმედად დარჩენილი თავისიანებისთვის. და არა მარტო თავისიანებისთვის, რადგან მის სიტყვას იმთავითვე დაებედა უნივერსალობის წარუვალი ნიშანი. ჭაბუკმა მაშინვე დიადი ზრახვა ჩაიღო გულში — შეექმნა უკრაინის უკვდავი ხატი, მისი გრანდიოზული კარედი, პანორამა, თანაც მხოლოდ ისეთი, როგორც თვითონ წარმოედგინა, როგორც, მისი აზრით, ის უნდა ყოფილიყო.

პატარაობიდანვე წერა-კითხვის კარგად მცოდნეს არაერთგზის წაეკითხა „დავითნი“ და სხვა საეკლესიო წიგნები, უამრავი ხალხური ლექსი და სიმღერა ხომ ისედაც იცოდა და იცოდა! აქ კიდევ, პეტერბურგში, გაეცნო თანამემამულე პოეტ ვეგენ გრებინკას, ავტორს გახალხურებული ცნობილი ლექსისა „ოჩი ჩორნიე“, რომელმაც პირველად აზიარა იგი პროფესიულ უკრაინულ პოეზიას. ივანე კოტლიარევსკის, გრიგორი კვიტკაოსნოვიანენკოს, პეტრო გულაკ-არტემოვსკის ნაწარმოებებს, რუსი და დასავლეთევროპელ ავტორთა ქმნილებებს. ვინ იცის, ნორჩი ტარასი იქნებ მშობლიურ მორინცასა და კირილოვკაშიც ცდიდა კალამს (ფანქარს, უფრო სწორად), მაგრამ მისი მაშინდელი პოეტური ცდები აღარ შემოგვრჩა — ისინი ან თავად ავტორმა არ სცნო გამომზეურების ღირსად და გაანადგურა ან რაღაც სხვა მიზეზების გამო დაიკარგა. ასეა თუ ისე, მის პირველ პოეტურ ნაწარმოებად ითვლება ბალადა „გათვალული ქალი“, რომლითაც ტრადიციულად იხსენება „კობზარის“ ყველა გამოცემა.

მიუხედავად იმისა, რომ ცენზორი კორსაკოვი, რომელსაც საკუთარ ქმნილებათა ბედს ანდობდა თვით პუშკინი, ლოიალურად იყო განწყობილი შევჩენკოს მიმართ, პირველი „კობზარი“ მაინც შეკვეცილი გამოვიდა. გამომცემელი მარტოსი მოგონებებში შეეცადა თავი მეცენატად გაესაღებინა, მაგრამ მკვლევარებმა ფაქტებზე დაყრდნობით დაამტკიცეს, რომ იგი თაღლითურად მოქცევია პოეტს და ერთი ბეწო ჰონორარიც კი აუღლეტია.

როგორც ვარაუდობენ, „კობზარის“ პირველი გამოცემის ტირაჟი 1000 ცალზე მეტი არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ იგი ელვის სისწრაფით გავრცელდა ხელნაწერებში, ეს რიცხვი უფრო გაზრდილად წარმოგვიდგება.

ტარას შევჩენკოსთვის როგორც პოეზიაში, ასევე მხატვრობაშიც უმთავრეს ადგილს ეროვნული მოტივები იკავებს და სწორედ მათ აღბეჭდვას შეეცადა იგი, როცა თოთხმეტწლიანი განშორების შემდეგ 1843 წელს უკრაინაში ჩამოვიდა.

მართალია, მანამდეც ცდილობდა საზღვარგარეთ გამგზავრებულები, თვალისთვის წყალი დაეღვეინებინა, არქიტექტურული ქმნილებები ენახა, მუზეუმები დაეთვალიერებინა, მაგრამ არ გამოუვიდა. თანაც დიდი ხანი იყო, რაც გული შინისკენ გამაღებით მიუწევდა. პირველად მშობლიურ სოფელს ჩააკითხა, ახლობლები მოინახულა, ძმისწულიც მონათლა და შემოგარენიც შემოიარა. თითქმის არაფერი შეცვლილიყო ამ ხნის მანძილზე უკრაინაში, ბატონყმობის სისტემა კვლავაც ურყევი ჩანდა, გოროზი მემამულეები ყმებს უწინდებურად არაადამიანურად ექცეოდნენ, ცხრაფა ტყავს აძრობდნენ, სულ უკანასკნელ ლუკმაპურს ართმევდნენ პირიდან. სწორედ მაშინ მოუვიდა აზრად შევჩენკოს შეექმნა ოფორტების სერია „ფერწერილი უკრაინა“ და შემოსული თანხით ახლობლები ყმობიდან როგორმე გამოესყიდა. სამწუხაროდ, მხოლოდ ერთი ალბომის გამოცემადა შესძლო და ჩანაფიქრი ვერ აღასრულა (ბედის ირონიით, საიმპერატორო ბრძანებულება რუსეთში ბატონყმობის გაუქმების შესახებ გამოვიდა შევჩენკოს გადაცვალებიდან ზუსტად ერთ კვირაში და, ამდენად, იგი ვერ მოესწრო ახლობელთა განთავისუფლებას).

აქ ერთი, ჩემი აზრით საინტერესო ექსკურსი მინდა შევთავაზო მკითხველს. 1844 წლის 23 სექტემბრით დათარიღებულ წერილში ტარას შევჩენკო წერს: „ჩემო ბრწყინვალე თავადო, ღვთის შეწევნით რომ დამემთავრებინა ის, რაც ახლა დავიწყე, ხელებს დავიკრეფდი და კუბოში ჩავწვებოდი. საამაყოც მექნებოდა: არ დამივიწყებდა უკრაინა მე — მდილის სადარს. მაგრამ აი, რა! დაწყებით კი დავიწყე, ოღონდ არ ვიცი, როგორ დავამთავრებ, რადგან უადამიანებოდ და უფულოდ ვერაფერს გავაწყობ. როგორც ჩანს, უმათოდ ჯერ არავის არაფერი გაუკეთებია. ამიტომაც ჰქვიათ მათ ადამიანები, ამიტომაც ჰქვიათ მათ ფული. დამეხმარეთ, გეთაყვა, რადგან თქვენ

გაქვთ ძალაც და სახელიც, და გიყვართ ის ქვეყანა, რომლის დახატვაც მე გადავწყვიტე.

მიიღეთ გულმოსწავლედ ჩემი თხოვნა და ნუ დამძრახავთ“. წერილის ადრესატია ხარკოვის სასწავლო ოკრუგის მზრუნველის თანაშემწე ნიკოლოზ ანდრიას ძე წერთელევი. ქართველ წერთელეთა შთამომავალი, ძველი მაღოროსიული სიმღერების პირველი შემკრები და გამომცემელი (დაიბადა პოლტავის ოლქის სოფელ ხოროლში, გურამიშვილის მამულიდან სულ რამდენიმე კილომეტრში, 1790 წელს, გარდაიცვალა 79 წლისა, დაკრძალულია ტამბოვის ოლქის ქალაქ მირშჩანსკში).

საგულისხმოა, რომ შევჩენკოს ეს გარუსებულ-გაუკრაინელებული ქართველი მიაჩნია სწორედ იმ პიროვნებად, რომელიც მას გაავრცელებინებს საკუთარ ნახატთა კრებულს „ფერწერული უკრაინა. დიდი პოეტი და მხატვარი ეძებს სპონსორს (რა თანამედროვე ვითარებაა!) და პოულობს მას წერთელევი-წერთელის სახით.

„შევჩენკოს ლექსიკონის“ შემდგენლებს მიაჩნიათ, რომ კობზარი არჩევანში არ შემცდარა: ხარკოვის უნივერსიტეტს საკმაოდ შეუკვეთავს „ფერწერული უკრაინა“, რაც, ადვილი მისახვედრია, უწერთელევიც არ მოხდებოდა!

1844 წელს შევჩენკო მოსკოვის გავლით პეტერბურგში დაბრუნდა, სადაც წელიწადზე მეტი დაჰყო. დაასრულა აკადემიაში სწავლა, გააფორმა აუცილებელი საბუთები და ისევ უკრაინას მოაშურა, სადაც არქეოგრაფიულ კომისიაში საინტერესო სამუშაო ელოდა. აქ მას საშუალება ჰქონდა მოეველო სამშობლოს ისტორიული ადგილები, გაეკეთებინა საინტერესო ჩანახატები, გასცნობოდა ქვეყნის როგორც წარსულს, ასევე თანამედროვეობასაც, თუმცა კომისიაში იურიდიულად მხოლოდ 1845 წლის 10 დეკემბერს გაფორმდა, თავის „არქეოლოგიურ დღიურებს“ ჯერ კიდევ იმავე წლის ზაფხულში შეუდგა.

ამჟამად მან კიდევ უფრო განივრცო ნაცნობ-მეგობართა წრე, რომელსაც შემოემატნენ მიკოლა კოსტომაროვი, მიკოლა გულაკი და სამამულო მწერლობისა და მეცნიერების სხვა მნიშვნელოვანი წარმომადგენლები. საამდროოდ შევჩენკოს ჩაფიქრებული ჰქონდა „კობზარის“ მეორე გამოცემა, რომლისთვისაც თანამედროვე უკრაინული მწერლობის კრიტიკული მიმოხილვის შემცველი წინასიტყვაობაც კი დაწერა, მაგრამ იდეა ვერ განახორციელა და ამ პერიოდის ლექსები შერჩა ხელნაწერ კრებულს „სამი წელი“.

1845 წლის 24 დეკემბერს ტარას შევჩენკო ავად ხდება და მეორე დღეს პერიასლაველი მეგობრის, ექიმ კოზაჩკოვსკის სახლში აღსასრულის მომლოდინე წერს უკვდავ „ანდერძს“. საბედნიეროდ, კვლავ გამართლდა ძველი სიბრძნე, რომ ანდერძი კაცს არ ჰკლავს, უკრაინულ პოეზიას კი ნამდვილი თვალმარ-გალიტი შეემატა.

გამოჯანსაღებულმა პოეტმა გაიგო, რომ კიევში არსებობს კირილესა და მეთოდეს საზოგადოება, რომელსაც სათავეში უდგას უნივერსიტეტის ახალგაზრდა პროფესორი მიკოლა კოსტომაროვი. გაიგო ისიც, რომ ამ ანტიბატონყმური, ანტი-მეფური ორგანიზაციის მიზანია თვითმპყრობელობის დამხობა, სლავი ერების ფედერაციულ-პარლამენტურ რესპუბლიკად გაერთიანება. შევჩენკო საზოგადოების აქტიური წევრი და მისი მემარცხენე ფრთის ლიდერი ხდება. როცა პროვოკატორმა პეტროვმა შეთქმულება გასცა, იგი პოლტავაში იმყოფებოდა და უკვე დაწყებული დაპატიმრებების შესახებ არაფერი იცოდა. როგორც კიევის უნივერსიტეტის აღზრდილი ანტონ სოლტანოვსკი იგონებს, კოსტომაროვის ქორწილში მიმავალი შევჩენკო (სასიძო ამ დროს უკვე შეპყრობილი იყო) მემამულე სოლონიჩის თანხლებით მოადგა ადიდებულ დნეპრს. ბორანი არ ჩანდა, მხოლოდ დიდი საფოსტო ნავი ირწეოდა ნაპირთან. ნავზე მყოფმა კვარტალის ზედამხედველმა და ორმა ჟანდარმმა შევჩენკოსა და მის ამხანაგს გადაყვანაზე უარი უთხრა. მხოლოდ მას შემდეგ, რაც სოლონიჩი გვარიან გასამრჯელოს დაჰპირდა, ისინი დათანხმდნენ. ნავი თურმე სწორედ შევჩენკოს ელოდებოდა და თავიდან მხოლოდ იმიტომ უთქვამთ უარი, ვაითუ მან რაიმე ნივთის ან ხელნაწერის გადამაღვა მოასწროსო. შუაგულ მდინარეში ზედამხედველმა პოეტს მოწერილობა წარუდგინა და იგი დაპატიმრებულად გამოაცხადა.

1847 წლის 6 აპრილს პატიმარი შევჩენკო პეტერბურგში გაგზავნეს. ავადსახსენებელ III განყოფილებაში მისთვის დასმულ მრავალ კითხვათაგან ერთ-ერთი ასეთი იყო: „რამ მიგიყვანათ იქამდე, რომ წერდით აღმაშფოთებელ ლექსებს ხელმწიფე-იმპერატორის წინააღმდეგ?“

პასუხმა არ დააყოვნა: „ჯერ კიდევ პეტერბურგში მესმოდა ყველგან ხელმწიფისა და მთავრობის კილვა, მაღოროსიაში დაბრუნებულმა მათზე უარესი რამ გავიგონე. ვნახე სილატაკე და ყმა-გლეხთა საშინელი ჩაგვრა. ყველაფერი ეს კეთდებოდა და კეთდება ხელმწიფისა და მთავრობის სახელით...“





1847 წლის 28 მაისს ნიკოლოზ I საკუთარი ხელით დაამატა შევჩენკოს განაჩენს: „აყვანილ იქნას უმკაცრესი მეთვალყურეობის ქვეშ, აეკრძალოს წერა და ხატვა.“

პოეტი გაამწესეს რიგით ჯარისკაცად ორენბურგის ცალკე კორპუსში, საიდანაც მისი ათწლიანი ჯოჯოხეთი დაიწყო.

შევჩენკოს გადასახლება ორ პერიოდად იყოფა: პირველი პერიოდი (1847–1850) ორენბურგი, ორსკის ციხესიმაგრე, არალის საადწერო ექსპედიცია — გადასვლა არალის ზღვაზე; მეორე პერიოდი (1850–1857) მანგიშლაყის ნახევარკუნძულზე განლაგებულ ნოვოპეტროვსკის ციხესიმაგრეში ყოფნა.

„ჯალათი და სისხლისმსმელი რომ ვყოფილიყავი, — წერს შევჩენკო თავის დღიურში 1857 წელს, — მაშინაც კი უარეს სასჯელს ვერ მომიგონებდნენ, ვიდრე ორენბურგის ცალკე კორპუსში ჩემი სალდათად გამწესება იყო... ყოველივე ამასთან ერთად ხატვაც ამიკრძალეს, წამართვეს ჩემი საბრალლო არსებობის უკეთილშობილესი ნაწილი. ტრიბუნალი თვით სატანის თამჯდომარეობით ვერ გამოიტანდა ასეთ ცივ, არაადამიანურ განაჩენს, განაჩენის უსულო აღმსრულებლებმა კი იგი აღაშფოთებელი სიზუსტით აღასრულეს.“

ბარემ აქ კიდევ ერთ ციტატასაც მოვიტან პოეტის იმავე წლის დღიურიდან, სადაც ავტორი თავის სრულ უუფლებობას ჩივის: „ჯარისკაცები ჩვენი მართლმადიდებლური მამულის ყველაზე უპოვარი, ყველაზე საბრალლო ფენაა. მას წართმეული აქვს ყველაფერი, რითაც მშვენიერია ცხოვრება: ოჯახი, სამშობლო, თავისუფლება, — ერთი სიტყვით, ყველაფერი.“

1848 წელს შევჩენკო არალის საადწერო ექსპედიციაში მხატვრად ჩაწერეს და მას თავისუფლად ხატვის ნება დართეს. მან აქ მთელი ექსპედიციის გზა აღწერა და 200-მდე ნახატიც შეასრულა.

დაპატიმრებისა და ნოვოპეტროვსკის ციხესიმაგრეში გადაყვანისა და თვით ხელმწიფე-იმპერატორის მიერ გამოტანილი სასტიკი განაჩენის შემდეგ პოეტს თვალს არ აშორებდნენ, მის ყოველ ნაბიჯს და მოძრაობას უთვალთვალებდნენ. და მაინც, როგორც იტყვიან, შევჩენკოს კალამი ხელიდან არ გაუგდია და თვით ასეთი ტოტალური თვალთვალის პირობებშიც კი შემოქმედებას არ შელევია. წერდა პროზას, თანაც რუსულად („თავადის ქალი“, „მოჯამაგირე ქალი“, „ვარნაკი“, „მუსიკოსი“). ჯერ ერთი, უკრაინულ ტექსტთან შედარებით მისი გაკონტროლება უფრო ადვილი იყო, მეორეც იმ დროს უკრა-

ინული პრესა არ არსებობდა და შევჩენკო ფიქრობდა, ამ რუსულ ტექსტებს სადმე მაინც გამოვაქვეყნებო. მკვლევართა მტკიცებით, ციხესიმაგრის კომენდანტმა ირაკლი უსკოვმა უსათუოდ იცოდა შევჩენკოს ეს ეშმაკობა, მაგრამ მისადმი დიდი სიმპათიის გამო თითქოს ვერ ამჩნევდა, თვალებს ხუჭავდა.

ის, რომ სალდათის ფარული შემოქმედებითი საქმიანობა უფროსობისთვის ცნობილი იყო, დასტურდება თვით ირაკლი უსკოვის მეუღლის წერილითაც, რომელიც მან პოეტის ერთ-ერთ პირველ ბიოგრაფს ა. კონისკის მისწერა: „შევჩენკო იყო საშუალო ტანის, ჩაფსკვნილი, ოდნავ ჩამოჩანული, მოუქნელიც კი. გახსნილი სახის, კეთილი გამომეტყველების, ღრმად შემელოტებული მაღალი შუბლი მას სოლიდურ შეხედულებას აძლევდა. ნელი სიარული იცოდა, ხმა სასიამოვნო ჰქონდა. ლაპარაკობდა შესანიშნავად, ნარნარად, განსაკუთრებით კარგად კითხულობდა ხმამაღლა... ტარას გრიგოლის ძეს მართლაც აკრძალული ჰქონდა ხელში ფანქრისა და კალმის აღება... ეს მისთვის ყველაზე მგრნობიარე სასჯელი იყო, ამიტომაც მას ხატვა მაღულად უხდებოდა...“

გადასახლებაში პოეტს კიდევ უფრო უმძაფრდება სამშობლოსგან მოწყვეტილობისა და დაუძლეველი სიშორის განცდა, რაც მისი იმდროინდელი თითქმის ყველა ლექსიდან გამოსჭვივის. ისინი მეტწილად ლირიკულია და უკიდურესად პირადი ტკივილებით, მოგონებებითა და მონატრებებითაა ნაკარნახევი. განსაკუთრებით გულისშემძვრელია ციკლი „საპყრობილეში“, რომელიც ახლადმსჯავრდებული პოეტის მიერაა დაწერილი. იგი გაოგნებულია და ბოლომდე ვერ შეჩვევია იმ აზრს, რომ თავისუფლების ლაჟვარდებში აჭრილი ბედმა კვლავ უღმობლად გაწირა და მეფის ბნელ ჯურღმულებში გამოკეტა. ამ ციკლს იგი თავის იდეურ მოკავშირეებს უძღვნის და მათ კეთილი სიტყვით მოგონებას თხოვს.

ციკლი მშობელი ერის ისტორიულ ხვედრზე დაფიქრებაცაა, რადგან შევჩენკოსთან, ისევე როგორც აკაკი წერეთელთან, ხშირად ძნელი გასარჩევია ინტიმური და საზოგადო. თუ პოეტი ადრეულ პოეზიაში აწმყოს პრიზმიდან დანახულ წარსულს ხატავდა, ცარიზმსა და მის თვითმპყრობელურ პოლიტიკას ამათრახებდა, „პატარა ადამიანების, უფლება და პატივყრილი ყმა-გლეხობის გაუხარელ ყოფაზე წერდა. გადასახლების წლებში იგი ახალ „გამოცდილებას“ ითვისებს და ქმნის შედარებით მცირე მოცულობის ლირიკულ ლექსებს,

რომლებშიც სამყარო ჯარისკაცული ყაზარმის ვიწრო სარკმ-
ლიდანაა დანახული. მართალია, ვიწრო აქ მხოლოდ სარკმელია
და არა ავტორის თვალსაწიერი, რომელიც ორენბურგისა და
ყაზახეთის ტრამალებში, პირიქით, საგრძობლად განივრცო
და გაფართოვდა. იგი აქ ხშირად საუბრობს არა მარტო საკუ-
თარი, არამედ ე. წ. „მოსკალების“, რუსი ჯარისკაცების მიერ
გაბახებულ-გაუბედურებული გოგონების სახელითაც, დარდობს
ქვრივობლების ბედზე, იხსენებს ბავშვობისა და სიყმაწვილის
დღეებს, რომლებიც აწ უკვე იდილიურად ეჩვენება. მიმართავს
პოლონელ ძმებს, „როცა ვიყავით ჩვენ კაზაკები და არ ისმოდა
უნის ჩქამი, მაშინ გვდგომია ნეტარი ჟამიო“ და იქვე დასძენს:
ქსონძების და მაგნატების გარდა ვერავინ ჩვენ ვერ გაგვეყრიდა
და თვალში ნაცარს ვერ შეგვაყრიდაო.

ნატუსადარ-ნასალდათარის მრავალწლიანი ნაფიქრალ-
ნააზრებისა და დანახულ-განცდილის ფრიად ორიგინალური,
თავისებური მხატვრული პროექციაა, ერთგვარი მეტაფო-
რული ანარეკლია სიცოცხლის ბოლო წლებში დაწერილი
ლექსები, რომლებშიც აკუმულირებულია პოეტის გაწამებული
გულის უკანასკნელი შემოქმედებითი ენერგია.

იმ დიდმა ინტერესმა და არაერთგვაროვანმა დამო-
კიდებულებამ უკრაინის ცნობილი ჰეტმანის ბოგდან ხმელ-
ნიცკის მიმართ, რომელიც ყოველთვის გააჩნდა მას (ჯერ
კიდევ „გათხრილ ყორღანში“ შევჩენკო წერდა: „ეჰ, ბოგდანო,
ბოგდან ჩვენო! რომ სცოდნოდა შენი, აკვანშივე გაგაქრობდა
ბედის განაჩენი!“) ისევ იჩინა თავი, უფრო მეტიც, უკიდურესი
ნეგატიურობით აულერდა:

მთვრალ ბოგდანო, ახლა აქედან
პერეიასლავს რომ შეგახედა!
რომ დაგანახა ზამჩიშე ძველი!
კვლავ გახდებოდი ღოთი და მსმელი!
და კაზაკების სამყაროს თვალი,
ჭკვიანი მამა!.. ურის მყრალი
ქოხის ზღურბლიდან არც ისე მთვრალი,
მიაშურებდი საუფლოს შმორის,
ჩაიხრჩობოდი წუმპეში ღორის.

ამინ, შენ, ამინ, დიდო სარდალო,
დიდო, დიადო! არც თუ მართალო...

ვთქვათ და, რომ დედას არ ეშვი სულაც,
ან გაგძრომოდა აკვანში სული...
მე შენი ლაფში ამოსვრის სურვილს
არ გამოვთქვამდი, დიადო. ამინ!

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს მრისხანებით აღსავსე ფი-
ლიპიკა შვა არა მარტო ბოგდანის წინდაუხედავმა პოლიტი-
კამ, რასაც რუსეთის მიერ უკრაინის დამონება მოჰყვა, არამედ
პოეტის პირადმა ტრაგედიაშიც, რაც ასევე იმ პოლიტიკის პირ-
დაპირი შედეგი იყო.

სწორედ ამ ტრაგედიითაა ნაკარნახევი მისი იმდროინ-
დელი წერილებიც. რომლებსაც იგი ნაცნობ-მეგობრებს უგზ-
ავნიდა. აი, ერთი დამახასიათებელი ამონარიდი წერი-
ლიდან ა. ლიზოგუბისადმი: „ერთადერთი, რასაც ღმერთს
ვთხოვდი, როგორც უდიდეს სიკეთეს, ესაა თუნდაც სიკვდი-
ლის წინ ერთხელ მაინც შემახედა თქვენთვის, ჩემი კეთილი
მეგობრებისთვის, დნეპრისთვის, კიევისთვის, უკრაინისთვის.
და მაშინ როგორც ქრისტიანი მშვიდად მოგაკვებოდი“ (1852
წლის 16 ივლისი).

უსაშველოდ ხანგრძლივი, დამამცირებელი და შეურაცხ-
მყოფელი ტანჯვა-წამების შემდეგ, 1858 წლის 5 თებერვალს
პოეტს პეტერბურგში დაბრუნების ნება დართეს.

ორი წლის მერე, ნაყმევი და ნაჯარისკაცალი, ჯანგატეხილი,
მაგრამ სულიერად უდრეკი ტარას შევჩენკო საიმპერატორო
სამხატვრო აკადემიამ თავის ნამდვილ წევრად აირჩია. 1860
წლის იანვარში კი მესამედ, პოეტის სიცოცხლეში კი უკანას-
კნელად გამოიცა „კობზარი“.

გაზეთმა “სევერნაია ჰელამ” ამ ფაქტთან დაკავშირებით
მაშინვე გამოაქვეყნა ლ. ბლიუმერის წერილი, რომელშიც იგი
შენიშნავდა: „ვჩქარობთ ვაცნობოთ ჩვენს მკითხველებს, რომ
„კობზარის“ სახელწოდებით გამოვიდა მალოროსიელი პოეტის
ტ. გ. შევჩენკოს ლექსები. ეს მომცრო, მაგრამ დიდებულად
გამოცემული წიგნი დაამშვენებდა ნებისმიერ, ყველაზე მდიდარ
ლიტერატურასაც. შევჩენკო სუფთა სახალხო პოეტი, მხატვარია,
მასში, როგორც კრილოვში რუსეთი, აირეკლა მთელი უკრა-
ინა, — პოეტური, ფილოსოფიური, ცხოვრებისეული, ყოველ-
დღიური.“

გაზეთი „მოსკოვსკი ვესტნიკი“ იუწყებოდა: „შევჩენკოს
ლექსების გამოჩენას მოუთმენლად ელოდა ყველა, არა მარ-
ტო მისი თანამემამულეები, არამედ რუსებიც, რომლებსაც





ძალუძთ ჭეშმარიტი პოეზიის გაგება. ახლა თქვენ ყოველ ნაბიჯზე შეხედებით შევჩენკოთი ადფროტოვანებულ ადამიანებს, რომლებიც მალოროსიულს მხოლოდ მისი ლექსების წასაკითხად სწავლობენ“.

უწრნალი „ოტენესტვენნიე ზაპისკი“ ხაზს უსვამდა: „შევჩენკო განეკუთვნება სლაფური სამყაროს პირველხარისხოვან პოეტთა რიცხვს, მისი ადგილი მიცკევიჩისა და პუშკინის გვერდითაა“.

ეს აზრი პრაქტიკულად დადასტურდა ერთი წლით ადრე ლაიპციგში გამოცემული კრებულით „პუშკინისა და შევჩენკოს ახალი ლექსები“.

სიცოცხლის უკანასკნელ წლებში ტარას შევჩენკო მართლაც გარემოსილი იყო რუსეთისა და უკრაინის დემოკრატიული წრეების ღრმა პატივისცემით, რომელთათვის „კობზარი“ ერთ-ერთ უსაყვარლეს წიგნად იქცა. ეს გარემოება პოეტს ბედნიერს ხდიდა, რადგან ამ ქვეყნად არ არსებობს უფრო დიდი სიხარული, ვიდრე ერის ბედ-იღბალთან, მის საჭირობოროტო პრობლემებთან წილნაყარობის შეგრძნება. მიუხედავად ამისა, იგი ჩრდილოეთის ცივ დედაქალაქში სულიერ მიუსაფრობას განიცდიდა, ოჯახურ სითბოსა და სიმყუდროვეს ნატრობდა. ბავშვობაში რა სახლიც ჰქონდა, უკვე მოგახსენეთ, მერე კი მისი ბიოგრაფია ისე განვითარდა, რომ საკუთარი ჭერი თითქოს არც დასჭირვებია, ხან მებატონეს ახლდა, ხანაც სალდათი და პატიმარი იყო. სწორედ ამიტომაც ვერ მოიწყო პირადი ცხოვრება, ვერ შექმნა ოჯახი, ვერ დაწვრილშვილდა. უკვე შორეულ მოგონებად ქცეულიყო მისი პირველი ბავშვური სიყვარული და მოულოდნელი მუზა, მასზე ორი წლით უმცროსი ოქსანა კოვალენკო, რომელთანაც იგი სოფლის განაპირას კრავებს მწყემსავდა და რომელიც დიდი მღელვარებით გაიხსენა ლექსში „მისრულდებოდა ცამეტი წელი“:

ღმერთმა დამსვა ცარიელზე!..
წამსკდა ცრემლის ღვარი,
მწარე ცრემლის!.. ხოლო გოგო,
გზის გადაღმა მდგარი,
შორიახლო, იქვე თითქმის,
აგროვებდა კანაფს,
რა ტირილი ესმა ჩემი,
აღარ დაახანა,
თვალზე ცრემლი შემიმშრალა,

გადამკოცნა თანაც...

მზე კვლავ გაბრწყინდა სხივთა მთოველი,
და ჩემი გახდა ქვეყნად ყოველი —
ჭალა, ბაღები და ნახნაგები
და მდინარისკენ ასკინკილათი
წინ გავირეკეთ სხვისი კრავები...

ეს პირველი რომანტიკული განცდა, რომელსაც ნამდვილ ტრფიალში გადაზრდა არ ეწერა, საფუძვლად დაედო მის ადრეულ პოემას „მარიანა მონაზონი“. როცა შევჩენკო პეტერბურგიდან მშობლიურ სოფელში პირველად ჩამოვიდა, ოქსანა უკვე დაოჯახებული და სამი შვილის დედა იყო.

1830 წელს ვილნოში შევჩენკომ გაიცნო პოლონელი მკერავი გოგონა იადვიგა გუსიკოვსკა, „საყვარელი ძიუნია“, რომელმაც ოქსანა კოვალენკოს შემდეგ მეორედ შესძრა მომავალი გენიოსის გული. „მე მაშინ პირველად მივედი აზრამდე, — უყვებოდა იგი ივან სოშენკოს, — რატომ არ შეგვიძლია ჩვენც, უბედურ ყმებს, ვიყოთ ისეთივე ადამიანები, როგორც სხვა თავისუფალი ფენის წარმომადგენლები არიან.“

სწორედ იმის გამო, რომ თავისუფალი არ იყო, ვილნოელ ტურფასთან ხანმოკლე ურთიერთობასაც გარდაუვალი განშორება მოჰყვა, ჭაბუკური სისხლი კი ძარღვებში უწინდებურად ბობოქრობდა, ახალ პაემანს და ქალურ აღერსს ელოდა. და ეს მოლოდინი მას სამხატვრო აკადემიის ყმაწვილმა მენატურემ ამაღლია კლობერგმა აუსრულა, თუმცა გამიჯნურება ხანგრძლივი ამჯერადაც არ ყოფილა.

შევჩენკოს განსაკუთრებული ვნებათაღელვა გამოიწვია ოცდაერთი წლის წლის ანა ზაკრევსკამ, რომლის პორტრეტის შესაქმნელადაც მისმა მეუღლემ, გადამდგარმა პოლკოვნიკმა პლატონ ზაკრევსკიმ იგი მიიწვია საკუთარ მამულ ბერეხოვა რუდკაში. ახალგაზრდა პოეტი და მხატვარი იქ საკმაოდ დიდხანს დარჩა, განზახ გაჰყავდა დრო, რათა უჩვეულო ლამაზმანის მშვენიერებით დამტკბარიყო.

ანა ზაკრევსკას ეძღვნება შევჩენკოს ლექსი „რომ შეგეფეთო ხელახლა გზაში“, რომელშიც მწარე სინანულია გამოთქმული იმის გამო, რომ „წმინდა ხილვა ცრემლის მდინარემ თან ჩაიხვია და... ჩაიარა“. მათი შემდგომი შეხვედრა არ შემდგარა, რადგან სულ რაღაც 35 წლის „მომხიბლავი ანა“ (ასე უწოდებს მას პოეტი ა. აფანასიევ-ჩუჰბინსკისადმი გაგზავნილ წერ-

ილში) სწორედ მაშინ გარდაიცვალა, როცა შევჩენკო ათწლიანი გადასახლებიდან გაანთავისუფლეს.

უკრაინულ დაბა იაგოტინში ტარას შევჩენკოს ელოდა კიდევ ერთი რომანტიკული გაცნობა თავადის ქალ ვარვარა რეპნიასთან, რომელიც პოეტზე ექვსი წლით უფროსი იყო და მისადმი საკუთარ ინტიმურ გრძნობებს არ მალავდა. თავადის სახლში ტარასმა ნახევარი წელი გაატარა, დაუმეგობრდა ვარვარას, მოგვიანებით ჰქონდა მასთან მიმოწერაც, მაგრამ ვერც იგი აღმოჩნდა მისი საბედო.

თვითონ რეპნინა კი აღფრთოვანებული იყო შევჩენკოთი, რა, საც შარლ ეინარისადმი მიწერილ ბარათში ასე გამოხატავდა: „ერთ საღამოს მან შემოგვთავაზა წაგვეკითხა მისი პოემა „ბრმა ქალი“... ო, მე რომ შემეძლოს გადმოგცეთ ყველაფერი, რაც კითხვის დროს განვიცადე! როგორი გრძნობები, როგორი აზრები, როგორი სილამაზე, როგორი მომხიბვლელობა და როგორი ტკივილი იყო მასში! სახე ცრემლებით მქონდა სველი და ეს გახლდათ ბედნიერება... ან კითხვის როგორი რბილი, მომხიბლავი მანერა ჰქონდა! ეს იყო დამატყვევებელი მუსიკა, მელოდიური ლექსების მღერა ჩვენს ლამაზ და გამომსახველ ენაზე!“ (1844 წლის 27 იანვარი).

დიდი ხნის შემდეგ, გადასახლებიდან მოსკოვის გავლით მომავალი ტარასი კვლავ შეხვდა ორმოცდაათს მიტანებულ ვარვარას, მაგრამ მის მკერდში სატრფიალო სიმი ოდნავაც არ შერხეულა.

შევჩენკო საიმდროოდ მხოლოდ 44 წლისა გახდა. მაგრამ დიდ სულიერ და ფიზიკურ დაღლას გრძნობდა. „ქალებს შორის, თითქოს საგანგებოდ შეურჩევიათო, არათუ ლამაზმანს ან თუნდაც კარგს, ასატანსაც კი ვერ შევხვდი. ყველა მახინჯია და, როგორც ვატყობ, მეტწილად შინაბერა, საბრალლო შინაბერა.“ — ასე ჩაუნიშნავს მას ნიჟნი ნოვგოროდის ქალთა საზოგადოებიდან მიღებული შთაბეჭდილება. და მაინც ნოვგოროდში იგი კვლავ ადაგზნო ძველებური ვნებით 16 წლის კატია პეუნოვამ, რომელიც მან ადგილობრივი თეატრის სცენაზე იხილა. ნოჩმა აქტრისამ, ალბათ, სრულიად მართებულად, ვერ გარისკა თუმცა სახელოვან, მაგრამ მისი გადასახედიდან დიდასაკოვან ხელოვანთან ბედის დაკავშირება და მიუხედავად ტარასის ყოველგვარი მცდელობისა მოეგო მისი გული, ცოლად გაჰყვა 25 წლის მსახიობს მაქსიმილიან შმიტგოფს და მასთან ერთად საცხოვრებლად ყაზანში გადავიდა.

მკვლევარებს მიაჩნიათ, რომ ასევე ინტიმური გრძნობებითაა ნაკარნახევი შევჩენკოს თბილი დამოკიდებულება მარია მაქსიმოვიჩის მიმართ, რომელიც მან 1858 წელს მოსკოვში გაიცნო. მარია უკრაინელი ისტორიკოსის, ფოლკლორისტიკისა და ენათმეცნიერის, პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის მიხაილო მაქსიმოვიჩის მეუღლე იყო.

„სად მოძებნა ამ ბებერმა ანტიკვარმა ასეთი ცინცხალი, ასეთი ბაჯადლო მშვენიერება! მწყინს და მშურს კიდევაც. მე მას სახსოვრად დავუწერე ჩემი „გაზაფხულის საღამო“, მან კი კიევური ყელსაბამი ხატი მაჩუქა, გულუბრყვილო და მშვენიერი საჩუქარი“, — ვკითხულობთ პოეტის დღიურში 1858 წლის 18 მარტი).

1860 წლის 3 მარტს პოეტი პოლტავაში წერილს უგზავნის ფედოტ ტკაჩენკოს (რომელთანაც კარლ ბრიულოვის ხელმძღვანელობით ხელოვნების აკადემიაში სწავლობდა და ერთ ბინაში ცხოვრობდა) და თხოვს, საცოლვე გოგონა მომიძებნეო. „მდიდარი მე არ მჭირდება“, — შენიშნავს იგი.

სულ მალე (27 ივლისს) ტარას შევჩენკო კირილესა და მეთოდეს საზოგადოებაში შექმნილი ამხანაგის ვიქტორ ბილოჩერსკის დის ნადია ბილოჩერსკას აგარაკზე, თითქოს საკუთარი გემოვნების დასტურადო, ეცნობა მიკოლა მაკაროვის ყოფილ მოახლე გოგონას ლიკერა პოლუსმაკს, რომელიც მებატონეს სანკტ-პეტერბურგში უკრაინიდან ჩამოეყვანა; პოეტს შეუყვარდა ყმაწვილი თანამემამულე და მას ხელი სთხოვა. საკუთარ განცდებს იგი აქსოვს ლექსებში „ლიკერას“, „ლ.-ს.“ ასევე საკუთარი ფუნჯით დახატულ სატრფოს პორტრეტში. სამწუხაროდ, მათი გზები სწრაფად გაიყარა და პოეტი ოჯახის შექმნას ვერ ეღირსა.

მცირეოდენი ექსკურსი თემასთან დაკავშირებით: ქალს რომ შევჩენკოს ცხოვრებაში განსაკუთრებული ადგილი ეკავა, ჩანს თუნდაც იქიდან, რომ იგი სწორედ ქალის გამო გადასახლეს. მართალია, ეს ქალი ჩვეულებრივი მოკვდავი კი არა თვით რუსეთის იმპერატორიცა გახლდათ, რომლის პორტრეტიც პოეტმა კომედიაში „სიზმარი“ უჩვეულოდ მძაფრი სატირული შტრიხებით დახატა.

იმხანად რუსეთის იმპერიაში არ არსებობდა და ცარისტული რეჟიმის გათვალისწინებით არც შეიძლებოდა არსებულიყო პოლიტიკური ხასიათისა და უღერადობის პოემა. თვით ევრო-





პულ ლიტერატურაშიც ჰაინეს პოემა „გერმანია“ შევჩენკოს პოემასთან ერთად 1844 წელს გამოჩნდა.

როგორც აკადემიკოსი ივან ძიუბა შენიშნავს, შანდორ პეტეფი და ვიქტორ ჰიუგო მონარქებს მაშინ დასცინოდნენ, როცა საკუთარი ერები მათ წინააღმდეგ უკვე ამბობდნენ, შევჩენკო კი ამბობდა იმ დროს, როცა საზოგადოების უმეტესობას, თვით ლიბერალურსაც კი, მბრძანებლებზე საუბარი ქვეშევრდომლური თრთოლვის გარეშე არ შეეძლო.

ეს ისე, სიტყვამ მოიტანა და იმიტომ მოგახსენეთ.

შემოქმედებითი და საზოგადოებრივი საქმეებით გატაცებულ შევჩენკოს, როგორც ჭეშმარიტ პატრიოტს, სამშობლოსთვის უფრო მეტის გაკეთება ეწადა. უკრაინელ პატარებს ის უძღვნის საკუთარი ხელით შედგენილ „დედა ენას“, აპირებს სხვადასხვა სახის სახელმძღვანელოს შედგენას.

უდროს სიკვდილმა ბევრი შემოქმედებითი ჩანაფიქრი ჩაუფუშა პოეტს. 1861 წლის 10 მარტს იგი ადგა, სურდა სახელოსნოში ჩასულიყო, მაგრამ კიბეზე წაბორძიკდა, დაეცა და სული განუტევა. საბედნიეროდ, თავისი უმთავრესი წიგნი მას უკვე დაწერილი ჰქონდა, რომლის ძლევაგამოსილ წინსვლას მილიონთა გულებისკენ უკვე ვერაფერი შეაჩერებდა.

ტარას შევჩენკო ჯერ პეტერბურგში დაკრძალეს, მაგრამ სულ მალე, მისივე ანდერძის თანახმად, 26 აპრილს უკრაინაში წამოასვენეს. წითელი აბრეშუმით დაფარული კუბო მოსკოვამდე რკინიგზით ჩაიტანეს, იქიდან კი საფოსტო ტრაქტის ცხენებით კიევის გზას დაადგნენ. დნეპრთან ფორანს ცხენები გამოსხნეს და შიგ ევროპულად გამოწყობილი ახალგაზრდები შეეხნენ. ამ სურათს გორაკიდან გადმოჰყურებდა კიევის გენერალ-გუბერნატორი ვასილჩიკოვი, რომელმაც ახალგაზრდებში შეიცნო მიხაილო სტარიცკი — შემდგომში გამოჩენილი მწერალი და თეატრალური მოღვაწე, მიკოლა ლისენკო — შემდგომში დიდი ეროვნული კომპოზიტორი, პეტრო კოსაჩი — ლესია უკრაინკას მომავალი მამა, თადეოზ რილსკი — მაქსიმ რილსკის მომავალი მამა.

ტარას შევჩენკოს თანამედროვე და მისი პირველი ბიოგრაფი მ. ჩალი წერს, რომ კიევის შობის ეკლესიაში, სადაც ცხედარი დაასვენეს, გენერალ-გუბერნატორმა აკრძალა სიტყვებით გამოსვლა, მაგრამ ეკლესია მაინც გაივსო ხალხით. წირვის დროს მათ გამოეყო შაოსანი ქალი, რომელმაც კუბოზე ეკლის გვირგვინი დადო და იქაურობა დატოვა. — სამგლო-

ვიარო სიტყვებზე უკეთ გამოხატა მან თითოეული ჩვენთაგანის გულისნადებო, — დასძენს მ. ჩალი.

8 მაისს გემმა „კრემენჩუგმა“ პროცესია კანევში ჩაიყვანა. ორი დღის შემდეგ ჩერნეჩის (ბერების) გორაზე (ამჟამად ტარასის გორა ჰქვია), რომელსაც ივან დრახმა უკრაინის უმაღლესი მწვერვალი უწოდა, მადლიერმა ერმა სამუდამოდ მიაბარა მშობლიურ მიწას შევჩენკოს ნეშტი. ლიკერა პოლუსმაკი, რომლის გულშიც, ალბათ, არასოდეს გამქრალა დიდი კობზარის ხსოვნა, 1904 წელს, მეუღლის გარდაცვალების შემდეგ, კანევში გადმოსახლდა და სიცოცხლის ბოლომდე უვლიდა მის საუკუნო განსასვენებელს.

ჭეშმარიტი სიყვარული დიახაც რომ არ ბერდება!

* * *

„საშინლად მიყვარს ბედნიერი ადამიანების ყურება, ჩე, მის აზრით ბედნიერ ადამიანზე მშვენიერი და საამო სანახავი არაფერია,“ — წერდა ტარას შევჩენკო მოთხრობაში „მუსიკოსი“.

რა იცოდა ბედნიერების შესახებ ამ ჯვარცმულმა კაცმა, რომელსაც თავისუფალი ცხოვრება ხეირიანად არც ღირსებია? ნუ ვიჩქარებთ პასუხის გაცემას, ერთხელ კიდევ გულისყურით გადავფურცლოთ „კობზარი“, ჩავუღრმავდეთ მის სტრიქონებს. გამოუცდელი თვალიც კი შენიშნავს: შევჩენკოს უსაყვარლესი სიტყვებია „ბედი“, „თავისუფლება“, „უკრაინა“. ამ მაგიური, საკრამენტული ცნებების სამებაა მისთვის უზუნაესი ადამიანური გრძნობა „ბედნიერება“. იგი ქიმერული, წამიერი და წარმავალია, მაგრამ მისი ნატვრით გამსჭვალულია შევჩენკოს შემოქმედება. პოეტი თავს დასტრიალებს თავის წმინდა სამებას, ეძებს და პოულობს მისთვის სხვადასხვა ეპითეტს, შედარებას, ჰიპერბოლას. ზოგჯერ ამატებს კიდევ ერთ ამოჩემებულ სიტყვას: „სამოთხეს“. უმეტესწილად ესაა დედამიწის, მიწიერი ყოფის, ზოგჯერ კი სამშობლოს სინონიმი. კახაკთა ჟამინდელი წარსული შევჩენკოს წარმოუდგენია სწორედ იმ სამოთხედ, სადაც ბედის წყალობით ნებივრობდა უკრაინა.

ჩვენამდე მოღწეული შევჩენკოს პირველი ლექსები 1837 წლითაა დათარიღებული. სწორედ იმხანად დანიელი ფილოსოფოსი სიორენ კირკეგორი წერდა: „ძეხორციელი, რომელსაც დუმილი ძალუძს, ღვთის დანაბადია, უკეთუ დუმილის მეოხებით

შეიცნობს საკუთარ ღვთიურ წარმომავლობას, ხოლო იგი, ვინც სიტყვას წარმოთქვამს, უბრალო მოკვდავია.“

არა მგონია, შევჩენკოს სცოდნოდა ეს აზრი, თუმცა საკუთარი შემოქმედებით აბათილებდა მას. აბათილებდა გაბედულად და ნიჭიერად. იგი ვერ იტანდა დუმილს, არ სცნობდა მას — ამ „ყრუ-მუნჯთა ზნეობრივ კოდექსს“ (ფრიდრიხ ნიცშე). პოეტური სიტყვა იყო ჭაბუკი სულის ჯაჭვაწყვეტილი შინაგანი ენერჯის ყველაზე სახეიმო გამოვლინება:

თითქოს სიტყვები რა ბედენაა...
ხმა და სიტყვები — სხვა არაფერი.
გული კი ფეთქავს — მისთვის ღხენაა
მათი მოსმენა. ნარჩევ-ნაფერი
ხმაც და სიტყვებიც უნდა ზენაარს
კაცთათვის მხოლოდ...

და არა მარტო ზენაარს. თვითონაც ასე ეწადა. როცა ცარიზმი განსაკუთრებული გულმოდგინებით აშთობდა სისხლისმიერ სლავ ძმებს, ტარას შევჩენკო გამოჩნდა როგორც მესია, როგორც მათი გათელილი უფლებების დამცველი, უბატონო მერმისის მესობე.

„უშიში, ვითარცა უხორცო...“ — ქართველი მემატრიანის ეს ფრაზა მახსენდება ხოლმე შევჩენკოზე ფიქრისას. განა მართლა არ იმსახურებს ასეთ შეფასებას ავტორი პოემებისა „სიზმარი“, „მკვდარ, ცოცხალ და ჯერარშობილ თანამემამულეებს ჩემსას...“, „კავკასია“!

კირილესა და მეთოდეს საიდუმლო ორგანიზაციის წევრმა იური ანდრუხსკიმ III განყოფილებაში დაკითხვისას, მართალია, სიმხდალის გამო, მაგრამ ზუსტად დაახასიათა შევჩენკო: მისი ღრმა რწმენით, მეფის ყველა ერთგული ნაძირალააო!

კაცმა რომ თქვას, პოეტს არასოდეს დაუმაღლავს ეს რწმენა, არც დაპატიმრებამდე, არც გადასახლებაში და არც იქიდან დაბრუნების მერე, როცა საიმპერატორო სამხატვრო აკადემიის ნამდვილ წევრად აირჩიეს.

„ვისჯები, ვიტანჯვი და მაინც არ ვნანობ...“, — იტყვის ორსკის ციხესიმაგრის ტყვე და ბოლომდე არ უღალატებს საკუთარ კრედოს.

თვით საკუთარი სიკვდილითაც მან ბევრი საზრუნავი გაუჩინა წესრიგის დამცველთ. სადღაც წამიკითხავს თუ რარი-

გად დაფრთხენ ხელისუფალნი, როცა ხმა მიუვიდათ, შევჩენკოს საფლავში ჰაიდამაკთა მომავალი ამბოხებისთვის იარაღია ჩამარხულიო. გუბერნატორს ძლივს გადაათქმევინეს თურმე ამ ჭორის შემოწმება.

ტარას შევჩენკოს მშვენივრად ესმოდა, რა დიდ როლსაც ასრულებდა მისი ლექსი დათრგუნვილი უკრაინის ასაღორძინებლად, მშობლიური სიტყვის მსოფლიო მწვერვალზე ასატყორცნად, ამიტომაც მხურვალედ ევედრებოდა მუზას:

ნუ მიმატოვებ, შენ გენაცვალე,
ღლითაც, ღამითაც ჩემთან დახანდი.
იფრინე გვერდით, მგეშე, მასწავლე,
მასწავლე მიწვივ მართლის დადადი
პირუთვნელ ბავით. სიკეთე ჰქმენი,
მადროვე, ლოცვა რომ დავასრულო.
და როცა მოგკვდე, ზეცის ასულო!
დედაო ჩემო, მე — შვილი შენი,
დამიმახსოვრე, როგორც ცოცხალი
და თუნდაც, თუნდაც ერთი კურცხალი
მაჩვენე უკვდავ თვალეში მბრწყენი.

გულგატეხილობიდან რწმენისაკენ, უიმედობიდან იმედი-საკენ, მრისხანებიდან ღმობიერებისაკენ მიემართებოდა პოეტის გზა. მის მკერდქვეშ ნიადაგ ბობოქრობდა სიყვარული და სიძულვილი, მათი შეჯახებისას იგი ლაპარაკობდა, როგორც ღვთის წარმოგზავნილი, მისი პირველმოციქული.

როცა ჩერნობილის ტრაგედია დატრიალდა, ტარას შევჩენკოს რჩეულ ლექსთა თარგმანებს ვამზადებდი გამოსაცემად. მისტიფიკაციას კი ჰგავს, მაგრამ ვმუშაობდი სწორედ ამ სტრიქონებზე:

დაიდუპები, შენ, უკრაინავ,
აღარ დაგრჩება კვალი მცირედი.
როსმე კი გქონდა ხვალის იმედი
და ნეტარებდი, შენ, უკრაინავ!
ჩემო ძვირფასო, უბიწო მხარევ!
რას გემართლება, ნეტავ, გამჩენი,
რატომ გსჯის ასე!..



შემძრა საოცარმა დამთხვევამ. ტექსტი სულ სხვაგვარად აუღერდა, საბედისწერო ნათელხილვას დაემსგავსა, და მე პირველად ვინატრე, ავტორი შემცდარიყო, არ ამხდარიყო მისი წინასწარმეტყველება.

შევჩენკო წინასწარმეტყველი!.. სულაც არაა გასაკვირი ეს მტკიცება. გენიოსი ხომ მუდამ უსწრებს საკუთარ დროს, ხედავს დღე-ღამეთა ბურუსებს მიღმაც.

საოცარია შევჩენკოს შორსმჭვრეტელობა, ისტორიული პერსპექტივის უტყუარი აღლო:

წამოვა ხალხი! ჯერ ჩაუსახველ
უფლისწულებსაც დაფარავს თალხი,
მტერს გაასწორებს საწუთროს ჩალხი,
და განახლებულ მიწასა ზედა
იქნება ძე და იქნება დედა,
დედამიწაზე იქნება ხალხი.

26



ტარას შევჩენკო არა მარტო მძაფრი მოქალაქეობრივი პათოსის პოეტია, არამედ უნახესი ლირიკოსიცაა, რომელსაც ხელეწიფება ჩასწვდეს ადამიანის სულის უღრმეს შრეებს, შეარხოს მისი ფიქრებისა და ვნებების უიდუმალესი სიმები. შევჩენკოს ლექსის ფორმა საერთოდ არ იგრძნობა, იგი თითქოს არც არსებობს, იმდენადაა დაქვემდებარებული სათქმელს, განცდას, აზრის შინაგან მუსიკას. მისი სტრიქონების მდინარება ძალდაუტანებელია, სახე — ღრმა და შთამბეჭდავი. მშობლიური ენის ლაბირინთებში იგი საოცრად შინაური კაცია, რომელსაც შეუძლია ნებისმიერი ჩიხიდან გამოსავალი მოძებნოს, ნებისმიერი „არაპოეტური მადნიდან“ ბაჯადლო ოქრო გამოადნოს. გენიალურ სისადავემდე მიყვანილი ხალხურობა ნიშნეულია შევჩენკოს მთელი შემოქმედებისთვის.

ტარას შევჩენკო პოეზიაშიც მხატვარია. იგი რეალისტი მხატვრის ფუნჯით ხატავს რეალურ სურათებს, ძალზე მკაფიოსა და ხელშესახებს. სამაგალითოდ კმარა თუნდაც „ალუბლის ბაღი...“, რომლის თხუთმეტივე სტრიქონი ცალკე დასრულებული სურათია. ზოგჯერ შევჩენკოს ლექსში შეგეფეთებათ საოცრად მონუმენტური სახე: „თავსასთუმლად ედო მთები, სტეპი ჰგავდა საბანს“, „ვერ ვიძინებდი, ზღვას ჰგავდა ღამე...“ და ა.შ.

შევჩენკოს ლექსში ასევე ვერ ნახავთ „უჰაერო სივრცეებს“, ემოციურ და აზრობრივ ვაკუუმს, მასში ერთმანეთს ეჯახებიან

საკირისპიროდ დამუხტული, ჭექა-ქუხილს მოწყურებული ღრუბლის მასები, და მთარგმნელი სწორედ მანდ მოხვედრილ პილოტს მოგაგონებთ, რომელმაც საკუთარ გადარჩენაზეც უნდა იფიქროს და ზვიადი, განუმეორებელი სანახაობის სხვებისთვის გადაცემაზეც.

რალა დასამალია, ლექსის მთარგმნელი ხშირად სტროფის ორ ძირითად, იდეური და აზრობრივი დატვირთვის მქონე სტრიქონს ჩაეჭიდება ხოლმე და ორ დანარჩენს ისე მოარგებს, როგორც იმ პირველი ორის რითმა უკარნახებს. შევჩენკოსთან ასეთი შესაძლებლობა მეტწილად გამოირიცხებოდა. მასთან გართმვის რაიმე მყარი სქემა არ არსებობს. იგი ნებისმიერია და ხშირად იმდენად ერთმანეთს მიყოლებული, რომ მთელი ლექსი ერთი ამოსუნთქვით იკითხება: მომიჯნავე რითმა ჯვარედინში გადადის, ჯვარედინი — შინაგანში, რიტმი აჩქარებულია და ნიადაგ ცვალებადი. ვფიქრობ, შევჩენკოს ლექსის რიტმი იმიტომაცაა ცვალებადი, რომ მას არ ჰქონდა საშუალება თავდავიწყებით მისცემოდა შემოქმედებას. როგორც არაერთგზის აღნიშნავს თვითონ, ცალი თვალი ზედამხედველისკენ უნდა სჭეროდა და მაღულად, ქურდულად ეწერა. ხშირად ამიტომ ხომ არ წყდება შუაზე სტრიქონი და მუშაობის განახლების შემდეგ იბადება ახალი რიტმი, ახალი განწყობილება?

ტარას შევჩენკო უნივერსალური პოეტია. იგი აკმაყოფილებს უდახვეწილესი ესთეტიკისა და უბრალო გლეხის, სიუჟეტური, ეპიკური თხრობისა და ემოციურად დაძაბული ლირიკული ლექსების მოყვარულთ, პოლიტიკური სატირისა და ინტიმური აღსარების თავგანისმცემელთ.

დღეს ჩვენ ვერც კი წარმოგვიდგენია ბედის ასეთი საშინელი უკუღმართობა: ვთქვათ და არ გამოესყიდათ იგი ყმობიდან ან დამორჩილებოდა იმპერატორის ბრძანებას წერისა და ხატვის მკაცრად აკრძალვის შესახებ ან ჯარისკაცობისას სადმე კოსარალის გულგრილ ტალღებში თუ მანგიშლაყის ჩხრიალა ქვიშაში ჩაკარგულიყო მისი უბის წიგნაკები და დღიურები, ხანძრების აღში დანთქმულიყო მისი ტილოები!

საბედნიეროდ, მოხდა სხვაგვარად, მოხდა ისე, როგორც უნდა მომხდარიყო. იგი საუკუნოდ ჩვენია — ნაზი და მრისხანე, მხიარული და სევდიანი, ამაყი და თავმდაბალი, სადა და გენიალური.

შევჩენკო უდიდესი უკრაინელი რომანტიკოსია. ახალი სალიტერატურო ენისა და თვით ლიტერატურის ფუძემდებელია.

ამავე დროს, ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორის ჯორჯ გრაბოვიჩის მტკიცებით, იგი მითების მოხზველია. უკრაინის მისეული ისტორია მეტაისტორიაა, რომელიც უკვე უკრაინულ მითში გადაიზარდა, სადაც წაშლილია ზღვარი სუბიექტურსა და ობიექტურს შორის. პოეტს აინტერესებს არა იმდენად ის თუ რა მოხდა, არამედ თვით მომხდარი და მისი მნიშვნელობა. წარსული მის პოეზიაში წარმოჩენილია კოლექტიური სახეების მეშვეობით, რომელთა საფუძველიცაა ხალხური სიმღერები, ლექსები, ღუმები, ლეგენდები. წარსულის პოეტისეული ხილვა კოლექტიური ეთიკაა, რომელიც არაიშვიათად გაიგივებულია ზაპოროჟიელ კაზაკებთან და წარმოადგენს ისტორიის წარმმართველ ძალას.

პროფესორ ჯორჯ გრაბოვიჩს მიაჩნია, რომ ტარას შევჩენკოს მითოლოგიური კოდი, სხვა რომანტიკოსებისგან განსხვავებით, ერწყმის მის პირად ბიოგრაფიას, უკეთუ შევჩენკო თვითონაა მითის მატარებელი, სიმბოლურ იდენტიფიკაციათა სისტემის შემადგენელი ნაწილი. შევჩენკოს მიერ წარმოსახული უკრაინა არსებობს მითოლოგიურ და არა ისტორიულ დროში. მისთვის იგი სახელმწიფოა მთელი თავისი ატრიბუტიკით, მას აქვს საკუთარი ტერიტორია, ჰყავს ჰეტმანი, ჯარი, ასულდგმულებს ასწლოვანი ტრადიციებიდან ამოზრილი ეროვნული იდეალები. სინამდვილეში კი ეს, რა თქმა უნდა, ილუზიაა, ავტორისეული ფანტაზიის ნაყოფია, მითია, რადგან შევჩენკოსდროინდელ უკრაინას უკვე მსგავსი არაფერი გააჩნია, თვით იდეალებიც კი. ისინიც შევჩენკომ უნდა შეთხზას, ჩამოაყალიბოს, საზოგადოებას ჩაუნერგოს და პიროვნულად უქციოს. და ისიც ამ მიზნის მისაღწევად ძირფესვიანად ამოატრიალებს უკრაინულ რომანტიზმს, (რომელსაც საფუძვლად ედო ფოლკლორიზმი — ქრისტიანულ ეთიკასთან შეზრდილი ხალხური მითოლოგია და დემონოლოგია, ფანტასტიკური ბალადები და გალექსილი ნოველები) და თავისუფლებისმოძვარე მშობელი ხალხის გმირობასა და მოწამებრიობას გახდის უსაყვარლესი უკრაინის ხატის, ეროვნული მითის უმთავრეს ნიშან-თვისებებად.

როგორც თანამედროვე უკრაინელი მწერალი და მეცნიერი ოქსანა ზაბუჟკო შენიშნავს, შევჩენკოს მითი უკრაინის შესახებ იქმნებოდა ერთიანი შუასაუკუნეობრივი (ავტორის თქმით — ტრანსევროპული) მსოფლმხედველობის რღვევის შედეგად. ეს ის დრო იყო, როცა ეროვნული თვითშეგნების ჩამოყალიბების პროცესში მყოფ ეთნოსთა განცალკევებულობა სულიერ

სანქციონირებას საჭიროებდა და ამ თვალსაზრისით შევჩენკოსეული მითი თითქმის რეფორმაციის ჯუფთია.

სასხვათაშორისოდ უნდა ითქვას, რომ შევჩენკომდე ტერმინი „უკრაინა“ რუსეთის იმპერიაში მიღებული არ ყოფილა. ტერიტორიას, რომელიც ამჟამად ამ სახელწოდებითაა ცნობილი, მაშინდელი ოფიციალიზაცია და ლიტერატურაც უმთავრესად მალოროსიად მოიხსენიებდა. თვით შევჩენკოსაც მალოროსიელ პოეტსა და მხატვარს ეძახდნენ, რომლის ენაც ველიკორუსულის სამხრეთულ განშტოებად თუ დიალექტად მიაჩნდათ.

თუ რუსებისთვის პუშკინი „ჩვენი ყველაფერია“, შევჩენკო უკრაინელებისთვის „ყველაფერზე უფრო ყველაფერია“. უკრაინულ ენაში შევჩენკოზე უფრო ყოვლისმომცველი ცნება მხოლოდ თვით ცნება „უკრაინაა“, შევჩენკო უკრაინელისთვის ერთია, ერთადერთია, სამყაროს ჭიპია და მას აქ ვერ გაეჯიბრები. არც ღირს გაჯიბრება, რადგან სინამდვილეში საქმე გვაქვს სულ სხვა მოვლენასთან, სულ სხვა ფენომენტთან. უკრაინელის წარმოდგენით ტარას შევჩენკო არის აბსოლუტი, უზეშთაესი სუბსტანტი, რომელმაც საკუთარი შემოქმედებიდან, როგორც სავაოფმა თიხიდან ადამი, გამოძერწა თვითონ იგი, შთაბერა საკუთარი სული და შთააგონა: შენ ხარ უკრაინელი, მშობლიური მიწა-წყლის ბატონ-პატრონი, ექმენ მას ფარად და მცველად, იმედად და ნუგეშად აწ და მარადის, უკუნითი უკუნისამდე!

ეროვნული თვითშეგნების მატარებელ დღევანდელ უკრაინელს ვერ დააჯერებ, რომ მისი სათაყვანო გმირი და ყველაზე დიდი უკრაინელი დედამიწის ზურგზე ამავე დროს იყო სრულიად მიწიერი არსება და, როგორც ყველა ძეხორცეული, ცოდვის შვილი, რომისა და სიგარის მოყვარული, ქალების მეტრფე, მოქეიფე და პეტერბურგის მოდური სალონების სასურველი სტუმარი, რომელიც ისე იმშვენებდა მაღალ წიგნებში ტრიალს, გენერლებთან, თავადებთან და მებატონეებთან, თავის კლასობრივ მტრებთან, მეგობრულ ურთიერთობას, რომ თითქოს არც ნაყმევარი ყოფილა და არც ნასაღდათარი. დიახ, ბევრი ვინმე მოწმობს, რომ ეს ნამდვილად ასე იყო, მაგრამ კაცს ენა არ მოგიბრუნდება პოეტის გასამტყუნებლად: იგი დაჟინებით ცდილობდა წუთისოფლისთვის პირდაპირ ხელიდან გამოეგლიჯა მიწიერი სიამტკბილობა, რაც მას ჯერ გაუხარებლამ ყმობამ, მერე კი გადასახლება არ აღირსა. დღევანდელი ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, თავის დროზე შევჩენკო იყო ავან-





გარდისტი მხატვარი და მწერალი, სკანდალური ლექსებისა და პოემების ავტორი, თავზეხელაღებული ბოჰემა, რომელსაც განგებამ უამრავ განსაცდელსა და სატანჯველთან ერთად უზარმაზარი ნიჭი და მის დასახარჯად მეტად სპეციფიკური გარემო და მცირე დრო უბოძა. ამ „ყმა-ინტელიგენტის“ გარეგნული დარდიმანდობა, ჩემი აზრით, უსათუოდ სიყმაწვილის კომპლექსებისგან განთავისუფლების მცდელობაც იყო.

„ზოგის ცხოვრებაში შეიძლება დაითვალო მწუხარების დღეები, მის ცხოვრებაში კი — ბედნიერებისა,“ წერდა მხატვარი ლევ ჟემჩუნიკოვი და, ასეთ კაცს მართლაც ბევრი რამე უნდა ეპატიოს. თუმცა საპატიებელი მას არც არაფერი ჩაუდენია.

შევჩენკოსადმი თანამემამულეთა თითქმის საკრალური დამოკიდებულება კარგად შენიშნა უკრაინაში დავით გურამიშვილის საფლავის მოსაძებნად ჩასულმა კონსტანტინე გამსახურდიამ, რომელიც თავის „უკრაინის თემიდში“ 1930 წელს წერდა: „ჯერაც არ შეწყვეტილა შევჩენკოს პიროვნების გალევანდება, მისი ხსოვნა პირამიდალურად იზრდება აწ გათვითცნობიერებული უკრაინის ნაციის წარმოდგენაში... იგი მარტო მწერალი როდია უკრაინელთათვის, არამედ უკრაინის კულტურული პატრიოტიზმის მამამთავარი, დიდი რეფორმატორი და ნაციონალური კულტურის დამფუძნებელი“.

და მართლაც, ტარას შევჩენკომ თავისი „კობზარი“ ერთმა პირველთაგანმა გაუნაღდა უკვდავება თავის ერს, ენას, კულტურას, დიდ სულიერ მემკვიდრეობას.

„კობზარი“ ყველა დროის უდიდესი, უკვდავი, სისხლითა და ცრემლით გაჯერებული უკრაინული წიგნია, რომელშიც სევდაცა და სიხარულიც, სასოწარკვეთაცა და მომავლის ურყევი რწმენაც უღრმესად და უვნებიანესადაა გამოხატული.

ამავე დროს „კობზარი“ უთუოდ აღმსარებლური, მეტად პიროვნული, ინტიმური ხასიათის წიგნიცაა. სტატისტიკის მოყვარულებს დაუთვლიათ, რომ მასში ნაცვალსახელი „მე“ 1261-ჯერაა ნახსენები. ავტორი ყველაფერს საკუთარი პოზიციიდან უმზერს, აღიქვამს, აფასებს. მისი ყოველი სტრიქონი, ბანალურად რომ ვთქვათ, გამოწრთობილია საკუთარი სულის ქურაში, დამშვენებულია ოსტატის პირადი დამლით, რაც განსაკუთრებულ ხიბლსა და დამაჯერებლობას მატებს მათ.

ენისა და მხატვრული ფორმის უფაქიხესი შეგრძნება, სახისა და აზრის სისადავე, თვით ცხოვრებიდან აღებული პოეტური

შინაარსის მრავალსახოვნება, იდეალურისა და ინდივიდუალურის მთლიანობა — აი, „კობზარის“ ღირსებათა არასრული ნუსხა, რაც იზიდავდა და კვლავაც მიიზიდავს მშვენიერისა და ამაღლებულის თავყანისმცემელთ.

ტარას შევჩენკომ მოახერხა თავისი დიადი კრებული სამშობლოს სადარაჯოზე, მისი ხელშეუხებლობის საგუშაგოზე დაეყენებინა, რამაც მეფის ხელისუფლება სერიოზულად დააფრთხო. იმის შიშით, ვაითუ უკრაინული წიგნების შემდგომ გამოცემას მოსახლეობის სეპარატისტული და ანტიმეფური განწყობილებები მოჰყვესო, 1863 წლის 30 ივლისს რუსეთის იმპერიის შინაგან საქმეთა მინისტრმა პეტრე ვალუევმა ტერიტორიულ საცენზურო კომიტეტებს საიღუმლო ცირკულარი დაუგზავნა რელიგიური და სასწავლო-საგანმანათლებლო წიგნების „მალოროსიულ“ ენაზე გამოცემის აკრძალვის შესახებ. მართალია, იგი არ ეხებოდა მხატვრული ლიტერატურის ბეჭდვას, მაგრამ, სამწუხაროდ, სულ მალე ასეთი დროც დადგა: რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე მესამემ 1876 წლის 18 მაისს გერმანულ ქალაქ ბად-ემსში ხელი მოაწერა განკარგულებას, რომელიც უკრაინული ენის კულტურის სფეროდან გამომდევნას და მხოლოდ სასაუბრო-ყოფითი სფეროთი შემოფარგვლას ითვალისწინებდა. იგი უკვე პირდაპირ კრძალავდა უკრაინულ ენაზე ნებისმიერი წიგნის ბეჭდვას, სპექტაკლის დადგმას, სიმღერის სასცენო შესრულებას, სკოლებში სწავლებას.

ეს დოკუმენტი ცნობილია როგორც „ემსკის ბრძანებულება“ და „ვალუევის ცირკულართან“ ერთად ითვლება თვითმპყრობელობის ერთ-ერთ ყველაზე ქსენოფობურ და სამარცხვინო „საკანონმდებლო“ აქტად.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ სწორედ „კობზარი“ იყო ის უმთავრესი ძალა, რომელმაც მოიგერია იმპერიის არნახული ვანდალური შემოტევა, უკეთუ მისი ყოველი სტრიქონი დაღადებდა თვითმყოფადი ენის, პოეზიისა და კულტურის არსებობას, ამიტომაც ვერ შესძლო ცარიზმმა უკრაინული ლიტერატურის მოსპობა, თუმცა გარკვეულ ეტაპზე მისი განვითარების შეფერხება მოახერხა.

ქართველი კაცის წარმოდგენაში „კობზარი“ უთუოდ გამოიწვევს „დავითიანის“ პარალელს. როგორც მათი ავტორები ჰგვანან ერთმანეთს, ასევე მათი წიგნებიც. ერის ისტორიაში ჩაწნული ავტობიოგრაფია, ერის უბედობის ფონზე დახატული

საკუთარი უბედობა, — აი, ის მაგისტრალური ხაზები, რომლებიც აერთებს და ანათესავებს ამ ორ დიდ შემოქმედს.

არსებობს მათ ბიოგრაფიებში საინტერესო ანტიპარალელებიც: 24 წლის გურამიშვილი ლეკებმა დაატყვევეს; 24 წლის შევჩენკო რუსმა ინტელიგენტებმა ყმობიდან გამოისყიდეს; 24 წელიწადი გურამიშვილი მემამულე იყო; 24 წელიწადი შევჩენკო მემამულის ყმა იყო; და ბოლოს, კვლავ მსგავსება: შევჩენკო, ისევე როგორც გურამიშვილი, უშვილდობოდ გადაეგო. კაცმა რომ თქვას, პირადი ცხოვრების მოსაწყობად მას არც დრო ჰქონია და არც პირობები. ხმაში ბზარგაპარული მაინც წაიოცნებებდა ხანდისხან: სახლს დავიდგამ, ბაღს გავაშენებ და ჩემს პატარა სამოთხეში ვინეტარებო, მაგრამ ეს თვითდამშვიდება უფრო იყო, ვიდრე ნამდვილი ოცნება.

ტარას შევჩენკოს მთელი შემოქმედება გამსჭვალულია ღრმა სევდით ზაპოროჟიის სიჩის დანგრევის, ეროვნული დამოუკიდებლობის დაკარგვის გამო. ამ მხრივ იგი მოგვაგონებს ქართველ რომანტიკოსებს — ალ. ჭავჭავაძეს, გრ. ორბელიანს, ნ. ბარათაშვილს. როგორ ჰგავს მისი: „არ არის ქვეყნად სხვა უკრაინა, სხვა დნიპროც ქვეყნად აღარსად არი“, გრ. ორბელიანის თითქმის აკნიდან ნაცნობ სტრიქონებს: „სხვა საქართველო სად არი, რომელი კუთხე ქვეყნისა!“

ასევე პირდაპირი გადაძახილი ისმის შევჩენკოსა და ილიას ამ სტრიქონებს შორის:

ასჯერ მტრისას ძილი, ძილი,
სამშვიდობოს ძილი

ტ. შევჩენკო

ოჰ, ღმერთო, ღმერთო, სულ ძილი, ძილი,
როსღა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება.

ი. ჭავჭავაძე

შევჩენკოს პოეზია განსაკუთრებით ეხმიანება „ბედი ქართლისაში“ წამოჭრილ პრობლემებს, ოღონდ კობზარი უფრო აქიაქებს ბოგდან ხმელნიცკის, ვიდრე ბარათაშვილი ერეკლე მეორეს.

ამ ორ დიდ პოეტზე საუბრისას ლიტერატურის ისტორიაში ჩახედულ ქართველ მკითხველს შეუძლებელია კიდევ

ერთი საინტერესო ასოციაცია არ აღეძრას. ზოგს იგი იქნებ ხელოვნურადაც მოეჩვენოს, მაგრამ ნუ ვიჩქარებთ დასკვნის გამოტანას და ვენდოთ აზრის ლოგიკურ მდინარებას, რაც პირადად მე შემდეგნაირად წარმომიდგება:

რუსეთ-კავკასიის ომმა სხვა მრავალთა შორის ორი გენი-ალური ნაწარმოები შვა — ბარათაშვილის „მერანი“ და შევჩენკოს „კავკასია“. მართალია, მათი დაწერის მიზეზები კარდინალურად განსხვავებული იყო: ქართველ პოეტს კალამი ხელში ააღებინა მთიელთა მიერ ღვიძლი ბიძის ილია ორბელიანის მოტაცებამ (რომლის განთავისუფლებაც მერე მოხერხდა), შევჩენკოს კი ასევე მათ მიერ მხატვრის, 1844 წლის ხელნაწერი „კობზარის“ დამსურათებლის, რუსეთის არმიის ოფიცრის იაკობ დე ბალმენის მკვლელობამ. წარმოშობით ფრანგი ბალმენი ჩერნიგოვის მხარეში დაიბადა, იყო ერთი წლით უფროსი შევჩენკოზე, ჰქონდა მასთან ხანმოკლე ნაცნობობა, რაც მეგობრობაში გადაიზარდა. კავკასიის ფრონტზე მისმა დაღუპვამ პოეტი შესძრა, მაგრამ, როგორც ხშირად ხდება ხოლმე დიდი ხელოვანის შემოქმედებაში, პირადი განცდები გასცდნენ ამ კონკრეტულ ფაქტს და უზარმაზარი საზოგადოებრივი ჟღერადობა შეიძინეს.

ასევე მწარედ განიცადა თავისი უახლოესი ნათესავის ტრაგიკული ბედი ნიკოლოზ ბარათაშვილმა, რომელმაც შექმნა განსაცვიფრებლად ემოციური და ამასთანავე ფილოსოფიური განსჯით აღსავსე ლექსი, „თავისუფალი გონების უნივერსალურ განძად“ (გ. ასათიანი) რომ აღიქმება.

მკითხველი, რომელმაც არ იცის „მერანის“ დაწერის წინაისტორია, მისი ტექსტის მიხედვით ვერ მიხვდება („კავკასიისაგან“ განსხვავებით) თუ რამ დააწერინა იგი პოეტს. ამავე დროს ბარათაშვილს აქვს ერთი ფრიად გრძელსათაურიანი ლექსი „ომი საქართველოს თავადაზნაურ-გლეხთა პირის-პირ დაღისტნისა და ჩეჩნელთა, წელსა 1844-სა, მძღვანელობისა ქვეშე ღუბერნიის მარშლის თავადის დიმიტრი თამაზის ძის ორბელიანისა“, რომელშიც ხოტბაშესხმულია თანამემამულეების მიერ მთიელ მეზობლებთან შეტაკებისას გამოჩენილი გმირობა. აქ ბარათაშვილი და შევჩენკო დგანან სხვადასხვა, აბსოლუტურად ურთიერთსაწინააღმდეგო პოზიციებზე; მიზეზი, რა თქმა უნდა, დიდი ქართველი პოეტის რეაქციულ სულისკვეთებაში კი არა იმ ის, ტორიულ რეალიებშია საძებნი, რომლებიც მოწმობენ კავკასიელ ერთა არაერთსახოვან ურთიერთობებზე (მსოფლიოში





ძნელად მოსაძებნია მეზობელი ქვეყნები, რომლებსაც მუდამ მეგობრული, უღრუბლო დამოკიდებულება ჰქონოდათ).

მას შემდეგ, რაც ჩრდილოეთ კავკასია გამუსულმანდა, უძველესი მართლმადიდებლური ქვეყანა საქართველო სხვადასხვა ჯურის მთიელ ტომთა პერმანენტულ თავდასხმებს განიცდიდა. ეს თავდასხმები კატასტროფული გახდა XVIII საუკუნის დასაწყისში, როცა ირან-თურქეთის მიერ დანაწევრებულ და შიდაფეოდალური შუღლით დაუძლურებულ ჩვენს ქვეყანას მათი გაძლება უკვე არ შეეძლო. ჩრდილოელ მეზობელთა პატარ-პატარა, კარგად აღჭურვილი და მობილური რაზმები ხან აქ, ხან იქ მოულოდნელად გამოჩნდებოდნენ ხოლმე, იტაცებდნენ გოგო-ბიჭებს, ქონებას, მიერეკებოდნენ საქონელს. მთიელთა ერთ-ერთი ასეთი ავაზაკური თავდასხმის მსხვერპლი გახდა დავით გურამიშვილიც.

კავკასია, სამწუხაროდ, (ან იქნებ სულაც საბედნიეროდ!) არასოდეს ყოფილა ერთიანი პოლიტიკური და, მით უფრო, ენობრივ-კულტურული ორგანიზმი. ეს ერთის მხრივ ხელს უწყობდა ამ მხარის მრავალი ეთნოსის უნიკალური მატერიალური და მხატვრული კულტურის განვითარებასა და შენახვას, მისი სამყაროს მინიატურულ მოდელებად გადაქცევას, მეორეს მხრივ კი მათი დაქსაქსულობა, გათიშულობა, რელიგიისა და ადათ-წესების განსხვავება ხშირად იწვევდა მათ შორის მტრობას, რამაც ისინი საბოლოოდ ჩაუგდო ხელში უზარმაზარ მტაცებელს — რუსეთის იმპერიას, რომელიც გამუდმებით იფართოებდა საზღვრებს ყველა შესაძლო მიმართულებით.

უნდა ითქვას, რომ ცარიზმის სტრატეგოსები მოხერხებულად იყენებდნენ კავკასიელ ხალხთა ისტორიულ-კულტურული განვითარების, მენტალიტეტის, ტემპერამენტის, მთლიანად ეროვნული ხასიათის თავისებურებებს. მათ მიზნად დაისახეს კავკასიის კოლონიალური ათვისება და ამ მიზნის მისაღწევად ცდილობდნენ არ დაეშვათ თვით კავკასიელთა ურთიერთდაახლოება. იყენებდნენ ყველა ნებადართულ თუ აკრძალულ ხერხს „გათიშე და იბატონეს“ პრინციპის სამოქმედოდ. (როცა, მაგალითად, 1915 წელს თურქეთში სომეხთა ხოცვა-ჟლეტა დაიწყო, მეფის ხელისუფლებამ ლტოლვილები არ შეუშვა მათ ისტორიულ სამშობლოში და ისინი ნახევრადგამაჰმადიანებულ სამხრეთ საქართველოში ჩაასახლა, რათა იქ ყოველი შემთხვევისთვის ეთნიკური კონფლიქტის დაკონსერვებული კერა ჰქონოდა).

რუსეთს, სხვათა შორის, არასოდეს დაუმაღლავს სურვილი დაემორჩილებინა მთელი კავკასია, ექცია იგი იმპერიის სამხრეთ ფორპოსტად, საუკუნოდ დამკვიდრებულიყო შავი ზღვის სანაპიროზე. ამ მიზნისკენ იგი ოთხი საუკუნე მოდიოდა. მოდიოდა ჯიუტად, ნაბიჯ-ნაბიჯ, ადამიანურ თუ მატერიალურ რესურსთა დაუზოგავად.

რუსეთმა დროებით მართლაც დაიმორჩილა კავკასია. ზოგიერთი ერი მას “ნებაყოფლობით” ორმხრივი დიპლომატიური ხელშეკრულების საფუძველზე შეუერთდა, რომელიც სულ მალე ცალმხრივად გაითელა. ზოგიერთმა კიდევ ხანგრძლივი წინააღმდეგობის შემდეგ ხმალი ქარქაშში ჩააგო და თავი ისე მოაჩვენა, თითქოს დანებდა. დამორჩილების მაგალითი, თანაც მრავლისმეტყველი, საკმარისად იყო. დამარცხებისა და ტყვედ აყვანის შემდეგ დაღესტნის დიდი იმამი შამილი რუსულ ელიტაში შედის, მისი ვაჟები იმპერიის არმიის გენერლები ხდებიან, დამორჩილებულ კავკასიელ ერთა წარმამადგენლებისგან იქმნება ეგრეთწოდებული “ველური დივიზია”, ხოლო რჩეული ჩეჩენი მეომრები კი (კინალამ „ბოევიკები“ დაწვერე!) ხელმწიფის ოჯახს იცავენ. მე უკვე არას ვამბობ ბევრ ქართველ დიდებულზე, რომლებიც აქტიურად ავსებდნენ რუსული გენერალიტეტის რიგებს. მათ, ვინც დამარცხებას არ ურიგდება, ძალით ასახლებენ ეთნიკური სამშობლოს გარეთ. (ეს უცილო ფაქტი, სხვათაშორის, მოწმობს იმას, რომ ერთა დეპორტაცია სულაც არაა სტალინის გამონაკონი).

მთელი ეთნოსების მშობლიური ადგილებიდან აყრა, რამაც საბჭოთა პერიოდში მართლაც ამაზრზენ მასშტაბს მიაღწია, XIX საუკუნეში რუსეთის იმპერიის მიერ გამოცდილი პრაქტიკის პედანტური გაგრძელება იყო; რუსეთთან კავკასიის „მშვიდობიანი“ მიერთების შემდეგ მკვიდრი ადგილებიდან გაასახლეს აფხაზები, ჩერქეზები, უბიხები (ამ უკვე გამქრალი ერის ტრაგიკულ ბედზე შეგიძლიათ წაიკითხოთ აფხაზი მწერლის ბაგრატ შინქუბას წინში „უკანასკნელი უბიხი“. იმ საშინელ დროთა სახსოვრად აფხაზურ ენაში დღემდე არსებობს სევდიანი სიტყვა „მაჰაჯირი“, რაც ძალით გაძევებულს, დეპორტირებულს ნიშნავს).

უკრაინელი პოეტი „კავკასიაში“ დაუნდობლად ახევს ნიღაბს იმპერიული ამბიციებით შეპყრობილ მჩაგვრელებსა და დამპყრობლებს, მათ, ვინც სინამდვილეში „ლაქიები, პირფერები, ღვთისგან შეჩვენებულნი“ არიან, იგი შესაშური პირდაპირობითა

და შემართებით ააშკარავენს დიდმპყრობელური შოვინიზმის მთელ ანატომიას, გვიჩვენებს ადგილობრივი ხალხების მიმართ შეუფარავ ცინიზმსა და ღრმა უპატივცემლობას ოფიციალური ხელისუფლების მხრიდან, რომელსაც სურს, რომ მზის სინათლისთვისაც ხარკს უხდიდნენ.

საინფორმაციო საბაზმა, როგორც დღეს იტყვიან ხოლმე, ორი სხვადასხვა ეროვნების პოეტში, ორი განსხვავებული რეაქცია გამოიწვია. ბარათაშვილს მან გაუძმაფრა ისტორიული ხსოვნა, თვალწინ გაუცოცხლა ლეკიანობის სურათები, შეეჩენკოს კი ერთხელ კიდევ შეახსენა თუ ვის უღელქვეშ გმინავდა მისი სამშობლო. „კავკასიაში“ შეეჩენკო ამხელს ცარიზმს არა მარტო როგორც უკრაინის ჯალათს, არამედ სხვა მრავალ ერთა სულთამხედელსაც და სწორედ ესაა მისი შემართების ქვაკუთხედი.

სლავი შეეჩენკო კი არ იწონებს, არამედ გადაჭრით გმობს „სლავური იარაღის“ აგრესიულობას, სლავი მეფის დიდმპყრობელურ მადას. კავკასიას იგი უყურებს კეთილმოსურნის, მეგობრის, თანამოაზრის თვალთ. რადგან ახსოვს იმავე „განმანათლებლების“ მიერ გაქვლილი მშობლიური ისტორია, გათხრილ-გაძარცვული ყორღანებიდან რომ შემოჰდალადებს მას.

შეეჩენკომ კალმის ძუნწი მოსმით გადმოგვცა რუსული ტირანიის ცინიკური არსი, რაც სავსებით დაადასტურა საბჭოურმა სინამდვილემაც:

ჩვენ თვალუწვდენი გვაქვს მიწა-წყალი,
აღუწყავია ციმბირის მადლი.
ციხეში გვიზის მავნე და მტერი!
მოლდაველის და ფინელის ჩათვლით
ყველა ენაზე დუმს ყველა ერი,
ნეტარებს რადგან...

აშკარაა მასშტაბურობა და ყოვლისმომცველობა პოეტური დაკვირვებისა, რომელშიც ფოკუსირებულია დამონებულ ხალხთა ეროვნული ტრაგედიები:

გვერდით ჯალათი დგას ამაზრზენი,
ხოლო სიმართლეს მთვრალივით სძინავს.

შეეჩენკო დაურიდებლად დადგა სიმართლისა და სამართლიანობის, სიკეთისა და კეთილშობილების მხარეზე, მან გულახდილად გამოხატა ძალადობითა და მკრეხელობით

გამოწვეული აღშფოთება, მრისხანედ გაამათრახა ეროვნული ქედმაღლობა და სიყოფიერება.

იმავე „უკრაინის თემიდში“ კონსტანტინე გამსახურდია გოგოლზე საუბრისას, ჰქონდა რა მხედველობაში მისი უკრაინული წარმოშობა, წერს: ვერც ერთი რუსი ვერ შენიშნავდა ასე მკაფიოდ რუსული ცხოვრების უარყოფით მხარეებსო. მსგავსი რამ შეიძლება ითქვას შეეჩენკოზეც, რომელიც თავის სახელოვან მოძმესავით არა მარტო ამჩნევდა მათ, არამედ ამხელდა კიდევ. მისი „კავკასია“ თავისებური კოდექსია უკრაინული ლიტერატურის სახელმძღვანელოს, მხატვრული მანიფესტია მისი სულიერი პირველსაწყისებისა.

გულუბრყვილობა იქნებოდა გვეფიქრა, რომ „კავკასია“ მხოლოდ კავკასიაზეა. როგორც ყველა ჭეშმარიტად გამორჩეულ ქმნილებას, მასაც აქვს პირდაპირი და სიმბოლური შინაარსი. ერთი შეხედვით შიშველი პუბლიცისტური რეჩიტატივის მიღმა ილანდება უფრო რთული, მეტაფორული დონე, რომელსაც ჰქმნის პრომეთეოსის, თავად კავკასიისა და უკრაინის სამი ურთიერთდაკავშირებული მხატვრული სახე.

სადღაც, ძალიან შორს, ბინდმოგარსულ მთებს იქით ჩაკარგულა პრომეთეოსის მარადიული ტანჯვის რომანტიკული და ამასთანავე ტრაგიკული მხარე. პრომეთეოსი — სიკეთის უკვდავი სიმბოლო — უსიტყვოდ იტანს ყველა განსაცდელს, რათა ადამიანებს უჩვენოს სიმტკიცისა და გამძლეობის მაგალითი, დაარწმუნოს ისინი ბოროტების წინააღმდეგ თუნდაც საკუთარი წამების ფასად ბრძოლის აუცილებლობაში (“პრომეთე, ღირდა? — ღირდა, ცხადია! — მან ღრუბლებიდან მომიგო ასე!..“ — ადასტურებს თითქოს ამ აზრს ლინა კოსტენკო).

კავკასია პოემაში წარმოსდგება როგორც არწივის მიერ დაძიძგნილი რაინდის განზოგადებული სახე, რომლის პორტრეტული დახასიათებისთვის ავტორს ჰყოფნის რამდენიმე ტრადიციულად გავრცელებული შტრიხი („მთებს გადაღმა მთები...“, „მჭადი...“ და სხვა), რადგან მისთვის მთავარია არა რეალური კავკასიის გამოწველივით დახატვა, არამედ თავისუფლებისმოყვარე მთიელთა ძარცვის, შეურაცხყოფის, ოკუპაციის დამაჯერებლად ჩვენება. ამ თვალსაზრისით პოეტი აღწევს მაქსიმალურ ეფექტს: მის მიერ გაშარუებული ყვეფი, არამზადა დამპყრობელი მკითხველში ცალსახა ზიზღსა და უარყოფას იწვევს.



იმავე მძარცველის მიერ კავკასიის ეპოპეამდე დიდი ხნით ადრე გავერანებული უკრაინის სახე აგვირგვინებს პოეტის ფიქრს თავისუფლებაზე, ეროვნულ ღირსებაზე, სულის სიდიადეზე.

საბჭოთა „ხალხთა მეგობრობის“ ეპოქაში, როცა არ იყო მიღებული (უფრო სწორად — ნებადართული) „უხერხულ“ წარსულზე საუბარი, „კავკასიამ“ თითქოს დაკარგა პოლიტიკური სიმწვავე და მას განიხილავენ მხოლოდ როგორც მაღალმხატვრულ პოეტურ ნაწარმოებს. რუსულ-კავკასიური კონფლიქტის ახალმა აფეთქებამ, ჩეჩნეთში ფართომასშტაბური სამხედრო ოპერაციების გაშლამ, 2008 წლის აგვისტოში კი საქართველოზე რუსეთის ვერაგულმა თავდასხმამ და მთელ სამხრეთ კავკასიაში შექმნილმა დაძაბულმა ვითარებამ ისევ გააღვივა ინტერესი შევჩენკოს პოემის მიმართ, რომელშიც დრო თითქოს გაყინულა და მარადიულ აწმყოდ ქცეულა. ნაწარმოების ლიტერატურული, სოციალური თუ ისტორიული კონტექსტი თითქმის არ შეცვლილა, შეიცვალენ მხოლოდ მოქმედი პირები და შემსრულებლები.

ტარას შევჩენკოს პოემა „კავკასია“ კვლავ შეგვახსენებს მისი ძირითადი პოსტულატების პლანეტარულ მნიშვნელობასა და აქტუალობას, შეგვახსენებს ერთა და სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის უალტერნატივობას, კულტურათა შორის მუდმივი დიალოგის აუცილებლობას.

თანამედროვეობის პრიზმიდან დანახული ნამყო და ბოლო ნერვამდე გაშიშვლებული აწმყო შევჩენკოს ბობოქარი პოეზიის ორი უმთავრესი, მაცოცხლებელი წყარო. მის პიროვნებაში განუმეორებელი უშუალობით შეერწყა ერთმანეთს დინჯი ეპიკოსისა და ფიცხელი სატირიკოსის ელვარე ნიჭი.

„ფოლადის გული უნდა გქონდეს, სურათი რომ დახატო, პოეტს ფოლადის გული სჭირდება, რათა საკუთარ თავში ლექსი დააფრთიანოს,“ — შენიშნავდა თავის დღიურში დელაკრუა. თუ ეს მართლა ასეა, მაშინ შევჩენკოს, პოეტსა და მხატვარს, ორმაგი ფოლადის გული სჭირდებოდა. და იგი მართლაც წკრიალებდა ნაწრთობი ფოლადივით, მისი ღრმა, ბროლივით სუფთა ოცნებებებისა და იმედების კამერტონივით.

ყველას გვახსოვს აკაკის უღრმესი გულისტკივილითა და ამავე დროს მამულიშვილური გულახდილობით ნათქვამი: „ფურთხის ღირსი ხარ, შენ, საქართველო!..“ ასევე ახსოვს და ვერც ვერასოდეს დაივიწყებს უკრაინა ეროვნული

სიამაყის გრძობადაკარგულ მოლაყბეთა მიმართ შევჩენკოს გამანადგურებელ სარკაზმს, რომელიც ჩაქსოვილია პოემაში „მკვდარ, ცოცხალ და ჯერარშობილ თანამემამულეებს ჩემსას უკრაინასა და უკრაინის მიღმა ჩემი მეგობრული უსტარი:“

„მოგოლებო, მოგოლებო,“
გეტყვით გერმანელი.
თქვენ ხართ ოქროს ტამერლანის
ბადიშები ბნელი.

გეტყვით იგი: „სლავები ხართ!“
თავს დაუკრავთ: „ვართო!“
სახელოვან დიდ პაპათა
მოღვმა უწადმართო.

თანამემამულეთადმი ასეთი გააფთრებული შეტევის, მათი მწარედ დატუქსვის უფლება მხოლოდ ერის წინამძღოლსა და წინასწარმეტყველს ჰქონდა და თუმცა თვითონ შევჩენკოს პრაქტიკული მოქმედების საშუალება არ გააჩნდა, მისი ბასრი, უღმობელი სიტყვა თავისას მაინც აკეთებდა.

შევჩენკოს ახლო მეგობრის პანტელეიმონ კულიშის ნათქვამია: „მან ფართოდ ჩაიხუტა გულში უკრაინა თავისი ყორღანებითა და სისხლიანი, საშინელი სახელ-დიდებით, და ხალხის ნამდერი აქცია ფერწერად იმისა თუ რა იყო და რა არის ამჟამად უკრაინაში... და იმ დროიდან ჩვენში ყველანი დაიყვნენ ცოცხლებად და მკვდრებად, და კიდევ დიდხანს დაიყოფიან“.

ცხოვრებაში ბედნიერ პოეტებს იშვიათად შეხვდებით. ტარას შევჩენკო, როგორც პიროვნება, ერთი ყველაზე უბედურთაგანი იყო, მაგრამ მან იცოდა, რომ იტანჯებოდა უკრაინისთვის, მისი მერმისისთვის და ეს შთააგონებდა შემოქმედებით სიქველეს, ცხოვრებისეულ გამირობას.

დიახ, ტარას შევჩენკო პირად ცხოვრებაში უბედური იყო, მაგრამ პარადოქსი ის გახლავთ, რომ ამჟამად ძნელია მასზე ბედნიერი პოეტის დასახელება. მისი სახელი ძვირფასი და მახლობელია ყველასთვის, ვისთვისაც ძვირფასი და მახლობელია წმინდა ადამიანური გრძობები და მისწრაფებები, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მარადიული იდეალები.

გასული საუკუნის ოთხმოციანი წლების დამდეგს უკრაინაში დაწესდა ლიტერატურისა და ხელოვნების დღესასწაული, რომელიც ყოველწლიურად შევჩენკოს დაბადების



დღეს, ცხრა მარტს იწყება. ჩვენში გავრცელებული სახალხო დღესასწაულების ანალოგიით „ტარასობა“ მოუხდებოდა მას. ერთ-ერთ ასეთ „ტარასობაზე“ ირაკლი აბაშიძე მოიწვიეს. მახსოვს, როგორ იქუნა ტაშიმა კიევის საოპერო თეატრის ხალხით გაჭედებულ დარბაზში, როცა ბატონმა ირაკლიმ თქვა: მე ერთი მცირედთაგანი გახლავართ ცოცხლად დარჩენილთა შორის, ვინც 1939 წელს შევჩენკოსადმი მიძღვნილ პირველ დიდ ზეიმზე კანევიში ქუდმოხდილი იდგაო.

შორეული დრო გაიხსენა გამოჩენილმა პოეტმა. მე მაშინ დაბადებულნიც არ ვიყავი. როგორც ბევრმა ჩემმა თანატოლმა, შევჩენკო „ანდერძის“ სიმონ ჩიქოვანისეული თარგმანით გავიცანი. მერე ბედმა დიდი ხნით ჩამიყვანა კიევიში, მაზიარა უკრაინული ენის მშვენიერებას, საუკუნოდ მომხიბლა კობზარის ღვთაებრივი ლექსით. დღეს უკვე ნიშანდობლივად მეჩვენება, რომ კიევის შემდეგ პირველად სწორედ კანევიში მოვხვდი.

ჩვენ უთენია დაფუყევით დნიპროს დინებას, გაღმა-გამოღმა შეფენილი ჩანდა სოფელი. ქარის წისკილი ფრთებს იქნევდა, როგორც პროპელერს, და იმ დღეს ჩვენი მეგზურობა ქარმა ინება. გვცემდა სურნელი ნაჩალარის და ნაყანევის, დნიპროს ახსოვდა, ბორისთენი რომ ერქვა წინათ. თეთრად გახაზეს თოლიებმა „რაკეტის“ მინა, და საწიერზე სიზმარივით აღჩნდა კანევი. ჩვენ დავინახეთ: ფრიალოდან სივრცეს მშობლიურს ჩაფიქრებული გასცქეროდა ლექსის სარდალი, სინდისის, ქვეყნის, მომავლის წინ ალაღმართალი, და ჭეშმარიტად საამსოფლიო. მე მისი წიგნი სასთუმალთან ხშირად მდებია, მიგრძნია გესლი უკრაინის მოსისხლე მტერთა და რასაც იგი აღტყინებით დე ბალმენს სწერდა, კავკასს დიდების შარავანდად შემონთებია. ჩვენ დავინახეთ: აფოფრილი იყო ტყე-ველი, შემოგარენი მიაგავდა ვეება ოფორტს. ლექსის სარდალი გასცქეროდა დინებას, როგორც იქ, იორდანეს წმინდა ზვირთებს ნათლისმცემელი.

ეროვნული გენიის მარადიულ სავანემდე მოგზაურობა დიდი ხანია იქცა თავისებურ წმინდა რიტუალად ყველასთვის, ვისაც სურს შეიცნოს და გაიგოს კაზაკთა გვარჯილაგი, შევჩენკო ხომ

უკრაინისთვის არა მარტო დიდი პოეტი და მხატვარია, არამედ მისი უკვდავების სიმბოლოცაა, უცვლელი სულიერი, ზნეობრივი და ესთეტიკური ორიენტირია საუკუნეთა ორომტრიალში. შევჩენკოს ბაგეებით უკრაინამ მსოფლიოს უთხრა განუმეორებელი სიტყვა და ამით სამუდამოდ განსაზღვრა თავისი კუთვნილი ადგილი უკვდავთა თანავარსკვლავედში.

შემდეგაც არა ერთგზის ვმდგარვარ ჩერნეჩის გორაზე საზეიმო წუთებში, როცა „გელები უსამანო, დნიპროც, კბოდეც სველი“, სხვადასხვა ერების წამომადგენლებთან ერთად აყურადებდნენ „ანდერძის“ მძლავრ აკორდებს და ჩვეულებრივ სადავ დღეებშიც, როცა ნაკრძალის საზეიმო სიხუმეს მხოლოდ ბუღბუღლთა გალობა არღვევდა.

რაზე უნდა იფიქრო ქართველმა კაცმა აქ, ამ დიად კვარცხლბეკთან, სადაც განისვენებს ნეშტი ერთი ყველაზე უგამოჩენილესი ადამიანისა, რომელიც კი ოდესმე ამ ქვეყნად დაბადებულა? რა თქმა უნდა, იმაზე თუ რითაა ძვირფასი არა მარტო შენთვის, არამედ შენი ქვეყნისთვისაც კობზარის ხსოვნა. მისი მწერლური და მხატვრული მემკვიდრეობა.

შევჩენკოს პიროვნების პირველი ქართველი შემფასებელი იყო გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე დიმიტრი ყიფიანი. პეტერბურგიდან გამოგზავნილ წერილში იგი მეუღლეს უზიარებს 1860 წლის 10 სექტემბერს პასაჟში გამართული ლიტერატურული კითხვით მიღებულ შთაბეჭდილებებს: „კითხულობდნენ: ბენედიქტოვი — მშვენივრად, ჩვენი პოლონსკი, იგი აქ ახლა შესანიშნავი პოეტია, — კარგად, მაიკოვი — მშვენივრად, დოსტოევსკი, პისემსკი — საშუალოდ და შევჩენკო, მალოროსიელი პოეტი და მხატვარი, საუცხოოდ. დარბაზი გაჭედილი იყო“.

ქართველებთან ურთიერთობა შევჩენკოს ჯერ კიდევ პეტერბურგის სამხატვრო აკადემიიდან ჰქონდა. 1837 წლიდან იქ სწავლობდა მისი თანატოლი გრიგოლ მაისურაძე, შემდგომში ცნობილი რეალისტი მხატვარი; ისიც შევჩენკოსავით ნაყმევი იყო, მაგრამ ჩლუნგი ენგელგარდტისგან განსხვავებით მისი მებატონე აღექსანდრე ჭავჭავაძე ადამიანის ნიჭს პატივს სცემდა, ამიტომაც სწავლასმოწყურებულ ახალგაზდას არა მარტო თავისუფლება უბოძა, არამედ ხელიც წააშველა და კარლ ბრიულოვის კლასში მოაწყო.

ლეგენდად იქცა შევჩენკოს ერთადერთი შეხვედრა ოცი წლის აკაკი წერეთელთან პეტერბურში, პროფესორ კოსტო-





მაროვის ბინაში. უკრაინელი პოეტი ჭაბუკ თანამოსაუბრეს ეკითხებოდა ქართულ ანბანზე, ლიტერატურაზე, ისტორიაზე და მოსმენილით აღრფოვანებულმა შესძახა თურმე: „რა ბევრი რამა აქვს საერთო ამ ხალხს ჩვენს ხალხთან!“

პოეტები შეთანხმებულან ხშირად შეხვედროდნენ ერთმანეთს, მაგრამ, სამწუხაროდ, აკაკის მალე ტიფი შეეყარა, შევჩენკო კი მოულოდნელად გარდაიცვალა.

ქართველ პოეტს სიცოცხლის ბოლომდე გამოჰყვა კობზარისადმი სიყვარული და პატივისცემა, რაც მან გულწრფელად დაადასტურა არა მარტო თავის წერილობით მოგონებებში, არამედ საჯარო სიტყვაშიც, რომლითაც შევჩენკოს ასი წლის იუბილეზე შეკრებილ თბილისელ უკრაინელებს მიმართა. როცა აკაკის უთქვამს: ასეთ დიდ ადამიანებს მხოლოდ დიდი ერი წარმოშობს, მაგრამ ისინი გარდა საკუთარი ერისა სხვებსაც ეკუთვნიან და ამიტომ ნება გვიბოძეთ, რომ ჩვენც, ქართველებიც, შევუერთდეთ თქვენს დღესასწაულს და პატივი ვცეთ დიდი უკრაინელის ხსოვნასო, მთელი დარბაზი ფეხზე წამომდგარა და ხანგრძლივი ოვაცია გაუმართავს. (სხვათაშორის, ერთი სარწმუნო წყაროს მიხედვით იმ საიუბილეო საღამოს მთელი შემოსავალი — 97 მანეთი და 60 კაპიკი კიევში, შევჩენკოს ძეგლის ასაგები ფონდის ანგარიშზე გადაუგზავნიათ).

დიდი უკრაინელი პოეტისადმი აკაკის განსაკუთრებულ დამოკიდებულებაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ მის მემორიალურ სახლ-მუზეუმში ახლაც ინახება ავტორის სიცოცხლეში, 1860 წელს გამოცემული „კობზარი“.

სასიამოვნოა, რომ ეს ჭეშმარიტად დიადი წიგნი არა მარტო ჩვენს დღეთაებრივ მგოსანს ხიბლავდა. ჯერ კიდევ 1877 წელს ხალხოსანმა მწერალმა ნიკო ლომოურმა კიევში ყოფნისას თარგმნა იქიდან პოემა „მუშა ქალი“, რომელიც უურნალ „ივერიაში“ დაბეჭდა ილია ჭავჭავაძემ. სწორედ ამ პუბლიკაციით (1881 წლის მაისი) იწყება შევჩენკოს შემოქმედების პოპულარიზაცია საქართველოში. ჩვენი პესტალოცი იაკობ გოგებაშვილი, რომელსაც ესმოდა ქართველ მთარგმნელთა მიერ მისი მხატვრულად ათვისების აუცილებლობა, წერდა: „რუსეთის იმპერიის საზღვრებში მოქცეულია, სხვათა შორის, ერთი ხალხი, რომლის ბედი ძლიერ ემსგავსება საქართველოს ბედსა და რომლის შვილთა შორის კაი ხანია დაიბადა და აღიზარდა თანაგრძნობა და სიმპატია საქართველოსადმი. ამ ქვეყანას ჰქვია უკრაინა, ანუ მალოროსია, ამ სიმპატიურის ქვეყ-

ნის დიდებას და სიამაყეს შეადგენს ერთი საოცარი ნიჭით შემკული მგოსანი... მე მოგახსენებთ შევჩენკოზე, რომელიც იყო შვილი მოძვე გლეხისა და პირადად თავის თავზე გამოსც, ადა უმძიმესი უღელი ბატონ-ყმობისა...“

მიუხედავად შესაზარის ბედისა, რომელიც წილად ჰხვდა შევჩენკოს, მან შეჰქმნა თავისს საყვარელს დედა-ენაზე იმისთანა მომხიბლავი პოეტური ქმნილებანი, რომ ისინი ახლა გადათარგმნილი არიან ყველა მთავარ კულტურულს ენაზე და დიდის სიხარბით იკითხებიან. მხოლოდ არ ამშვენებენ ივინი იმ ერთს ენას, რომლის მდგომარეობასა და ტანჯვა-წვალებაზე ზედ გამოჭრილი არიან. ამ სამწუხარო გამოკლებას შეადგენს ქართული ენა, ქართული ლიტერატურა, რომელსაც შევჩენკოს უკვდავი ქმნილებანი, ვიმეორებ, ბევრად უფრო შეესაბამებიან, ვიდრე სხვა ენებსა და ერებსა.

აღვნიშნავთ რა ამას, გურჩევ ჩვენებურ პოეტებს გაამდიდრონ ჩვენი ლიტერატურა შევჩენკოს ქმნილებათა თარგმანებით.“

ტარას შევჩენკოს შემოქმედების ქართულ ლიტერატურა, სთან შინაგანი ნათესაობის ასეთივე ღრმა გაგებას ავლენდა და მკითხველთა მასებადმე მისი მიტანის აუცილებლობას ქადაგებდა პედაგოგი და ლიტერატორი ალექსანდრე გარსევანიშვილი თავის საჯარო ლექციაში „ტარას შევჩენკოს პოეზიის მნიშვნელობა“, რომელიც მან 1911 წლის მარტში წაიკითხა ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტში. „თავის მოძმეებს და მთელ კაცობრიობას შევჩენკომ დაუმტკიცა თუ რა მდიდარია უკრაინელთა ენა და რა დიდებული, შინაარსით სავსე წარსული ჰქონიათ მათ“, — შენიშნავდა ავტორი. ერთი წლის შემდეგ ქუთაისში გამოვიდა გარსევანიშვილის ბროშურა „უკრაინის პოეტი — ტარას შევჩენკო“.

ასე თანდათან, მაგრამ დაბეჯითებით მზადდებოდა ნიადაგი შევჩენკოს შემოქმედების ქართულად სათარგმნად, რაც რეალობად მხოლოდ გასული საუკუნის ოცდაათიან წლებში იქცა. და აქ ძნელია გადავაფასოთ სიმონ ჩიქოვანის, მისი წიგნების ერთ-ერთი აქტიური მთარგმნელის, შემდგენლისა და რედაქტორის როლი და მონდომება. ქართულად ზედიზედ ქვეყნდება შევჩენკოს პოემები „კატერინა“ (თარგმნა სიმონ ჩიქოვანმა, 1936), „სიზმარი“ (თარგმნა დავით გაჩეჩილაძემ, 1937), „კავკასია“ (თარგმნა ნიკოლო მიწიშვილმა, 1937), „ჰაიდამაკები“ (თარგმნა კოლაუ ნადირაძემ, 1938), ხოლო 1939 წელს, შევჩენკოს დაბადებიდან 125 წლისთავისთვის ქართულად

პირველად გამოქვეყნდა „კობზარი“. ხსენებულ მთარგმნელებს შეუერთდნენ ირაკლი აბაშიძე, ალექსანდრე აბაშელი, კარლო კალაძე, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, იასამანი და ბევრი სხვა.

ომისშემდგომ წლებში შევჩენკო კვლავ მოვიდა ქართველ მკითხველთან. („კობზარი“, 1952; „რჩეული“, 1961; „ოთხი პოემა“, 1964). პოეტის დაბადების 150 წლისთავისთვის სხვადასხვა გამომცემლობებში გამოვიდა თენგიზ ბუაჩიძისა და გრიგოლ ნადარეიშვილის მონოგრაფიები „ცხოვრება კობზარისა“ და „ტარას შევჩენკო ქართულ ლიტერატურაში“. აგრეთვე ლექსებისა და სტატიების კრებული „ტარას შევჩენკოს — ქართველი მწერლები“. 1989 წელს ცალკე წიგნად გამოიცა ჯანსუღ ჩარკვიანის მიერ თარგმნილი ტარას შევჩენკოს ლირიკა. საგულისხმოა აგრეთვე ამირან ასანიძის მიერ პრესაში გამოქვეყნებული შევჩენკოს ლექსებისა და პოემების ცალკეული თარგმანები. რამდენჯერმე დაისტამბა ჩემს მიერ თარგმნილი შევჩენკოც.

ტარას შევჩენკოს ცხოვრებისა და შემოქმედების სხვადასხვა ასპექტებს შეხებიან თავიანთ წერილებსა თუ გამოკვლევებში კონსტანტინე გამსახურდია, კორნელი კეკელიძე, ლევან ასათიანი, სიმონ ჩიქოვანი, სერგი ჭილაია, გიორგი ნატროშვილი, ბესარიონ ულენტი, თთარ ბაქანიძე, ალექსანდრე მუშკუდიანი და სხვები. დარწმუნებული ვარ, რომ დიდი უკრაინელი პოეტის შემოქმედების შესწავლა, თარგმნა და პოპულარიზაცია საქართველოში კვლავაც წარმატებით გაგრძელდება.

ეს მით უფრო სავარაუდოა, რადგან შევჩენკოს ყველა მკითხველს საკუთარი „კობზარი“ აქვს, მისთვის რაღაცით გამორჩეული ლექსებითა და პოემებით, რომელთა ინტერპრეტაციაც იქნებ სულაც არ ემთხვეოდეს ზოგადად მიღებულს, დაკანონებულს, ქრესტომათიულად ქცეულს; იგი ძალიან სახალხოა და ძალიან პირადულიც, ამიტომ არც მე ვარ გამო-ნაკლისი მათ შორის, ვინც ვერ გაექცა მსგავს ცთუნებას და

არა მარტო მონიშნა „თავისი შევჩენკო“, არამედ სცადა კიდევ მისი თარგმნა მშობლიურ ენაზე. არ დავმაღავ, ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო და მსურდა ამაში სხვებიც დამერწმუნებინა, რომ უკრაინელთა უპირველესი პოეტი, აწ უკვე ერის მამად და წინასწარმეტყველად შერაცხული, არა მარტო რევოლუციონერი-დემოკრატია, არამედ უნაზესი ლირიკოსიც, რომელმაც საოცარი თრთოლვითა და სიფაქიზით გვაზიარა თავის უინტიმურეს განცდებს, დიდი გულახდილობით ჩაგვახედა პირად სულიერ სამყაროში და გაგვანდო ის წამიერი აღმაფრენებიცა და მარადიული ტკივილებიც, მის მოუწყობელ, აწეწილ, მღელვარე ცხოვრებას ნიადაგ თან რომ ახლდა. მინდოდა ქართველ მკითხველს მიახლოებით მაინც ეგრძნო შემოქმედებითი მასშტაბები ხელოვანისა, რომელსაც განგებამ მიწიერი ცხოვრებისთვის ტრაგიკულად მცირე დრო გამოუზომა, მაგრამ მაინც დააცალა საშინელი ყმობიდან, გულქვა მებატონის ხელის ბიჭობიდან აკადემიკოსობამდე, საყოველთაო-სახალხო მგოსნობამდე აღზევება.

შევჩენკოზე ფიქრისას ერთი ძველი ბერძნული მითი მახსენდება ხოლმე: როცა პერსევსმა თავი მოკვეთა მედუზა გორგონას, მოკლულის სისხლიდან იშვა პეგასი. ჭაბუკმა ბელე-როფონტმა პეგასი შეკაზმა და მასზე ამხედრებულმა სძლია ქიმერა. შევჩენკოს სიტყვა მე წარმომიდგენია იმ შეუდრეკელ მხედრად, რომელიც ებრძვის და ამარცხებს ბოროტებას, სიძულვილს და სივერაგეს და მიჰქრის მზისკენ, რათა მას კვლავ არ მოეგრაგნოს შავი ღრუბლები, რათა იქიდანაც ჩამოგვძახოს:

იბრძოლეთ და გაიმარჯვებთ,
ღმერთიმც დაგეხმაროთ!
თქვენკენაა სამართალი,
შეებაც სანეტარო.

რაულ ჩილაჩავა






ДУМИ
МОЇ...



ჴიქნა
ჩვენ...





ПРИЧИННА

(Уривок)

Реве та стогне Дніпр широкий,
Сердитий вітер завива,
Додолу верби гне високі,
Горами хвилю підійма.
І блідий місяць не в ту пору
Із хмари де-де виглядав,
Неначе човен в синім морі,
То виринав, то потопав.
Ще треті півні не співали,
Ніхто нігде не гомонів,
Сичі в гаю перекликались,
Та ясен раз у раз скрипів.

[1837, С.-Петербурґ]

ბათვალუღი

(ნაწყვეტი)

ღრიალებს და კვნესის დნიპრო ვრცელი,
ღმუიღს იწყებს გუღმოსუღი ქარი,
მადღღ ძეწნებს გაუზნიქა წელი,
მთად აღმართა ტაღღღ ბობოქარი.
ღრუბლებიღან ფერმიხდიღი მთვარე
იმზირება ზოგჯერ ნება-ნება,
ვით ლურჯ ზღვაში ნავი მონარნარე,
ხან ჩაყვინთავს, ხანაც გამოჩნდება.
ჯერ მამღები არ იწყებენ ყივიღს,
არსით ისმის ხორციეღის ჩქამი,
ჭოტი ხმას სცემს ჭოტის გადაკივიღს
და კოპიტის ჭრიაღღღღ ღამით.

[1837, ს.-პეტერბურგი]



* * *

Думи мої, думи мої,
Лихо мені з вами!
Нащо стали на папері
Сумними рядами?..
Чом вас вітер не розвіяв
В степу, як пилину?
Чом вас лихо не приспало,
Як свою дитину?..

Бо вас лихо на світ на сміх породило.
Поливали сльози... чом не затопили,
Не винесли в море, не розмили в полі?..
Не питали б люде, що в мене болить,
Не питали б, за що проклинаю долю,
Чого нуджу світом? «Нічого робить»,
Не сказали б на сміх...

Квіти мої, діти!
Нащо ж вас кохав я, нащо доглядав?
Чи заплаче серце одно на всім світі,
Як я з вами плакав?.. Може, і вгадав...
Може, знайдеться дівоче

Серце, карі очі,
Що заплачуть на сі думи, —
Я більше не хочу.
Одну сльозу з очей карих —
І пан над панами!

Думи мої, думи мої,
Лихо мені з вами!

* * *

ფიქრნო ჩემნო, ფიქრნო ჩემნო,
მტანჯავთ შინ თუ გარეთ!
ქალაღდს ასე სევდიანად
რატომ დაეპწკარეთ?..
რატომ ქარმა არ გაგფანტათ
მტვრად ტრამალსა შინა?
უბედობამ ჩვილ ყრმასავით
რად არ მიგაძინათ?..

დასაცინად გშობათ უბედობამ სწორედ,
გცემდათ ცრემლის თქეში... ნეტამც დაეტბორეთ,
ჩაეტანეთ ზღვაში, გაერიყეთ ველად...
არ მკითხავდა ხალხი, რა მაქვს სატკივარი,
რამ მაქცია ასე ბედის მაწყვევლეღად,
რა მაწუხებს, რა მჭირს? „უსაქმური არი“,
არ იტყოდნენ ქირღვით...

შვილნო, შლილნო ვარდად!
რად მიყვარდით, რატომ გეველებოდით თავზე?
თუ იქნება ქვეყნად თუნდაც ერთი გული,
თქვენთან ერთად მოთქმით რომ ეტიროს ასე...
იქნებ ვპოვოთ თაფლისთვალა,
აღვად ანასვეტი,
ვინც ამ ლექსზე ატირდება,
სხვა რა მინდა მეტი.
კურცხალიც და... შევიქნები
ყველა პანის პანი!

ფიქრნო ჩემნო, ფიქრნო ჩემნო,
რად შეჰკარით გზანი!







За карії оченята,
За чорнії брови
Серце рвалося, сміялось,
Виливало мову,
Виливало, як уміло,
За темнії ночі,
За вишневий сад зелений,
За ласки дівочі...
За степи та за могили,
Що на Україні,
Серце мліло, не хотіло
Співать на чужині...
Не хотілось в снігу, в лісі,
Козацьку громаду
З булавами, з бунчугами
Збирать на пораду.
Нехай душі козацькії
В Україні витають —
Там широко, там весело
Од краю до краю...
Як та воля, що минулась,
Дніпр широкий — море,
Степ і степ, ревуть пороги,
І могили — гори, —
Там родилась, гарцювала
Козацькая воля;
Там шляхтою, татарами
Засівала поле,
Засівала трупом поле,
Поки не остило...

თაფლისფერი თვალების და
შავთა წარბთა გამო
გული წუხდა, იცინოდა,
სიტყვაც ჰქონდა ამო,
ამ სიტყვებში ცოცხლდებოდა
ღამეები ბნელი,
მწვანე ბაღი, ქალიშვილის
კოცნა სანატრელი...
უკრაინის ყორღანები
ცად რომ აიწვერა,
გული თრთოდა, არ უნდოდა
უცხოეთში მღერა...
არ უნდოდა თოვლში, ტყეში,
კაზაკების ჯარი
დაენახა უფლის კვერთხქვეშ
სათათბიროდ მღგარი.
სულნო კაზაკებისანო,
შინ მშვიდობით ვლიდეთ. —
იქ სივრცეა, ხალისია,
ყველგან — კიდით-კიდე...
აწ გარდასულ შვეების დარად
ბორგავს დნიპროს ჩქერი,
ზედ ცისკიდეს ებჯინება
ყორღანების წვერი.
იქ შობილა, უბეღვია,
კაზაკების ჯილაგს;
იქ თათრებით, შლიახტებით
ველი მოფენილა,
ველი გვამებს დაუფარავს...
და როს შეწყდა ჯგლეთა,





Лягла спочить... А тим часом
 Виросла могила,
 А над нею орел чорний
 Сторожем літає,
 І про неї добрим людям
 Кобзарі співають,
 Все співають, як діялось,
 Сліпі небораки, —
 Бо дотепні... А я... а я
 Тільки вмію плакати,
 Тільки сльози за Україну...
 А слова — немає...
 А за лихо... Та щур йому!
 Хто його не знає!
 А надто той, що дивиться
 На людей душою, —
 Пекло йому на сім світі,
 А на тім...

Журбою

Не накличу собі долі,
 Коли так не маю.
 Нехай злидні живуть три дні —
 Я їх заховаю,
 Заховаю змію люту
 Коло свого серця,
 Щоб вороги не бачили,
 Як лихо сміється...
 Нехай думка, як той ворон,
 Літає та кряче,
 А серденько соловейком
 Щебече та плаче

მცის ყორღანი აღიმართა
 ხსოვნად ჩავლილ დღეთა.
 ყორღანს ორბი დასტრიალებს —
 კუპრისფერი მცველი,
 ხალხს აღელვებს კობზარების
 სიმღერები მწველი,
 ძველ დიდებას მისტირიან
 ბრძელები უსახლკარო, —
 უჭრით ენა... მე კი მხოლოდ
 ძალმიძს ცრემლი ვღვარო,
 ვტირი უკრაინის გამო...
 სიტყვებგაფანტული...
 ფუ, ამნაირ უბედობას!
 დაგვიწყლულა გული!
 უფრო იგი, ვინც გვიყურებს
 სულში შუქჩამდგარი, —
 აქ ჯოჯოხეთს არ ასცდება,
 იქ კი...

გლოვის ზარით
 ბედს როგორღა დავიურვებ,
 როს ვაება მომდევს.
 ვინც შხამს გვითესს, სამ დღეს ვლიდეს,
 მეოთხე დღეს მოკვდეს.
 გულის ფსკერზე დავიმარხავ
 ბოროტ გველის წიწილს,
 რომ ართვალმა ვერ უსმინოს
 უბედობის სიცილს...
 დაე, ფიქრი ყორანივით
 ჩხაოდეს და ფრენდეს,
 ხოლო გული, ვით ბუღბუღი
 ტიროდეს და სტვენდეს





Нишком — люди не побачать,
 То й не засміються...
 Не втирайте ж мої сльози,
 Нехай собі лються,
 Чуже поле поливають
 Щодня і щоночі,
 Поки, поки... не засиплють
 Чужим піском очі...
 Отаке-то... А що робить?
 Журба не поможе.
 Хто ж сироті завидує —
 Карай того, боже!

Думи мої, думи мої,
 Квіти мої, діти!
 Виростав вас, доглядав вас, —
 Де ж мені вас діти?
 В Україну ідіть, діти!
 В нашу Україну,
 Попідтинню, сиротами,
 А я — тут загину.
 Там знайдете щире серце
 І слово ласкаве,
 Там знайдете щиру правду,
 А ще, може, й славу...

Привітай же, моя ненько,
 Моя Україно,
 Моїх діток нерозумних,
 Як свою дитину.

(1839, С.-Петербург)

ჩუმად — ხალხი თუ ვერ ნახავს,
 არც დაგვცინებს მაშინ...
 ნუ შემიწმენდთ ცრემლის ნაკადს,
 ვიყო ცრემლის ღვრაში,
 მოვრწყო უცხო მინდორ-ველი
 ვაითა და ვიშით,
 სანამ, სანამ... დამივსებდნენ
 თვალებს უცხო ქვიშით...
 სხვა რაღა ვქნა?... მშველის კია,
 დარდად დავიღვენთო.
 ვისაც ობლის შემურდება, —
 არ დაინდო, ღმერთო!

ფიქრნო ჩემნო, ფიქრნო ჩემნო,
 შვილებივით გზრდიდით!
 აწ რა გიყოთ, რა გირჩიოთ,
 წინ ხომ გზაა დიდი!
 უკრაინას მიაშურეთ!
 გელით უკრაინა,
 იქ ობლებად იწანწალეთ,
 მე აქ მედოს ბინა.
 იქ იპოვით ალალ გულს და
 სიტყვას ალერსიანს,
 იქ იპოვით ნაღდ სიმართლეს
 და დიდებას მზიანს...

უკრაინავ, დედავ ჩემო,
 დიდო მემარტვილე,
 შენს უგუნურ შვილებს დახვდი,
 ვით საკუთარ შვილებს.

(1839, ს.-პეტერბურგი)

ДО ОСНОВ'ЯНЕНКА

Б'ють пороги; місяць сходить,
Як і перше сходив...
Нема Січі, пропав і той,
Хто всім верховодив!
Нема Січі; очерети
У Дніпра питають:
«Де то наші діти ділись,
Де вони гуляють?»
Чайка скиглить літаючи,
Мов за дітьми плаче;
Сонце гріє, вітер віє
На степу козачім.
На тім степу скрізь могили
Стоять та сумують;
Питаються у буйного:
«Де наші панують?»
Де панують, бенкетують?»
Де ви забарились?»
Вернітеся! дивітеся —
Жита похилились,
Де паслися ваші коні,
Де тирса шуміла,
Де кров ляха, татарина
Морем червоніла...
Вернітеся!» — «Не вернуться! —
Заграло, сказало
Синє море. — Не вернуться,
Навіки пропали!»

ოსნოვიანენკოსადგი

ქუსს ჭორომი; როგორც როსმე,
ბრწყინავს მთვარის ჯავარი...
გაქრა სიჩი, არც იგია —
დიდი მხედართმთავარი!
გაქრა სიჩი; დნიპროს ტალღებს
ეკითხება ლაქაში:
„სად არიან შვილნი ჩვენნი,
რომ ვერ ვხედავთ აქა, შინ?“
ფრენს თოლია, ფრენს და წივის,
შვილებს გლოვობს ფრთამალი;
მზეზე თბება, ქარში ხმება
კაზაკების ტრამალი.
იმ ტრამალზე ყორღანები
დგანან გულნატკენები;
დნიპროს ჰკითხვენ: „რომელ მხარეს
ბატონობენ ჩვენები?
ბატონობენ, ქეიფობენ?
არ სურთ შინ დაბრუნება?
დაგვიბრუნდით! ნახეთ, ყანას
ქარი ესაღბუნება,
სად ცხენები ძოვდნენ თქვენი,
რკინა რეკდა ნაღისა,
სად ღიახის, თათრის სისხლი
ზღვას ღებავდა ალისფრად.
„დაგვიბრუნდით!“ — „ვერასოდეს! —
გვითხრა ლურჯმა ზღვამათ. —
ვეღარ ნახავთ დაბრუნებულთ,
ლოდინია ამათ!“





Правда, море, правда, синє!
 Така їх доля:
 Не вернуться сподівані,
 Не вернеться воля,
 Не вернуться запорожці,
 Не встануть гетьмани,
 Не покриють Україну
 Червоні жупани!
 Обідрана, сиротою
 Понад Дніпром плаче;
 Тяжко-важко сиротині,
 А ніхто не бачить...
 Тільки ворог, що сміється...
 Смійся, лютий враже!
 Та не дуже, бо все гине, —
 Слава не поляже;
 Не поляже, а розкаже,
 Що діялось в світі,
 Чия правда, чия кривда
 І чий ми діти.
 Наша дума, наша пісня
 Не вмере, не загине...
 От де, люде, наша слава,
 Слава України!
 Без золота, без каменю,
 Без хитрої мови,
 А голосна та правдива,
 Як господа слово.
 Чи так, батьку отамане?
 Чи правду співаю?

დიახ, ზღვაო, დიახ, ლურჯო!
 ბედმა დახშო კარები:
 შვებას ველარ მოგვიტანენ
 მარად სანუკვარები,
 არ მოგვივლენ სიხელები,
 ჰეტმანებიც, გჯეროდეს,
 ვერ იხილავს უკრაინა
 წითელ ტყაპუჭს ვეროდეს!
 მწირ-ობოლი, განძარცული,
 შეჰგლოვს დნიპრო-მდინარეს;
 უჭირს, უმძიმს უდედმამოს,
 მაგრამ მხსნელი ვინ არის!..
 მხოლოდ მტერმა გაიცინა...
 გულის ჭია ახარა!
 ქვეყნად კვდება ყველაფერი,
 სახელი კი — აღარა;
 ის იცოცხლებს, მოგვიყვება,
 ვით ბრუნავდა სოფელი,
 ვინ სწორია, ვინ — მტყუანი,
 ვინ ვისია მშობელი.
 ჩვენი ლექსი, ჩვენი ჰანგი
 არც როს დაიბინდება...
 ისინია, ჯამაათნო,
 უკრაინის დიდება!
 რაღად უნდა ოქრო-ვერცხლი,
 მოხვეჭილი დავითა,
 მართალი და მქუხარეა
 უფლის სიტყვასავითა.
 მარქვი მამავ, ატამანო,
 მართალს ვმღერი, ნეტავი?





Ех, якби-то!.. Та що й казать?
Кебети не маю.
А до того — Московщина,
Кругом чужі люде.
«Не потурай», — може, скажеш,
Та що з того буде?
Насміються на псалом той,
Що виллю сльозами;
Насміються... Тяжко, батьку,
Жити з ворогами!
Поборовся б і я, може,
Якби малось сили;
Заспівав би, — був голосок,
Та позички з'їли.
Отаке-то лихо тяжке,
Батьку ти мій, друже!
Блуджу в снігах та сам собі:
«Ой не шуми, луже!»
Не втну більше. А ти, батьку,
Як сам здоров знаєш;
Тебе люде поважають,
Добрий голос маєш;
Співай же їм, мій голубе,
Про Січ, про могили,
Коли яку насипали,
Кого положили.
Про старину, про те диво,
Що було, минуло...
Утни, батьку, щоб нехотя
На весь світ почули,

აბა, რა ვთქვა!.. საავკარგო
აღარ შემრჩა მე თავი.
ვერ წაუხვალ მოსკოვს, ირგვლივ
უცხო ხალხი ხშირია.
იქნებ მითხრა, შეეშვიო,
ვითომ რა ხეირია!
საგალობლებს დასცინებენ,
მე რომ ცრემლად მაწვება;
დასცინებენ... მიჭირს, მამავ,
მტრების გვერდით გაძლება!
იქნებ კიდევ მეჯახირა,
ძალას ვგრძნობდე უწინდელს;
ვიმღერებდი, ხმა არ მყოფნის,
რადგან სხვას დავუწინდე.
ასეთია, მამავ, ჩემი
ხვედრი ოხერ-ტიალი!
ვდგავარ თოვლში და ვჩურჩულებ:
„ტყეო, გეყო შრიალი.“
მეტს ვერ შევძლებ. შენ კი, მამავ,
უწყი, თქმა მსურს მე რისი;
ხალხს უყვარხარ, პატივს გცემენ,
ხმაც გაქვს შესაფერისი;
მაშ, შეაქე სანატრელო,
სიხი და ყორღანები,
ვის ან როდის აღუმართავს,
ვისი დასავანები.
იმ საკვირველ წარსულს აქეთ,
რომ მორჩა და გასრულდა...
მიდი, მამავ, გააგონე
მთელ სამყაროს, რაც გსურდა,



Що діялось в Україні,
За що погибала,
За що слава козацька
На всім світі стала!
Утни, батьку, орле сизий!
Нехай я заплачу,
Нехай свою Україну
Я ще раз побачу,
Нехай ще раз послухаю,
Як те море грає,
Як дівчина під вербою
Гриця заспіває.
Нехай ще раз усміхнеться
Серце на чужині,
Поки ляже в чужу землю,
В чужій домовині.

(1839, С.-Петербурґ)

რაც გადახდა უკრაინას,
რაც არ დაიბინდება,
მიღეთს რატომ მოსდებია
კაზაკების დიდება!
მიდი, მამავ, მიდი, ორბო!
ცხელი ცრემლი მადინე,
კიდევ ერთხელ უკრაინის
ნახვა მომაწადინე,
კიდევ ერთხელ გამაგონე
ზღვის ზვირთების ჯახება,
ქეწნის ჩრდილში ქალიშვილის
ლალი შემოძახება.
კიდევ ერთხელ გააცინე
გული ჩემი ყარიბი,
ამ სხვის მიწას სხვის კუბოთი
სანამ მივებარები.

(1839 წ. ს.-პეტერბურგი)



როზრიტა მოგილა

Світе тихий, краю милий,
Моя Україно!
За що тебе сплюндровано,
За що, мамо, гинеш?
Чи ти рано до схід сонця
Богу не молилась?
Чи ти діточок непевних
Звичаю не вчила?
«Молилася, турбувалася,
День і ніч не спала,
Малих діток доглядала,
Звичаю навчала.
Виростали мої квіти,
Мої добрі діти,
Панувала і я колись
На широких світі, —
Панувала... Ой Богдане!
Нерозумний сину!
Подивись тепер на матір,
На свою Вкраїну,
Що, колишучи, співала
Про свою недолю,
Що, співаючи, ридала,
Виглядала волю.
Ой Богдане, Богданочку!
Якби була знала,
У колиці б задушила,
Під серцем приспала.

ბათხრილი ძორღანი

მიწავ წყნარო, მხარეც ტკბილო,
ჩემო უკრაინავ!
რად გბილწავენ, რად გღუპავენ,
დედა, რატომ გმინავ?
ან თუ აღარ გიწირია
დილაადრიანად?
ადათ-წესი შვილებს შენსას
არ ასწავლე განა?
„მიწირია, მილოცია,
ვმდგარვარ მიწყივ ზეზე,
შვილებს ვზრდიდი, ვასწავლიდი
ძველთა ადათ-წესებს.
და შვილებიც იზრდებოდნენ
ყვავილების დარად,
არც ისეა, ცისქვეშეთში
ჩემი უამიც მდგარა, —
უამიც მდგარა... ეჰ, ბოგდანო!
ჭკუათხელო შვილო!
ახლა ნახე უკრაინა,
მისი რილო-ჭრილო,
რომ გარწევდა, გიმღეროდა
თავის უბედობას,
მომღერალი ცრემლებიდან
გასცქეროდა მყოფადს.
ეჰ, ბოგდანო, ბოგდან ჩემო!
რომ სცოდნოდა შენი,
აკვანშივე გაგაქრობდა
დედის განახენი.





Степи мої запродані
Жидові, німоті,
Сини мої на чужині,
На чужій роботі.
Дніпро, брат мій, висихає,
Мене покидає,
І могили мої милі
Москаль розриває...
Нехай рие, розкопує,
Не своє шукає,
А тим часом перевертні
Нехай підростають
Та допоможуть москалеві
Господарювати,
Та з матері полатану
Сорочку знімати.
Помагайте, недолюдки,
Матір катувати».
Начетверо розкопана,
Розрита могила.
Чого вони там шукали?
Що там схоронили
Старі батьки? — Ех, якби-то,
Якби-то найшли те, що там схоронили,
Не плакали б діти, мати не журилась.

9 октябры 1843,
Березань

ჩემი სტეპი ურიას და
გადამთიელს დარჩა.
შვილებს ერგოთ უცხო მხარეს
უცხოთათვის გარჯა.
შრება დნიპრო, ძმაი ჩემი,
მტოვებს ცოცხალ-მკვდარი
და ყორღანებს უსაყვარლესს
თხრის მოსკალის ბარი...
დაე, თხაროს, ამოთხაროს,
რაც არ დაკარგვია,
მიეხმარონ გარეწრებიც,
ჯერ არ არის გვიან,
რათა მოსკალს არ დაადგეს
ნამეტანი ჯაფა,
რათა დედას აღარ შერჩეს
დაბებკილი კაბაც.
ტანჯეთ, დედა, არაკაცნო,
მიდით, მიდით, აბა!“
ყორღანები ოთხივ მხარეს
გათხრილია ახლა.
რას ეძებდნენ, მანდ, ნეტავი?
შიგ რა დაუმარხავთ
მოხუც მშობლებს? — ეჰა, კარგო,
ის რომ გვაპოვნინა, რაც იქ დაუმარხავთ,“ —
იშვებს დედაც, შვილიც, დღეს რომ მცველი არ ჰყავთ.

1843 წ. 9 ოქტომბერი,
ბერეზანი



* * *

Чого мені тяжко, чого мені нудно,
Чого серце плаче, ридає, кричить,
мов дитя голодне? Серце моє трудне,
Чого ти бажаєш, що в тебе болить?
Чи пити, чи їсти, чи спатоньки хочеш?
Засни, моє серце, навіки засни,
Невкрите, розбите, — а люд навісний
Нехай скаженіє... Закрий, серце, очі.

13 ноября 1844, СПб

* * *

რატომ მიმძიმს ასე, რატომ მომეწყინა,
გული რატომ მოთქვამს, ქვითინებს და ყვირის,
ვით მშიერი ბავშვი? გულო, რატომ გმინავ,
იქნებ გამიმხილო შენი გასაჭირი!
გწყურია თუ გშია თუ ძილის დროს ელი?
დაიძინე გულო, საუკუნო ძილით.
დაე, მძვინვარებდეს ხალხი გონშემლილი,
შენ კი, გულო, გულზე დაიკრიფე ხელი!

1844 წ. 13 ნოემბერი, სპბ



За думою дума роєм вилітає;
 Одна давить серце, друга роздирає,
 А третя тихо, тихесенько плаче
 У самому серці, може, й бог не бачить.

Кому ж її покажу я,
 І хто тую мову
 Привітає, угадає
 Великеє слово?
 Всі оглухли — похилились
 В кайданах... байдуже...
 Ти смієшся, а я плачу,
 Великий мій друже.
 А що вродить з того плачу?
 Боголова, брате...
 Не заревуть в Україні
 Вольнії гармати.
 Не заріже батько сина,
 Своєї дитини,
 За честь, славу, за братерство,
 За волю Вкраїни.
 Не заріже: викохає
 Та й продасть в різницю
 Москалеві. Цєбто, бачиш,
 Лепта удовиці
 Престолові-отечеству
 Та німоті плата.
 Нехай, брате. А ми будем
 Сміяться та плакати.

30 декабря 1844, С.-Петербург

მიფრინავენ ფიქრნი ერთმანეთის კვალად;
 ერთი ისრად მხვდება, მეორე კი ჭკვალად,
 მესამე კი ჩუმად ცრემლის დენით დალბა
 კაკალ გულში, ღმერთი ვერც კი ხედავს, ალბათ.

ვის გავანდო ფიქრი ჩემი,
 ანდა ვილა იტყვის
 სადიდებელს, საფერებელს
 უდიადეს სიტყვის?
 ყველა ყრუა, — ადევთ ხუნდი
 ან არ უშვებთ ხარო...
 შენ იცინი, მე კი ვტირი,
 დიდო მეგობარო.
 იმ ცრემლებზე რა ამოვა?
 სარეველა, ძმაო...
 აღარ შესძრავს უკრაინას
 ზარბაზნების ხმაო.
 არ განგმირავს შვილს მშობელი,
 არ აძგერებს მახვილს,
 არ შესწირავს უკრაინას
 დიდებას და სახელს.
 არ შესწირავს: გაზრდის მორჩილს,
 რომ მიჰყიდოს შვილი
 მოსკალს. აჰა, ესააო
 ქვრივ-ოხერის წვლილი,
 ტახტისა და „ოტეჩესტვოს“
 ხარკად გაღებული.
 აგრემც, ძმაო. იცინის და
 ტირის ჩვენი გული!

1844 წ. 30 დეკემბერი, ს.-პეტერბურგი



* * *

Не завидуй багатому:
Багатий не знає
Ні приятні, ні любові —
Він все те наймає.
Не завидуй могучому,
Бо той заставляє.
Не завидуй і славному:
Славний добре знає,
Що не його люди люблять,
А ту тяжку славу,
Що він тяжкими сльозами
Вилив на забаву.
А молоді як зійдуться,
Та любо, та тихо,
Як у раї, — а дивишся:
Ворушиться лихо.
Не завидуй же нікому,
Дивись кругом себе:
Нема раю на всій землі,
Та нема й на небі.

4 октября 1845
Миргород

* * *

მდიდრის ნულარ შეგშურდება:
მდიდარმა არ იცის
ალარც ძმობა-სიყვარული,
ალარც დაცვა ფიცის.
ნურც ძლიერის შეგშურდება,
იგი ძალას გატანს.
ნუ გშურს სახელოვანისაც,
სახელოვანს სხვათა
სიყვარული მიტომ ერგო,
რომ აღელვებთ მისი
მძიმე ცრემლით მიღწეული
ელვარება მყისი.
ხოლო როცა ახალგაზრდებს
თვალს შეავლებ, გჯერა:
სამოთხეა, მაგრამ იქვე
დაქრის ბედისწერა.
მაშ, ნულარ გშურს ნურავისი,
გაიხედე ირგვლივ:
სამოთხე არც მიწაზეა,
არც ცაშია იგი.

1845 წლის 4 ოქტომბერი,
მირგოროდი



* * *

Не женися на багатій,
Бо вижене з хати,
Не женися на убогій,
Бо не будеш спати.
Оженись на вольній волі,
На козацькій долі;
Яка буде, така й буде,
Чи гола, то й гола.
Та ніхто не докучає
І не розважає —
Чого болить і де болить,
Ніхто не питає.
Удвох. Кажуть, і плакати
Мов легше неначе;
Не потурай: легше плакати,
Як ніхто не бачить.

4 октябры 1845
Миргород

* * *

ნუ შეირთავ მდიდარს ცოლად,
მოგიხურავს კარებს,
ნუ შეირთავ უპოვარსაც,
ძილს არ მოგაკარებს.
დაიწყვილე მხოლოდ შეება,
კაზაკური გზნება;
მოხდეს ის, რაც უნდა მოხდეს,
რაც განგებას ნებავს.
მაგრამ არვინ არ მაწუხებს,
აღარც არვინ მართობს, —
რა მტკივა და რატომ მტკივა,
მე მეხება მარტო.
თითქოს ორნი ტირილშიაც
თავს გრძნობენო მხნედა;
არ ირწმუნო: სჯობს იტირო,
როცა არვინ გხედავს.

1845 წლის 4 ოქტომბერი,
მირგოროდი



КАВКАЗ

Искреннему моему
Якову де Бальмену

Кто даст главе моей воду,
И очесем мой источник слез,
И плачуся и день, и ночь,
о побиенных...

Иеремии глава 9, стих 12

კავკასია

ჩემს გულითად
იაკობ დე ბალმენს

ვინ მისცეს თავსა ჩემსა წყალი,
და თუაღთა ჩემთა წყაროი ცრემლთაი,
და ვსტიროდი ერსა ამას ჩემსა დღე და ღამე
მოწყულულთა...

იერემია, თავი 9, ქება 12

За горами гори, хмарою повиті,
Засіяні горем, кровію політі.


Споконвіку Прометея
Там орел карає,
Що день божий добрі ребра
Й серце розбиває.
Розбиває, та не вип'є
Живущої крові, —
Воно знову оживає
І сміється знову.
Не вмирає душа наша,
Не вмирай воля.
І неситий не виоре
На дні моря поле.
Не скує душі живої
І слова живого..
Не понесе слави Бога,
Великого Бога.

მთებს გადაღმა მთები, დათალხული ნისლით,
სავსე მწუხარებით, დატბორილი სისხლით.

იქ არწივი პრომეთეოსს
სჯის მიჯაჭვის დღიდან,
დღე ცისმარე ნეკნებს უმტვრევს,
გულს უკორტნის ტიტანს.
გულს უკორტნის, მაგრამ სისხლი
ვეღარ გაათავა, —
გული ისევ გულად რჩება
და იცინის კვლავაც.
არ მოკვდება სული ჩვეენი,
შვებაც სანუკველი.
და ზღვის ფსკერსაც ვერ გადახნავს
გაუმაძღრის ხელი.
ცოცხალ სულს და ცოცხალ სიტყვას
ვერ დაუსვამს წერტილს,
ვერც შებღალავს ღმერთის სახელს,
უღიადეს ღმერთის.







Не нам на прю з тобою стати!
Не нам діла твої судить!
Нам тільки плакати, плакати, плакати,
І хліб насущний замість
Кровавим потом і сльозами.
Кати знущаються над нами,
А правда наша п'яна спить.

Коли вона прокинеться?
Коли одпочити
Ляжеш, боже, утомлений?
І нам даси жити!
Ми віруєм твоїй силі
І духу живому.
Встане правда! встане воля!
І тобі одному
Помоляться всі язики
Вовіки і віки.
А поки що течуть ріки,
Кроваві ріки!

За горами гори, хмарою повиті,
Засіяні горем, кровію політі.
Отам-то милостивії ми
Ненагодовану і голу
Застукали сердешну волю
Та й цькуємо. Лягло костями
Людей муштрованих чимало.
А сльоз, а крові? Напоїть
Всіх імператорів би стало
З дітьми і внуками, втопить

შენთან საქიშპოდ ჩვენ როგორ მოვალთ!
ვინ მოგვაშავა მსაჯულის პინა!
ჩვენ გვერგო გლოვა, გლოვა და გლოვა,
და ვაცხოთ, როგორც ვაცხობდით წინათ,
პური, სისხლით და ცრემლით ნაზელი.
გვერდით ჯალათი დგას ამაზრზენი,
ხოლო სიმართლეს მთვრალივით სძინავს.

ნეტავ, როდის გაიღვიძებს?
შენ კი, ღმერთო, ნეტავ,
როდის ჩასთვლემ, რომ გვეღირსოს
ნათელ დღეთა ჭვრეტა?
გვჯერა შენი ძლიერების
და უკედავი სულის.
მოვა შევება! სამართალი!
შენგან ხელდასხმული
და შენს ქებას ცისქვეშეთი
იტყვის აღმაფრენით.
ჯერ კი დიან მდინარენი,
სისხლის მდინარენი!

მთებს გადაღმა მთები, დათალხული ნისლით,
დამეწერილი სევდით, დატბორილი სისხლით.
სწორედ აქ ჩვენი მოწყალე ხელით,
ტანგაძარცული, გუდამშიერი,
ჩავბღუჯეთ შევება მოყვრის იერით
და ძაღლებს ვუსევთ. სიკვდილის ცელი
ეტაკა ტანჯულთ, უსულოდ დასცა.
ცრემლი და სისხლი? მათი ღვარები
იმპერატორებს და ნაგრამს მათსას
გამოათრობდა. გაუხარები



В сльозах удов'їх. А дівочих,
Пролитих тайно серед ночі!
А матерніх гарячих сльоз!
А батькових старих, кровавих,
Не ріки — море розлилось,
Огненне море! Слава! слава!
Хортам, і гончим, і псарям,
І нашим батюшкам-царям
Слава!

І вам слава, сині гори,
Кригою окуті.
І вам, лицарі великі,
Богом не забуті.
Борітеся — поборете,
Вам бог помагає!
За вас правда, за вас слава
І воля святая!


Чурек і сакля — все твоє;
Воно не прошене, не дане,
Ніхто й не возьме за своє,
Не поведе тебе в кайданах.
А в нас!.. На те письменні ми,
Читаєм божії глаголи!..
І од глибокої тюрми
Та до високого престола —
Усі ми в золоті і голі.
До нас в науку! ми навчим,
Почому хліб і сіль почім!
Ми християне; храми, школи,


ქვრივების ცრემლი, ცრემლი ქალწულთა,
ღამენათევთა და დაქანცულთა!
დედების ცრემლი უმხურვალესი!
მამების ცრემლი, სისხლში ნალესი,
ზღვასავით ბორგავს, ცად იზიდება,
ცეცხლის ზღვასავით! ვაშა! დიდება!
მწევრებს, მეძებრებს ტყე-ტყე მყეფელებს,
და ჩვენს მწყალობელ მამებს-მეფეებს
დიდება!

თქვენც დიდება, ლურჯო მთებო,
ყინული რომ გფარავთ.
თქვენც, დიადო რაინდებო,
ღმერთს ახსოვხართ მარად.
იბრძოლეთ და გაიმარჯვებთ,
ღმერთიმც დაგეხმართ!
თქვენკენაა სამართალი,
შვებაც სანეტარო!

მჭადიც და სახლიც — შენია მარტო;
არც ვის წყალობა, არც ვის ნობათი,
ვერ გითხრან, მათი პატრონი ვართო,
ვეღარც შებორკონ შენი მყოფადი.
ჩვენ კი!.. ჩვენ მიტომ მოგმართავთ რიხით,
სადვთო წიგნების რომ ვართ მკითხველი!..
და ჯურღმულოვან, პირქუში ციხით
მადალ ტახტამდე განუკითხველი, —
ოქროში ვზივართ შიშველ-ტიტველი.
მოდით, გასწავლოთ განჭვრეტა საღი,
პური რა ღირს და მარილი რა ღირს!
გვაქვს ქრისტიანებს ტაძრებიც, სკოლაც,







Усе добро, сам бог у нас!
Нам тільки с а к л я очі коле:
Чого вона стоїть у вас,
Не нами дана; чом ми вам
Чурек же ваш та вам не кинем,
 გაგიწყდა ქანცი ტვირთის ტარებით,
 ზიდვით პირმშოთა ცოდვის და ბრალის.
 დასვენებულმა ამცნე ბოლომდე
 ცბიერ ნაშიერთ, რასაც მაღავედი,
 რომ მოსპობს, დანთქავს მათ სიბოროტე,
 რომ მათი მწიკვლის, მათი ღალატის
 და სულმრუდობის მშანთავი კვალი
 გავარვარებულ, სისხლიან ხმალით
 დააჩნდა გულებს ნაწიბურებად,
 რომ მათი გზები აწ იბურება,
 რომ ვეღარ იხსნით სათნო იერით
 ხელმწიფე მთვრალი და თვინიერი,
 ის მშიერ-მწყურვალთ გაახმობს ზეზე,
 არც თქვენ დაგაცლით ამხედრდეთ ცხენზე,
 რათა გაქუსლოთ; ვერ შესძლებთ ამას,
 ვერც დაიმალვით, გზად სამართალი
 წამოგეწევათ, როგორც სარდალი
 და უცაბედად დაგიდებთ სამანს,
 თქვენ დაგერქმევათ ეშმა, ართვალი,
 ხელ-ფეხზე მძიმე ბორკილებგაყრილთ
 მასხრად, აბუჩად აგიგდებთ ხალხი,
 არ დასჭირდებათ მეფე, ჯალათი,
 თქვენ, ცოფიანებს, ძალისძალათი
 დაგგლეჯ-დაგფხრეწენ, ჯვარზე გაცმევენ,
 თქვენს სისხლს, ძაღლებო... ახია, ახი!
 ძაღლს შეასმევენ...

ჰოდა, უთხარი,
 მათ საკადრისი სიტყვა უთხარი
 მიუკიბავად: „ბილწი ხელებით





Руками скверними створили
 Свою надію; й речете,
 Що цар наш бог, і цар надія,
 І нагодує, і огріє
 Вдову і сирот». Ні, не те,
 Скажи їм ось що: «Брешуть боги,
 Ті ідоли в чужих чертогах,
 Скажи, що правда оживе,
 Натхне, накличе, нажене
 Не ветхеє, не древле слово
 Розтленне, а слово нове
 Меж людьми криком пронесе
 І люд окрадений спасе
 Од ласки царської...»

25 декабр(я) 1859 г.
 (С.-Петербурґ)

შექმენით თვითონ და თავს ევლებით
 საკუთარ იმედს; ახლა კი ყბედობთ:
 მეფეა ჩვენი ღმერთიც, იმედიც,
 იგი ქვრივ-ობლებს არ გაიმეტებს,
 აჭმევს, ჩააცმევს“. რაც გულში გედო,
 არქვი: „არ შერხათ ზეცის ნასახი
 ღმერთებს, იმ კერპებს უცხო სასახლის,
 არქვი, სიმართლე აღსდგება მკვდრეთით,
 იქუხებს სისხლის ყოველი წვეთით
 არა ბებერი, გახრწნილი სიტყვა,
 არამედ იგი, რაც უნდა ითქვას
 და მეხთატეხა, გრაგანი მისი,
 ყველა გაქურდულ ხორციელს იხსნის
 მეფის მამობრივ აღერსისაგან...“

1859 წ. 25 დეკემბერი,
 (ს.-პეტერბურგი)

ГІМН ЧЕРНИЧИЙ

Удар, громе, над тим домом,
Над тим Божим, де мремо ми,
Тебе ж, Боже, зневажаєм,
Зневажаючи, співаєм:
Алілуя!

Якби не ти, ми б любились,
Кохалися б, та дружились.
Та діточок виростили,
Научали б та співали:
Алілуя!

Одурив ти нас, убогих,
Ми ж окрадені, небоги,
Сами тебе одурили
І, скиглячи, возопили:
Алілуя!

Ти постриг нас у черниці,
А ми собі молодичі...
Та танцюєм, та співаєм,
Співаючи. Примовляєм:
Алілуя!

20 іюня [1860
С.-Петербург]

მონაზვნების ჯიშნი

დამეხე მეხო, ეს სახლი საღვთო,
სახლი, რომელიც სამარე გახდა,
შენ კი, ო, ღმერთო, გულნაწყენები,
გიმღერით ნელა, სვენებ-სვენებით:
ალილუია!

ო, შენ რომ არა, გველოდა ტრფობა
და სიყვარულით დაგვა და დნობა,
ოჯახის ყოლა, შვილების გაზრდა,
ზეიმი სულში უნახეს აზრთა:
ალილუია!

შენ დაგვიბრიყვე ჩვენ, უმეცრები,
შენი წყალობით, შენი შეძლებით
გავისულელეთ თვითონვე თავი
და ახლა ვღმერთობ, და ახლა ვდნავით:
ალილუია!

ეს შენ აღგვეკვეცე ჩვენ მონაზვნებად
და ჩაგვაგონე ასე გაძლება...
ხან ავცეკვდებით, ხან ავმღერდებით,
ცეკვა-თამაშში კიდევ ვბერდებით:
ალილუია!

[1860 წლის 20 ივნისი,
ს.-პეტერბურგი]



Н. Я. МАКАРОВУ

На пам'ять 14 сентября

Барвінок цвів і зеленів,
Слався, розстилався;
Та недосвіт перед світом
В садочок урвався.

Потоптав веселі квіти,
Побив... Поморозив...
Шкода того барвіночка
Й недосвіта шкода!

14 сентября [1860
С.-Петербург]

ნ ვ ი ვ მაკაროვს

14 სექტემბრის სახსოვრად

გველის სურო ჰევაოდა და მწვანობდა
და ფარავდა ფარდაგივით მიწას.
მაგრამ ბაღში შეიპარა ჭირხლი
და რიჟრაჟი შეატოკა იმ წამს.

გადათელა ყვავილები ცქრიალა,
ახრო, აჭკნო... არ უგრძნია დაღლა...
მენანება ახლა გველის სურო და
თევით ის ჭირხლიც მენანება ახლა!

1860 წლის 14 [ექტემბერი,
ს.-პეტერბურგი]

180



* * *

І Архімед, і Галілей
Вина ї не бачили. Єлей
Потік у черево чернече!
А ви, святиє предотечі,
По всьому світу розійшлись
І крихту хліба понесли
Царям убогим. Буде бите
Царями сіянеє жито!
А люде виростуть. Умруть
Ще не зачатіє царята...
І на оновленій землі
Врага не буде, супостата,
А буде син, і буде мати,
І будуть люде на землі.

24 септября [1860,
С.-Петербург]

* * *

არც გალილეოს, არც არქიმედეს
არ უსვამთ ღვინო. გამოიმეტეს
ბერის მუცლისთვის ნაკურთხი ზეთი!
წინამორბედნო, სათნო და კეთილ
მიზნებით მოვლეთ ზღვაცა და ხმელიც
და გაუწოდეთ მოწყალე ხელი
გლახაკ მეფეებს. წაგიხდათ მანამ
მეფეთა მიერ ნათესი ყანა!
წამოვა ხალხი! ჯერ ჩაუსახველ
უფლისწულებსაც დაფარავს თალხი...
მტერს გაასწორებს საწუთროს ჩალხი,
და განახლებულ მიწასა ზედა
იქნება ძე და იქნება დედა,
დედამიწაზე იქნება ხალხი.

24 სექტემბერი [1860 წ.
ს.-პეტერბურგი]

ლ.

Поставлю хату і кімнату,
 Садок-райочок насаджу.
 Посиджу я і походжу
 В своїй маленькій благодаті.
 Та в одині-самотині
 В садочку буду спочивати.
 Присняться діточки мені,
 Веселая присниться мати,
 Давне-колишній та ясний
 Присниться сон мені!.. і ти!..
 Ні, я не буду спочивати,
 Бо й ти приснишся. І в малий
 Райочок мій спідтиха-тиха
 Підкрадешся, наробиш лиха...
 Запалиш рай мій самотний.

27 сентября (1860,
 С.-Петербург)

182



ლ-ს

დავიდგამ ქოხს და დავიდგამ სენაკს,
 ბაღი მექნება, სამოთხის ბაღი.
 ხან ჩამოვჯდები, ხან ვივლი ლაღი,
 ჩემს მცირე ედემს დალოცავს ზენა.
 იქ დავისვენებ... მარტოს და დაღლილს
 სულმოთქმის მეტი რა მინდა, ნეტა!
 დამესიზმრება ტიტინა ბაღლი,
 დამესიზმრება პირბადრი დედა.
 აწ სხივმიმქრალი და გარდასული,
 დამესიზმრებით შენ და... წარსული!..
 არ დავიძინებ, რადგანაც ნეტარ
 ხილვებს წამიშლი. და ჩემს პატარა
 ედემს ასძვრება უცებ ურდული,
 დამღუპავს შენი მოსვლა ქურდული...
 მიქცევს სამოთხეს ფერფლად, ლაღარად.

27 სექტემბერი (1860,
 ს.-პეტერბურგი)



Поставлю хату и хилнасту,
Садокъ-райотокъ насажу.
Посітку є, и похози
Їз своїй малембкій благодеті.
Та єз одини-самотний
Їз шкудотку буду спочивати,
Присниць диточки мени,
Веселав присниць мати,
Давне-колицкій табемий
Присниць соня мени!.. и ти!..
Ми єтбуду спочивати,
Бо і ти присниє. и малій
Райотокъ мій, студтиха-тиха
Підкрадєсь, каробильє лиха...
Заналишє рай мій самотний.



27. Рентьєрє

* * *

Не нарікаю я на Бога,
Не нарікаю ні на кого.
Я сам себе, дурний, дурю,
Та ще й співаючи. Орю
Свій переліг — убогу ниву!
Та сію слово. Добрі жнива
Колись-то будуть. І дурю!
Себе таки, себе самого,
А більше, бачиться, нікого?

Орися ж ти, моя ниво,
Долом та горою!
Та засійся, чорна ниво,
Волею ясною!

Орися ж ти, розвернися,
Полям розстелися!
Та посійся добрим житом,
Долею полийся!
Розвернися ж на всі боки,
Ниво-десятино!
Та посійся не словами,
А розумом, ниво!
Вийдуть люде жито жати...
Веселії жнива!..
Розвернися ж, розстелися ж,
Убогая ниво!!!

* * *

არ წამომცდება ღვთის საყვედური,
ქვეყნად არავის მე არ ვემდური.
თავს ვისულელებ, სულელი თავად
და თან ვდიდინებ. მიეწყო შავად
ბელტებს ბელტები — მინდორში ვწვავლობ!
და ვთესავ სიტყვებს. იქნება ალო
ხელხვავიანი. ვიბრიყვებ თავად
თავს ძველებურად, ჩემივე ნებით,
არ მემეტება რადგანაც სხვები.

მოიხანი, ჩემო ყანავ,
ყველგან — მთად და ბარად!
შვების თესლო, გაიხარებ
შავ მიწაში მარად!

მოიხანი, გაფართოვდი,
იჯეჯილე მწვანედ!
თავთავები დაიპურე,
ბედად მოიყვანე!
ილაღანე კიდიო-კიდე,
ყანა-დესეტინა!
რომ თქვან, შენში არა სიტყვამ,
სიბრძნემ გაიბრწყინა!
გაჩაღდება ალოობა...
არ მოგმკიან განა!..
აიფოფრე, აიქოჩრე,
ძირღატაკო ყანავ!!!



Чи не дурю себе я знову
Своїм химерним добрим словом?
Дурю! Бо лучче одурить
Себе-таки, себе самого,
Ніж з ворогом по правді жить
І всує нарікати на Бога!

5 октябрия (1860,
С.-Петербург)

ხომ თავს ვიტყუებ, ხომ ვიტყუები
ამ ქიშკრულ და კეთილ სიტყვებით?
რადგან ცხადია, სვეუბედურო,
რომ სჯობს საკუთარ თავს დაემდურო,
ვიდრე გაიყო სიმართლე მტერთან
და ღმერთს ამაოდ უსაყვედურო!

5 ოქტომბერი (1860,
ს.-პეტერბურგი)



* * *

Минули літа молодії,
Холодним вітром од надії
Уже повіяло. Зима!
Сиди один в холодній хаті,
Нема з ким тихо розмовляти,
Ані порадитись. Нема,
Анікогісінько нема!
Сиди ж один, поки надія
Одурить дурня, осміє...
Морозом очі окує,
А думи гордії розвіє,
Як ту сніжину по степу!
Сиди ж один собі в кутку.
Не жди весни — святої долі!
Вона не зійде вже ніколи
Садочок твій позеленить,
Твою надію оновить!
І думу вольную на волю,
Не прийде випустить... Сиди
І нічогісінько не жди!..

18 октябрия (1860,
С.-Петербург)

* * *

განველე სიჭაბუკის ზღვარი,
იმედების ცივი ქარი
აფენს ზამთრის ფარჩას!
ცივ ხატაში იჯექ მარტო,
კაცი არ ჩანს, რომ გააანდო
სატკივარი. არ ჩანს,
არც არავინ არ ჩანს!
იჯექ ჩუმად, გასუსული,
სანამ სასო, როგორც სულელს,
თვალეებს გაგიყინავს,
ამაყ ფიქრებს გაგიფანტავს,
ვით ტრამალზე თოვლის ფანტელს!
იჯექ, იჯექ შინა.
არ დატოვო ბინა!
ნეტარ ბედზე გმართებს გლოვა!
გაზაფხული აღარ მოვა,
იმედების მხსნელი!
თავისუფალ ფიქრს და სათქმელს
ხუნდი ადევს... იჯექ სადმე
და ნურაფერს ელი!..

18 ოქტომბერი (1860,
ს.-პეტერბურგი)





* * *

І тут, і всюди — скрізь погано.
Душа убога встала рано,
Напряла мало та й лягла
Одпочивать собі, небога.
А воля душу стерегла.
Прокинься, — каже. — Плач, убога!
Не зійде сонце. Тьма і тьма!
І правди на землі нема!»
Ледача воля одурила
Маленьку душу. Сонце йде
І за собою день веде.
І вже тії хребетносили,
Уже ворущаться царі...
І буде правда на землі.

30 октябрия (1860,
С.-Петербург)

* * *

აქაც და ყველგან — სიგლახე სრული.
ადგა სისხამზე ღატაკი სული,
მოქსოვა ცოტა და ისევ დაწვა
ის საცოდავი, მიიქცა ძილად.
შვებამ კი მისი ითავა დაცვა.
ეტყვის: „სტიროდე, დღე დამედ ქმნილა!
მზე არ ამოვა, სუფევს წკვარამი!
სამართლის ნაცვლად — ოდენ ვარამი!“
გაასულელა მცონარე შვებამ
პაწია სული. მზე იწვერება
და დღის ნათელი ცვივა ჩქერებად.
და სადაცაა მეფეთა წყება
უკანასკნელად მოიკრებს ძალებს...
და სამართალიც პურს შეჭამს მალე.

30 თქტომბერი (1860,
ს.-პეტერბურგი)



* * *

Якби з ким сісти хліба з'їсти,
Промовить слово, то воно б,
Хоч і як-небудь на сім світі,
А все б таки ялось жилосьь.
Та ба! Нема з ким. Світ широкий,
Людей чимало на землі...
А доведеться одиноким
В холодній хаті кривобокій
Або під тиним простягтись.
Або... Ні. Треба одружитись,
Хоча б на чортовій сестрі!
Бо доведеться одурити
В самотині. Пшениця, жито
На добрім сіялись лану,
А люде так собі пожнуть
І скажуть: «Десь його убито,
Сердешного, на чужині...»
О горе, горенько мені!

4 ноябрь (1860,
С.-Петербург)

* * *

რომ მყავდეს ვინმე ლუკმის გამყოფი
ან სიტყვის მთქმელი, ვპოვებდი მიზეზს
ქვეყნად მცირედი ბედით კმაყოფის
და ვიცხოვრებდი ასე თუ ისე.
არ მყავს არავინ! თუმცა ვრცეული
სამყარო ურიცხვ ბინადარს იტევს...
მარტოდ დარჩენილს მიცდის ეული
ქოხი ცივი და გვერდმონგრეული,
არა და ღობის ძირი და ძგიდე.
ო, არა!.. უნდა შევიერთო ცოლი!
შევიერთავ, თუნდაც ეშმას და იყოს!
თორემ ყარიბი გული გაიყო
მარტოობაში. გარჯით და ბრძოლით
მე მითესია ხორბალი ველად,
მოვლენ სხვები და მომკიან ხელად
და თან იტყვიან: „ადინეს ბოლი,
შორეთს დასრულდა ბეჩავის გზაო...“
ო, ჩემს მოსწრებას, ო, ჩემო თავო!

4 ნოემბერი (1860,
ს.-პეტერბურგი)



* * *

І день іде, і ніч іде.
І, голову схопивши в руки,
Дивуєшся, чому не йде
Апостол правди і науки?

5 ноября (1860,
С.-Петербург)

* * *

დღე იცვლება ისევ სადამოთი.
და ხელებში მძიმედ თავჩარგული,
ჰკვირობ, ნეტავ, რატომ აღარ მოდის
სიმაართლის და სიბრძნის მოციქული?

5 ნოემბერი, (1860,
ს.-პეტერბურგი)



Великомученице кумо!
 Дурна єси та нерозумна!
 В раю веселому зросла,
 Рожевим цвітом процвіла
 І раю красного не зріла,
 Не бачила, бо не хотіла
 Поглянути на божий день,
 На ясний світ животворящий!
 Сліпа була єси, незряща,
 Недвига серцем; спала день
 І спала ніч. А кругом тебе
 Творилося, росло, цвіло,
 І процвітало, і на небо
 Хвалу творителю несло.
 А ти, кумасю, спала, спала,
 Пишалася, та дівувала,
 Та ждала, ждала жениха,
 Та ціломудріє хранила,
 Та страх боялася гріха
 Прелюбодійного. А сила
 Сатурнова іде та йде,
 І гріх той праведний плете,
 У сиві коси заплітає,
 А ти ніби недобачаєш:
 Дівуєш, молишся, та спиш,
 Та матір божію гнівиш
 Своїм смиренієм лукавим.

მრავალტანჯულო ნათლიდედაო!
 მართლაც ბრიყვი ხარ და ჩერჩეტაო!
 მხიარულ ედემს განგებამ გზარდა,
 ამოკოკორდი, აყვავდი ვარდად
 და არ გიხილავს ედემი მშვენი,
 რამეთუ იყო სურვილი შენი,
 არ შეგემჩნია ღვთაებრივ ღღეთა
 მაცოცხლებელი ნათლის ციალი!
 უთვალისჩინო იყავ, ტიალი
 და გულუძრავი. გეძინა დღე და
 გეძინა ღამე. ხოლო ცხოველი
 ცხოვრების წყარო ჩქეფდა, დიოდა,
 ფეთქავდა მიწა ვარდთა მთოველი,
 გამჩენის ქება ცად ადიოდა.
 შენ კი, ნათლიდედ, სულ ძილი, ძილი,
 ქალიშვილობა, ზმანება ტკბილი,
 სულ გულისსწორის მოცდა და მოცდა.
 შენ გაშინებდა ცოდვის ჩადენა
 და სიქალწულეც ამაოდ მოცდა
 ამ მოლოდინში. ცად გაათენა
 და თავშესაფარს ეძებს ზუალი
 უკვე მოუწნავს ცოდვის ვუალი,
 ცოდვას საკუთარ თმაშიაც იწნავს,
 შენ კი თითქოსდა იგებდე ნიძლავს:
 ქალწულობ, გძინავს, ხარ მადლობელი,
 და გირისხდება კვლავ ღვთისმშობელი,
 რომ ხარ მორჩილი, ჩუმი და წყნარი.



Прокинься, кумо, пробудись
Та кругом себе подивись,
Начхай на ту дівочу славу
Та щирим серцем, нелукаво
Хоть раз, сердего, соблуди.

2 декабря (1860,
С.-Петербург)

გეყო, ნათლიდედ, მიდექ და მოდექ,
ნუ გაკროთობს ბედის ხრამი და კბოდე.
მაგ სიქალწულეს დაუსვი ჯვარი,
ჯანდაბას საქმრო, ჯანდაბას ქმარი
და ერთხელ მაინც, ბეჩაო, სცოდე!

2 დეკემბერი (1860,
ს.-პეტერბურგი)



* * *

Зійшлись, побрались, поєднались,
Помолоділи, підросли.
Гайок, садочок розвели
Кругом хатини. І пишались,
Неначе князі. Діти грались,
Росли собі та виростали...
Дівчаток москалі украли,
А хлопців в москалі забрали,
А ми неначе розійшлись,
Неначе брались — не єднались.

5 декабры [1860,
С.-Петербург)

* * *

შეხვედით, შევუღლდით, შეეკარით ზავი,
შეგვეხსნა თითქოს ცისკიდის თაღი.
ვახარეთ ჩვენი ბაღჩა და ბაღი
ქოხის გარშემო. მოგვწონდა თავი,
როგორც თავადებს. მოუღლელ მკლავით
ვშრომობდით, კარში რბოდნენ შვილები...
მოსკალთ წაგვეგვარეს ქალიშვილები,
გავვიმოსკალეს ვაჟნი ზრდილები,
ჩვენ კი თითქოსდა გავიყარენით,
თითქოს ჩვენს შორის ჩამოწვა ზვაგი.

5 დეკემბერი (1860,
ს.-პეტერბურგი)



* * *

Чи не покинуть нам, небого,
Моя сусідонько убога,
Вірші нікчемні віршувать
Та заходиться риштувать
Вози в далекую дорогу,
На той світ, друже мій, до бога,
Почимчикуєм спочивать.
Втомилися, і підтоптались,
І розуму таки набрались,
То й буде з нас! Ходімо спать,
Ходімо в хату спочивать...
Весела хата, щоб ти знала!..
Ой не йдімо, не ходімо,
Рано, друже, рано —
Походимо, посидимо —
На сей світ поглянем...
Поглянемо, моя доле...
Бач, який широкий,
Та високий, та веселий,
Ясний та глибокий...
Походимо ж, моя зоре...
Зійдемо на гору,
Спочинемо, а тим часом
Твої сестри-зорі,
Безвічнії, попід небом
Попливуть, засяють.
Підождемо ж, моя сестро,

* * *

დრო ხომ არ დადგა, თანამღმობელო
დისწულო ჩემო და მეზობელო,
შევწყვიტოთ ფუჭი ლექსების წერა
და გავიმზადოთ, ვითარცა ჯერ არს,
ის საზიდარი საიმსოფელო
და დავემკვიდროთ ღვთის სამფლობელოს,
წამო, საშორგზოდ გვეძახის წერა.
დაქანცულთათვის ნუგეში თუა,
კი, მოვტყდით, მაგრამ ვისწავლეთ ჭკუა,
ჰოდა, გვეყოფა! ხატაში წამო,
იქ გვიცდის ძილი, ტკბილი და ამო..
შენ რომ იცოდე, თბილია ხატა!..
ო, ნუ წავალთ, გევედრები,
ჯერ ადრეა, ადრე. —
ჯერ ბოლომდე არც კი ვიცი
ამ ცხოვრების ყადრი...
ერთხელ კიდევ ვნახოთ, ბედო,
ეს ქვეყანა ვრცელი
რა ღრმა არი, რა დიადი,
ლადი, შუქნათელი...
გავიაროთ, ჩემო მნათო...
გადავლახოთ მთები,
დავისვენოთ, მანამდე კი
ვარსკვლავები-დები
იბრწყინებენ, გასწვდებიან
თვით სამყაროს ბოლოს,
დავისვენოთ, დაო ჩემო,



Дружино святая!
Та нескверними устами
Помолимось Богу,
Та й рушимо тихесенько
В далеку дорогу —
Над Летою бездонною
Та каламутною.
Благослови мене, друже,
Славою святою.

14 февраля

ჩემო წმინდა ცოლო!
უბილწსიტყვო ბაგეებით
ვთქვათ გამჩენის ქება
და შავეთის შორ შარაგზას
გავყვეთ ნება-ნება.
უძირო და მღვრიე ლეთა! —
ჩვენ არა გვაქვს სხვა გზა.
მაშ, დამლოცე და დიდება
გამაყოლე საგზლად.

14 თებერვალი





* * *

А поки те, та се, та оне...
Ходімо просто-навпростець
До Ескулапа на ралець —
Чи не одурить він Харона
І Парку-пряху?.. І тойді,
Поки б химерив мудрий дід,
Творили б, лежа, епопею,
Парили скрізь понад землею,
Та все б гекзаметри плели,
Та на горище б однесли
Мишам на снідання. А потім
Співали б прозу, та по нотах,
А не як-небудь... Друже мій,
О мій сопутниче святий!
Поки огонь не захолюнув,
Ходімо лучче до Харона —
Через Лету бездонную
Та каламутную
Перепливе, перенесем
І Славу святую —
Молодую, безвічну. —
Або цур їй, друже,
І без неї обійдуся —
Та як буду здужать,
То над самим Флегетоном
Або над Стіксом, у раю,
Неначе над Дніпром широким,

198



* * *

სანამ მოვეყვებით ალთას და ბალთას...
მოვეჭრათ მოკლეზე ბილიკი ჩვენი
და წავუძძღვართ ესკულაპს ძღვენი, —
იქნებ მოტყუვდეს ქარონი მართლაც,
პარკა-მბეჭველიც... და მაშინ ლხენით,
სანამ ტვინს იჭყლეტს მოხუცი ბრძენი,
ჩვენ ეპოპეა ვწერთ მწოლებმა,
თანაც მოვასწროთ ცად გაქროლება,
ჰეგზამეტრები ვაცხოთ და ვაცხოთ,
რომ მერე სხვენზე თაგვები ვაძლოთ
ჩვენი ნაღვაწით. სულ ნოტა-ნოტა
ვიმღერთ პროზა უამეს დროთა.
ჰო, წუთისოფლის გავიგოთ გემო,
წმინდანის დარო მხლებელო ჩემო!
სანამ ეს ცეცხლი ჩაქრობას ჩქარობს,
წამო, აჯობებს მივადგეთ ქარონს —
უძირო და მღვრიე ლეთას
ერთად გადავცურავთ,
თან დიდებას გავიყოლებთ
წმინდა საგანძურად,
ბინდი რომ არ ეკარება.
ან ჯანდაბას სულაც,
უმისოდაც გავალთ გაღმა,
როგორც სხვა გასულა.
ზედ ფლეგეტონის ნაპირზე სწორედ
ან სტიქსის პირას, სამოთხის კარად,
მე რომ მგონია, დნიპროა მღორე

В гаю — предвічному гаю,
Поставлю хаточку, садочок
Кругом хатини насаджу;
Прилинеш ти у холодочок,
Тебе, мов кралю, посаджу.
Дніпро, Україну згадаєм,
Веселі селища в гаях,
Могили-гори на степах —
І веселенько заспіваєм...

15 февრалა (1861,
С.-Петербург)

და ჭალისპირი, ბიბინა მარად,
სახლს ავაშენებ, ბაღს გავაშენებ,
არ მოვშორდები აზრით, ფიქრებით.
შენ მოფრინდები და დამამშვენებ
და ჩემი ბაღის ტურფა იქნები.
დნიპროს, მამულსაც ოცნებით ვნახავთ,
ვეწვევით სოფლებს, ლხინში გართულებს,
ყორღანებს, სტეპზე წამომართულებს —
და შემოვძახებთ სიმღერას ლაღად...

15 თებერვალი (1861,
ს.-პეტერბურგი)





ПРИМІТКИ

Причинна

«П р и ч и н н а» — одна з найперших балад Тараса Шевченка, якою традиційно відкриваються видання «Кобзаря», означає божевільну від чар ворожки жінку. Балада розповідає про закоханих, яких силоміць розлучили і довели до загибелі. Вступ твору, переклад якого пропонуємо грузинському читачеві, виділяється особливою експресією, мальовничістю і музичністю. Мабуть, тому й стала народною створена на цьому тексті пісня Д. Крижанівського «Реве та стогне Дніпр широкий».

До Основ'яненка

Основ'яненко — український письменник Квітка-Основ'яненко Григорій Федорович (1778–1843). Писав українською й російською мовами. Тепло відгукнувся на вихід «Кобзаря» 1840 року і «Гайдамаків», листувався з Тарасом Шевченком, але особисто з ним не був знайомий.

Вірш написаний під враженням від нарису Г. Квітки-Основ'яненка про кошового отамана Чорноморського козацького війська «Головатий. Матеріали для історії Малороссии.»

С і ч — Запорізька Січ — військовий і адміністративний центр запорозького козацтва із середини XVI ст. до 1775 року.

Л я х — історична назва поляків.

Г е т ь м а н — у XVI ст. виборний ватажок козацького війська Запорізької Січі, від XVII ст. до 1764 року — начальник козацького війська та верховний правитель України.

Розрита могила

Зміст твору навіяний Шевченкові враженнями від першої подорожі по Україні 1843 р. Важке, безправне становище покріпаченого народу, нещадний поміщицький визиск викликали гнів і обурення

поета. Він висловлює протест проти соціального і національного гноблення українського народу царатом і картає українське панство і чиновництво, які здійснювали політику самодержавства в Україні.

О й Б о г д а н е ! — Богдан (Зіновій) Михайлович Хмельницький (бл. 1595–6.VIII.1657), гетьман, видатний український державний діяч і полководець. У 1648–1654 рр. очолював визвольну боротьбу українського народу проти шляхетської Польщі. Т. Шевченко високо оцінював діяльність Б. Хмельницького, часто звертався до його образу і в поезіях, і в малярських творах, називав його «славним», «благородним», «геніальним бунтарем» тощо. В деяких творах, зокрема в поезії «Розрита могила», Т. Шевченко критично ставиться до Б. Хмельницького, що пояснюється важким становищем українського народу під владою самодержавства. Закиди на адресу Б. Хмельницького були своєрідною критикою тогочасного ладу.

С т е п и м о ї з а п р о д а н і ж и д о в і , н і м о т і . . . — йдеться про поселення царським урядом на півдні України іноземних колоністів, головним чином німців, які жорстоко визискували українських селян. Серед визискувачів були й євреї.

А т и м ч а с о м п е р е в е р т н і . . . — Шевченко має на увазі тих українців, які допомагали царату здійснювати соціальне й національне гноблення в Україні.

Гоголю

Гоголь Микола Васильович (1809–1852) — російський письменник українського походження. Т. Шевченко дуже високо цінував його творчість. У листі до В. М. Рєпніної він писав: «Перед Гоголем должно благоговеть как перед человеком, одаренним самим глубоким умом и самою нежною любовью к людям!» У вірші-зверненні поет висловив усвідомлення своєї ідейно-творчої близькості до російського письменника, якого назвав великим другом і братом. Особисто письменники не були знайомі.





Кавказ

Що цар якійсь-то свині пас... — Ідеться про біблійного царя Давида, який у юнацькі роки був пастухом.

І мертвим, і живим, і ненародженим землякам моїм...

Коллар Ян (1793–1852) — чеський та словацький поет і вчений. Поборник ідеї єднання слов'янських народів.

Ганка Вацлав (1791–1861) — чеський поет і вчений, видатний діяч чеського Відродження.

Слов'янофіли — представники одного з напрямів суспільно-політичної думки 40–60-х рр. XIX ст; які обстоювали особливі шляхи розвитку історії та культури слов'янства, нібито кардинально відмінні від шляху розвитку народів Заходу, заперечували наявність у Росії антагоністичних суспільних станів. Закликаючи всі слов'янські народи до єднання, спільної культурної діяльності, вони, проте, відводили керівну роль у цьому процесі російському цареві. Шевченко таврував слов'янофілів за те, що вони були далекі від народу, не враховували реальних інтересів покріпаченого люду.

Брути — Люцій Юній Брут 509 року до н. е. очолив повалення з трону етрусського царя Тарквінія Гордого і встановив республіканський лад у Римі.

Марк Юній Брут (85–42 до н. е.) — римський політичний діяч, прихильник аристократичної республіки. Очолив змову senatorів проти Юлія Цезаря, брав участь у його вбивстві. Покінчив життя самогубством. В літературі образ Брута, який начебто втілював у собі вищі республіканські чесноти, часто ідеалізувався. В поемі Шевченко назвав ім'я Брута як синонім борця за свободу.

Коклес — легендарний римський герой, відомий тим, що врятував Рим, сам-один обороняючи міст на річці Тібр від війська етрусського царя Порсени.

І на Січі мудрий німець картопельку садить... — йдеться про заселення півдня України німцями-колоністами наприкінці XVIII та на початку XIX ст.

Три літа

У вірші поет підводить підсумки свого духовного життя за останні три літа, говорить про зміни, які сталися за цей час у його світогляді.

Катруся — поет мав на увазі Катерину з однойменної своєї поеми.

Що молились з козаками в турецькій неволі... — йдеться про поему «Гамалія», в якій Т. Шевченко зобразив бранців у турецькій неволі та їх визволення.

І Оксану, мою зорю... — йдеться про Оксану Коваленко (4.X.1817 — рік смерті невідомий) подругу Шевченка за дитячих років, якій він присвятив поему «Мар'яна-черниця».

В казематі

Цикл написаний у казематі III відділу під час слідства над учасниками Кирило-Мефодіївського товариства (з 17 квітня по 30 травня 1847 р.). В Орській фортеці Т. Шевченко дописав вірш «Згадайте, братія моя...», який став заспівом до циклу.

VII. Н. Костомарову

Костомаров Микола Іванович (1817–1885) — український і російський історик, письменник, етнограф і публіцист. Один із засновників і діячів Кирило-Мефодіївського товариства; стояв на помірковано-ліберальних позиціях. З Т. Шевченком познайомився 1846 р. в Києві.

N. N. («О думи мої! О славо злая!»)

Нерон — Клавдій Цезар (37–68 рр. до н. е.), римський імператор 54–68 рр. до н. е; представник династії Юлів-Клавдіїв, був відомий своєю жорстокістю.

Сарданапал — останній асирійський цар (VII ст. до н. е.).

Г р о д — іудейський цар (40–4 рр. до н. е.).
К а і н — син біблійних Адама і Єви, вбивця брата Авеля.
С о к р а т (469–339 р. р. до н. е.) — давньогрецький філософ.
К е с а р — кат-Нерон.
...І грека доброго — тобто Сократа.

Полякам

А унії не чуть було... — йдеться про унію, проголошену Брестським церковним собором 1596 року, коли православні церкви України та Білорусі буди об'єднані з католицькою церквою.
К с ь о н д з и — польський священнослужитель.
Т е Д е у м (лат.) — тебе, Бога... — початок християнського гімну.

Ну що б, здавалося, слова...

Д і а н а — у римській міфології богиня місяця й полювання, тут — місяць.
О с т р о в н а — (Островне) — село (станція) Оренбурзької губернії (тепер село Сарактаського району, Оренбурзької області Російської Федерації). У той час було заселене переселенцями-українцями. Тут Т. Шевченко був у червні 1847 р. та в травні і восени 1850 р.; пізніше згадував Островну у повісті «Близнець».
Таки земляк наш з островної... — за припущенням дослідників, матрос на шхуні Аральської описової експедиції «Константин», уродженець села Островної Іван Васильєв.

П. С. («Не жаль на злого, коло нього...»)

П. С. — Петро Скоропадський (1805–1848), чернігівський поміщик-кріпосник, нащадок гетьмана І. Скоропадського (1646–1722). Видавав себе за ліберала-українофіла. Т. Шевченко зустрічався з ним у своїх знайомих на Чернігівщині й Полтавщині.

Слава

У В е р с а л і н а д з л о д і е м... — йдеться про Наполеона III Бонапарта (1808–1873), який ліквідував у Франції республіканський лад і оголосив себе імператором.
...з тим Миколою у Севастополі... — натяк на воєнні невдачі царського війська під Севастополем у Кримській війні 1853–1856 рр.

Я не нездужаю, нівроку...

В і з а н т і й с т в о — тут вжито у значенні найреакційніших засад самодержавного ладу, що беруть свій початок від Візантії.

Марку Вовчку

Марко Вовчок (1833–1907) — літературний псевдонім української та російської письменниці Марії Олександрівни Вілінської-Маркович. Вірш присвячений знайомству з Марком Вовчком у Петербурзі 24 січня 1859 р.

Барвінок цвів і зеленів...

Макаров Микола Якович (1828–1892) — чиновник, журналіст, петербурзький знайомий Т. Шевченка. У його сестри Карташевської Варвари Яківни (1832–1902) наречена Т. Шевченка Лікера Іванівна Полусмак (Полусмакова) (1840–17.II.1917).

Л. («Поставлю хату і кімнату...»)

Вірш написаний під враженням розриву Т. Шевченка Лікорою Полусмак.



Н. Т. («Великомученице кумо!»)

Вірш присвячений Надії Василівні Тарнавській (рік народження невідомий — 1.VI.1891), сестрі українського поміщика і громадського діяча Василя Тарнавського, з якою Т. Шевченко познайомився в Качанівці. 1845 року поет разом з нею в селі Потока хрестив дитину місцевого диякона.

Чи не покинуть нам, небого...

Лета — річка забуття в підземному царстві Аїда. Коли померлий пив з Лети воду, його душа забувала все, що пережила й бачила на землі.

А поки те, та се, та оне...

Ескулап — бог лікування в давньогрецькій міфології.

Харон — перевізник померлих через річку Стікс у царстві Аїда.

Парка-пряха — у давньоримській міфології парками називалися богині долі, яким відповідали грецькі мойри. Одна з них пряля нитку людського життя, друга вела її крізь усі мінливості долі, третя перетинала нитку, коли наставала хвилина смерті.

Флегетон — у грецькій міфології одна з річок підземного царства, що відокремлювала цей світ від «потойбічного».

Стікс — одна з річок Аїду, що сім разів обтікала підземне царство.



შენიშვნები

გათვალისწინებული

ტარას შევჩენკოს ერთ-ერთ ყველაზე ადრეულ ამ ბალადას, რომლითაც ტრადიციულად იხსნება „კობზარის“ გამოცემები, ორიგინალში ჰქვია „პრინინა“ ანუ კუდიანისგან გათვალისწინებული შეშლილი ქალი. ბალადა გვიყვება შეყვარებულ ქალ-ვაჟზე, რომლებიც ერთმანეთს ძალით დააშორეს და დაღუპეს. ნაწარმოების შესავალი, რომლის თარგმანსაც მკითხველს ვთავაზობთ, გამოირჩევა ექსპრესიით, ფერწერულობითა და მუსიკალურობით. ალბათ, ამიტომაც გახალხურდა დ. კრიჟანივსკის მიერ სწორედ ამ ტექსტზე შექმნილი სიმღერა „ღრიალებს და კვნესის დნიპრო ვრცელი“.

ოსნოვიანენკოსადმი

ოსნოვიანენკო — კვიტკა-ოსნოვიანენკო გრიგოლ თევდორეს ძე (1778–1843), უკრაინელი მწერალი, წერდა უკრაინულად და რუსულად, გულთბილად გამოეხმაურა 1840 წელს გამოცემულ „კობზარსა“ და „ჰაიდამაკებს“, ჰქონდა მიმოწერა ტ. შევჩენკოსთან, მაგრამ პირადად მას არ შეხვედრია.

ლექსი დაწერილია გ. კვიტკა-ოსნოვიანკოს ნარკვევის „გოლოვატი. მასალები მალოროსიის ისტორიისთვის“ შთაბეჭდილებებზე.

სიჩი — ზაპოროჟიის სიჩი, ზაპოროჟიელ კაზაკთა სამხედრო და ადმინისტრაციული ცენტრი XVI საუკუნის შუა წლებიდან 1775 წლამდე.

ლიახი — პოლონელების ისტორიული სახელწოდება.

ჰეტმანი — XVI საუკუნეში ზაპოროჟიის სიჩის ჯარის არჩევითი წინამძღოლი, XVII საუკუნიდან 1764 წლამდე — კაზაკთა ჯარის უფროსი და უკრაინის უზენაესი მმართველი.

გათხრილი ყორღანი

ნაწარმოების შინაარსი შევჩენკოს შთააგონა 1843 წელს უკრაინაში პირველი მოგზაურობით მიღებულმა შთაბეჭდილებებმა. დამონებული ხალხის მძიმე, უუფლებო მდგომარეობამ პოეტის აღშფოთება გამოიწვია. იგი გამოთქვამს პროტესტს მშობელი ერის სოციალური და ეროვნული ჩაგვრის გამო, საყვედურობს უკრაინელ მებატონეებსა და ჩინოვნიკებს, რომლებიც ახორციელებენ თვითმპყრობელობის პოლიტიკას უკრაინაში.

ეჰ, ბოგდანო!.. — ჰეტმანი ბოგდან (ზენობი) მიხეილის ძე ხმელნიცი (დაახლ. 1595 ან 96. VIII. 1657), გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე და მხედართმთავარი. 1648–1654 წლებში მეთაურობდა უკრაინელი ერის ბრძოლას პოლონეთის შლიახტის წინააღმდეგ. ტ. შევჩენკო მაღალ შეფასებას აძლევდა ბოგდან ხმელნიცკის მოღვაწეობას, ხშირად მიმართავდა მის სახეს როგორც ლექსებში, ასევე ნახატებშიც, უწოდებდა მას სახელოვან, კეთილშობილ, „გენიალურ მემამბოხეს“, თუმცა ზოგ ნაწარმოებში (კერძოდ, ლექსებში გათხრილი ყორღანი“ და „მთვრალ ბოგდანო...“) მეტისმეტადაც ამითრახებდა.

ჩემი სტეპი ურიას და გადამთიელს დარჩა... — საუბარია მეფის მთავრობის მიერ სამხრეთ უკრაინაში უცხოელი, უმთავრესად გერმანელი კოლონისტების ჩამოსახლებაზე, რომლებიც უმოწყალოდ ძარცვავდნენ უკრაინელ გლეხებს. მჩაგვრელთა შორის იყვნენ ებრაელებიც ანუ ურიებიც, როგორც მათ შევჩენკო უწოდებს იმჟამინდელი ტრადიციის მიხედვით.

მიეხმარონ გარეწრებიც... — პოეტს მხედველობაში ჰყავს უკრაინელები, რომლებიც ეხმარებოდნენ ცარიზმს თანამემამულეთა სოციალურ და ეროვნულ ჩაგვრაში.



გოგოლისადმი

გოგოლი ნიკოლოზ ვასილის ძე (1809–1852) — უკრაინული წარმოშობის დიდი რუსი მწერალი. ტ. შევჩენკო ძალიან მაღალ შეფასებას აძლევდა მის შემოქმედებას. ვ. მ. რეპნინასადმი მიწერილ ბარათში პოეტი აღნიშნავდა: „თაყვანი უნდა ვცეთ გოგოლს, როგორც უღრმესი გონებითა და ადამიანებისადმი უფაქიზესი სიყვარულის ნიჭით დაჯილდოებულ ადამიანს!“ ლექს-მიმართვაში ავტორმა გამოხატა საკუთარი იდეურ-შემოქმედებითი სიახლოვე რუს მწერალთან, რომელსაც „ძმა და მეგობარი“ უწოდა. მწერლები პირადად არ იცნობდნენ ერთმანეთს.

კავკასია

რომ ვიღაც მეფე მწყემსავდა ღორებს... — საუბარია ბიბლიურ მეფე დავითზე, რომელიც სიჭაბუკეში მწყემსი იყო.

მეგდარ, ცოცხალ და ჯერარშობილ თანამემამულეებს ჩემსას...

კოლარი იან (1793–1852) — ჩეხი და სლოვაკი პოეტი და მეცნიერი. სლავთა ერთიანობის მომხრე.

განკა ვაცლავ (1791–1861) — ჩეხი პოეტი და მეცნიერი, ჩეხური აღორძინების გამოჩენილი მოღვაწე.

სლავიანოფილები — XIX ს. 40–60-იანი წლების საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრის ერთ-ერთი მიმართულების წარმომადგენლები, რომლებიც იცავდნენ სლავთა ისტორიისა და კულტურის განვითარების განსაკუთრებულ გზებს, დასავლეთის ერთა განვითარების გზებისგან ვითომცდა კარდინალურად განსხვავებულს, უარყოფდნენ რუსეთში ანტაგონისტურ საზოგადოებრივ წოდებათა არსებობას. ისინი მოუწოდებდნენ ყველა სლავ ერს ერთობისაკენ, ერთიანი კულტურული მოღვაწეობისაკენ, ოღონდ ხელმძღვანელ როლს ამ პროცესში რუსეთის მეფეს ანიჭებდნენ. შევჩენკო კიცხავდა სლავიანოფილებს იმის გამო, რომ შორს იდგ-

ნენ ხალხისაგან, არ ითვალისწინებდნენ დაბეჩავებულთა რეალურ ინტერესებს.

ბრუტუსები — ლუციუს იუნიუს ბრუტუსმა ჩვ. წელთაღრიცხვამდე 509 წელს ტახტიდან ჩამოაგდო ეტრუსკების მეფე ტარკვინიუს ამაყი და რომში რესპუბლიკური წყობილება დაამყარა.

მარკუს იუნიუს ბრუტუსი (ძვ. წ. 84–42 წლები) — რომაელი პოლიტიკური მოღვაწე, არისტოკრატიული რესპუბლიკის მომხრე. სათავეში ჩაუდგა სენატორთა შეთქმულებას იულიუს ცეზარის წინააღმდეგ, მონაწილეობდა მის მკვლელობაში ძვ. წ. 44 წელს. სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. შევჩენკო პოე, მაში ბრუტუსებს თავისუფლებისთვის მებრძოლთა სინონ, იმად მიიჩნევს.

სამი წელი...

ლექსში პოეტი აჯამებს სამი წლის მანძილზე საკუთარი სულიერი ცხოვრების შედეგებს, ლაპარაკობს თავის მსოფლმხედველობაში მომხდარ ცვლილებებზე.

ცრემლი, რომელიც ჩემმა კატი-ნამ... — პოეტს მხედველობაში ჰყავს კატერინა, ამავე სახელწოდების საკუთარი პოემის მთავარი გმირი.

ცრემლი, თურქეთში ტყვე კაზაკების ლოცვად რომ ამოდიანდა... — საუბარია პოემაზე „გამალია“, რომელშიც შევჩენკომ ასახა თურქეთში კაზაკთა ტყვეობა და მათი განთავისუფლება.

და ოქსანასაც, ჩემს ბედის ვარსკვლავს... — იგულისხმება შევჩენკოს ბავშვობის მეგობარი ოქსანა კოვალენკო (4. XI. 1817 — გარდაცვალების თარიღი უცნობია), რომელსაც პოეტმა მიუძღვნა პოემა „მონაზონი მარიანა“.

საპურობილეში

ციკლი დაწერილია III განყოფილების საპურობილეში კირილესა და მეთოდეს საზოგადოების წევრთა საქმიანობის გამოძიების უამს (1847 წლის 17 აპრი-



ლიდან 30 მაისამდე). ორსკის ციხესიმაგრეში ტ. შევჩენკომ დაამატა ლექსი „გახსოვდეთ, ძმებო...“, რომელიც ციკლის შესავალად იქცა.

VII. ნ. კოსტომაროვს

კოსტომაროვინიკოლოზივანეს ძე (1817–1885) — უკრაინელი და რუსი ისტორიკოსი, მწერალი, ეთნოგრაფი და პუბლიცისტი. კირილესა და მეთოდეს საზოგადოების ერთ-ერთი დამაარსებელი და მოღვაწე. იღვა ზომიერ, ლიბერალურ პოზიციებზე. ტარას შევჩენკოს გაეცნო 1846 წელს კიევში. სწორედ მის ბინაზე შეხვდნენ ერთმანეთს 1860 წელს ტარას შევჩენკო და აკაკი წერეთელი.

N. N. („ო, ჩემო ფიქრებო! ბოროტო დიდებავ!“)

ნ ე რ ო ნ ი — კლავდიუს ცეზარი (ძვ. წ. 37–68 წლები), რომის იმპერატორი ძვ. წ. 54–68 წლებში; იულიუს-კლავდიუსების დინასტიის წარმომადგენელი, ცნობილი იყო სისასტიკით.

ს ა რ დ ა ნ ა პ ა ლ ი — ასურეთის უკანასკნელი მეფე (ძვ. წ. VII ს.).

ჰ ე რ ო დ ე — იუდეველთა მეფე (ძვ. წ. 40–4 წლები).

ს ო კ რ ა ტ ე — (ძვ. წ. 469–339 წლები) ბერძენი ფილოსოფოსი.

მ კ ვ ე ლ ი კ ე ი ს ა რ ი — იგულისხმება ნერონი.

...და ბ რ ძ ე ნ ი ბ ე რ ძ ე ნ ი ც... — იგულისხმება სოკრატე.

პოლონელთადმი

დ ა რ ი ს მ ო დ ა უ ნ ი ს ჩ ქ ა მ ი... — იგულისხმება ბრესტის საეკლესიო კრების მიერ 1596 წელს მიღებული გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც უკრაინისა და ბელორუსიის მართლმადიდებლური ეკლესიები კათოლიკურ ეკლესიას დაექვემდებარა.

ქ ს ო ნ ძ ე ბ ი — პოლონელი კათოლიკე მღვდელმსახური.

Te Deum (ლათ.) — შე ნ , დ მ ე რ თ ო... — ქრისტიანული ჰიმნის დასაწყისი.

თითქოს სიტყვები რა ბედენაა...

დ ი ა ნ ა — რომაულ მითოლოგიაში მთვარისა და ნადირობის ქალღმერთი. აქ — მთვარე.

ო ს ტ რ ო ვ ნ ე — იმ დროს უკრაინელი ახალმოსახლეების სოფელი (სტანიცა) ორენბურგის გუბერნიაში (ამჟამად სოფელი რუსეთის ფედერაციის ორენბურგის ოლქის სარაკტასკის რაიონში). იქ შევჩენკო იმყოფებოდა 1847 წ. მაისსა და 1850 წ. შემოდგომაზე; შემდგომ იგონებდა მოთხრობაში „ტყუპები“.

კ ი , ჩ ვ ე ნ ე ბ უ რ ი , ო ს ტ რ ო ვ ნ ი ს მ ხ ა რ ი ს... — მკვლევართა ვარაუდით, არალის აღმწერი ექსპედიციის შხუნა „კონსტანტინეს“ მატროსი, ოსტროვნელი ივან ვა, სილიევი.

პ. ს.-ს („ნუ შეიცოდებ ბოროტს, იცოდე...“)

პ. ს. — პეტრო სკოროპადსკი (1805–1848) — ჩერნიგოველი მებატონე, პეტმანი. სკოროპადსკის (1646–1722) შთამომავალი. თავს ლიბერალ-უკრაინოფილად ასაღებდა. ტ. შევჩენკო მას შეხვედრია თავის ნაცნობებთან ჩერნიგოვისა და პოლტავის მხარეებში.

დიდება

ვ ე რ ს ა ლ ს ქ უ რ დ თ ა ნ ქ ე ი ფ ო ბ დ ი... — საუბარია ნაპოლეონ III ბონაპარტეზე (1808–1873), რომელმაც საფრანგეთში რესპუბლიკური ხელისუფლება გააუქმა და თავი იმპერატორად გამოაცხადა.

თ ვ ი თ ნ ი კ ო ლ ო ზ ს თ ა ნ რ ო მ ა ხ ლ დ ი ს ე ვ ა ს - ტ ო პ ო ლ ს მ წ ე დ ო... — გადაკრულადაა ნათქვამი მეფის არმიის სამხედრო მარცხზე სევასტოპოლთან 1853–1856 წ.წ. ყირიმის ომში.



ჯერ კარგადა ვარ...

ბიზანტიური მათრახის ხანა... — აქნახმარია თვითმპყრობელური წყობილების ყველაზე რეაქციული გაგებით, რაც სათავეს ბიზანტიიდან იღებს.

მარკო ვოვჩოკი

მარკო ვოვჩოკი (1833–1907) — უკრაინელი და რუსი მწერლის მარია ალექსანდრეს ასული ვოლინსკა-მარკოვიჩის ლიტერატურული ფსევდონიმი. ლექსი დაწერილია 1859 წლის 24 იანვარს მარკო ვოვჩოკთან გაცნობის სახსოვრად.

გველის სურო ჰყვოდა და მწვანობდა...

ნ.ი. მაკაროვი (1828–1892) — მოხელე, ჟურნალისტი, ტ. შევჩენკოს პეტერბურგელი ნაცნობი. მისი დის, ვარვარა იაკობის ასულ კარტაშევსკაიას (1832–1902) მოახლე იყო შევჩენკოს საცოლუ ლუკერია ივანეს ასული პოლუსმაკი (პოლუსმაკოვა) (1840–17.II.1917).

ლ.-ს („დავიდგამ ქოხს და დავიდგამ სენაკს...“)

ლექსი შექმნილია ლუკერია პოლუსმაკთან მომხდარი განხეთქილების შთაბეჭდილებებზე.

ნ. ტ.-ს („მრავალტანჯულო ნათლიდეაო...“)

ლექსი ეძღვნება ნადია ვასილის ასულ ტარნოვსკას (დაბადების თარიღი უცნობია — 1.IV.1891), უკრაინელი მემამულისა და საზოგადო მოღვაწის ვასილ ტარნოვსკის დას, რომელიც ტ. შევჩენკომ 1843 წელს კახანოვკაში გაიცნო. 1845 წელს პოეტმა სოფელ პოტოკაში მასთან ერთად ადგილობრივი დიაკონის შვილი მონათლა.

სანამ მოვევებით ალთას და ბალთას...

ესკულაპი — მკურნალობის ღვთაება ძველრომაულ მითოლოგიაში.

ქარონი — მებორნე, რომელსაც ჰადესის მიწისქვეშა სამეფოში მდინარე სტიქსზე მიცვალებულთა სულები გადაჰყავდა.

პარკა-მბეჭველი... — ძველრომაულ მითოლოგიაში პარკებს ეძახდნენ ბედისწერის ქაღალდებზე, რომლებსაც შეესაბამებოდათ ბერძნული მოირები. ერთი მათგანი ადამიანს ცხოვრების ძაფს ურთავდა, მეორე მაცდური საწუთროს ბილიკებით დაატარებდა, ხოლო მესამე, როცა სიკვდილის უამი მოუწევდა, იმ ძაფს გადაუჭრიდა ხოლმე.

ფლეგეტონი — ბერძნულ მითოლოგიაში მიწისქვეშა სამეფოს ერთ-ერთი მდინარე, რომელიც საიქიოს სააქაოსგან ჰყოფდა.

სტიქსი — ჰადესის ერთ-ერთი მდინარე, რომელიც შვიდფად ერტყმოდა მიწისქვეშა სამეფოს.



ЗМІСТ

Кобзар. Передмова. *Рауль Чілачава* 5

Думи мої...

Причинна (<i>Уривок</i>)	39
«Думи мої, думи мої...»	40
До Основ'яненка	47
Розрита могила	53
«Чого мені тяжко, чого мені нудно...»	56
Гоголю	57
«Не завидуй багатому...»	58
«Не женися на багатій...»	59
Кавказ	60
І мертвим, і живим, і ненарожденним землякам моїм в Україні і не в Україні мое дружнєє посланіє	71
«Минають дні, минають ночі...»	84
Три літа	88
Заповіт	94
В казематі	
«Згадайте, братія моя...»	96
I. «Ой одна я, одна...»	99
II. «За байраком байрак...»	99
III. «Мені однаково, чи буду...»	101
IV. «Не кидай матері!» — казали...»	102
V. «Чого ти ходиш на могилу?...»	105
VI. «Ой три шляхи широкії...»	108
VII. Н. Костомарову («Веселе сонечко ховалося...»	109
VIII. «Садок вишневий коло хати...»	110
IX. «Рано-вранці новобранці...»	113
X. «В неволі тяжко, хоча й волі...»	114
XI. Косар («Понад полем іде...»)	115
XII. «Чи ми ще зійдемося знову?...»	116

სარჩევი

კობზარი. წინასიტყვაობა. *რაულ ჩილაჩავა* 15

ფიქრნო ჩემნო...

გათვალული (<i>შესავალი</i>)	39
„ფიქრნო ჩემნო, ფიქრნო ჩემნო“	40
ოსნოვიანეკოსადმი	47
გათხრილი ყორღანი	53
„რატომ მიმძიმს ასე, რატომ მომეწყინა...“	56
გოგოლისადმი	57
„მდიდრის ნუღარ შეგშურდება...“	58
„ნუ შეირთავ მდიდარს ცოლად...“	59
კავკასია	60
მკვდარ, ცოცხალ და ჯერარშობილ თანამემამულეებს ჩემსას უკრაინასა და უკრაინის მიღმა ჩემი მეგობრული უსტარი	71
„დიან დღეები, დიან ღამენი...“	84
სამი წელი	88
ანდერძი	94
საპყრობილეში	
„გახსოვდეთ, ძმებო, სიმუხთლე წელთა...“	96
I. „მარტოკა ვარ, მარტოკა...“	99
II. „ხრამის გადაღმა ხრამი...“	99
III. „ჩემთვის ერთია, გავლევ ცხოვრებას...“	101
IV. „ნუ მიატოვებ დედასო, — გითხრეს...“	102
V. „რად დადიხარ საფლავზედა...“	105
VI. „ჰოი, სამი ფართო შარა...“	108
VII. ნ. კოსტომაროვს	109
VIII. „აღუბლის ბაღი ჰყვავის ხატასთან...“	110
IX. „სისხამ დილით გასცდნენ სოფელს...“	113
X. „მიმძიმს ტყვეობა, თუმცაღა შევება...“	114
XI. მთიბავი	115
XII. „შეგყვრის კი ისევ სოფლის ტრიალი...“	116





N. N. («Сонце заходить, гори чорніють...»)	117
N. N. («Мені тринадцятий минало...»)	118
«Не гріє сонце на чужині...»	121
N. N. («О думи мої! О славо злая!...»)	122
Полякам	123
«Один у другого питаєм...»	125
«То так і я тепер пишу...»	126
«А нумо знову віршувать...»	129
«Ой гляну я, подивляюся...»	131
«Та не дай, Господи, нікому...»	132
«Ну що б, здавалося, слова...»	133
П. С. («Не жаль на злого, коло його...»)	137
«Якби зустрілися ми знову...»	139
«І небо невмите, і заспані хвилі...»	140
«Не для людей, тієї слави...»	141
«По улиці вітер віє...»	143
«Закувала зозуленка...»	144
«Із-за гаю сонце сходить...»	145
«Не так тії вороги...»	146
«Туман, туман долиною...»	149
«І широкою долину...»	150
«І знов мені не привезла...»	151
«В неволі, в самоті немає...»	154
«Не вернувся із походу...»	155
«Неначе степом чумаки...»	156
«Як маю я журитися...»	157
«Готово! Парус розпустили...»	158
«Ми восени таки похожі...»	161
«Огні горять, музика грає...»	163
«На батька бісового я трачу...»	164
«І досі сниться: під горою...»	165
Доля	166
Муза	167
Слава	169

N. N. („მნათი იწურება, ქედები მუქდება...“)	117
N. N. („მისრულდებოდა ცამეტი წელი...“)	118
„უცხოებაში მზეა მირაჟი...“	121
N. N. („ო, ჩემო ფიქრებო! ბოროტო დიდებავ!...“)	122
პოლონელთადმი	123
„გკითხავთ ერთმანეთს მომსველ-წამსველელი...“	125
„ახლა მეცა ვწერ მავანთა დარად...“	126
„ჰაიდა, კვლავაც ვეწით მიზანს...“	129
„ჰოი, წავალ, თვალს შევაველებ...“	131
„ნუ გაუჭირვებ, ღმერთო, ნურავის...“	132
„თითქოს სიტყვები რა ბედენაა...“	133
პ. ს.-ს („ნუ შეიცოდებ ბოროტს, იცოდე...“)	137
„რომ შეგეფეთო ხელახლა გზაში...“	139
„ცა ჭუჭყიანი, თვლემენ ზვირთები...“	140
„მე არც მავანთა დატკობას ვლამობ...“	141
„ცისქვეშეთში თოვლი მოდის...“	143
„მწვანე ჭალაში ისმის გუგულის...“	144
„ჭალის მიღმა მზე ამოდის...“	145
„არა იმდენად მტერი“	146
„ნისლი, ნისლი“	149
„არც თვალუწვდენ მინდორ-ველებს...“	150
„კვლავ არაფერი ჩამომიტანა...“	151
„სად ტყეობა და სიმართოვეა...“	154
„არ დაბრუნდა ლაშქრობიდან...“	155
„ვით ჩაღვადრები ტრიალ ტრამალზე...“	156
„რატომ უნდა ვიწუწუნო...“	157
„მზადაა! უკვე ავუშვით აფრა...“	158
„შემოდგომაზე თუნდ ერთი წვეთი...“	161
სანთლები იწვის, მუსიკა გრგვინავს...“	163
„ნეტავ, ვიცოდე, რა ჭირად ვხარჯავ...“	164
„სულ მესიზმრება: მთის ძირას მდგარი...“	165
ბელი	166
მუზა	167
დიდება	169

«Я не нездужаю, нівроку...»	170
Марку Вовчку	171
«Мій Боже милий, знову лихо!..»	172
«Колись дурною головою...»	173
«Якби-то ти, Богдане п'яний...»	174
Осії. Глава XIV (<i>Подражаніє</i>)	175
Гімн черничий	179
Н. Я. Макарову	180
«І Архімед, і Галілей...»	181
Л. («Поставлю хату і кімнату...»)	182
«Не нарікаю я на Бога...»	185
«Минули літа молодії...»	187
«І тут, і всюди — скрізь погано...»	189
«Якби з ким сісти хліба з'їсти...»	190
«І день іде, і ніч іде...»	191
Н. Т. («Великомученице кумо!..»)	192
«Зійшлись, побрались, поєднались...»	194
«Чи не покинуть нам, небого...»	195
«А поки те, та се, та оне...»	198
Примітки	201

„ჯერ კარგადა ვარ, მაღლობა გამჩენს...“	170
მარკო ვოვჩოკს	171
„უფალო ჩემო საყვარელო, კვლავ მწუხარება!..“	172
„როსმე ვფიქრობდი სულელი თავით...“	173
„მთვრალო ბოგდანო, ახლა აქედან...“	174
ოსიას თავი XIV (<i>მიბაძვა</i>)	175
მონაზვნების ჰიმნი...“	179
ნ. ი. მაკაროვს	180
„არც გალილეოს, არც არქიმედეს...“	181
ლ-ს („დავიდგამ ქოხს და დავიდგამ სენაკს...“)	182
„არ წამომცდება ღვთის საყვედური...“	185
„განველე სიჭაბუკის ზღვარი...“	187
„აქაც და ყველგან — სიგლახე სრული...“	189
„რომ მყავდეს ვინმე „ლუკმის გამყოფი...“	190
„დღე იცვლება ისევ საღამოთი...“	191
ნ. ტ.-ს („მრავალტანჯულო ნათლიდედაო!..“)	192
„შეეხვდით, შეეუღლდით, შეეკართ თავი...“	194
„დრო ხომ არ დადგა, თანამღმობელო...“	195
„სანამ მოყვებით ალთას და ბალთას...“	198
შენიშვნები	205



Художнє видання

Тарас Шевченко

Думи мої...

Вибрані поезії

Упорядкування, передмова та переклад
грузинською мовою Рауля Чілачави

Літературний редактор і коректор

українського тексту Т. Рубльова

Літературний редактор і коректор

грузинського тексту О. Мушкудіані

Художнє оформлення та редагування М. Нестеренка

Технічне редагування та комп'ютерна верстка І. Селезньової

За виготовлення оригінал-макету висловлюємо щиро вдячність ДП «Державне спеціалізоване видавництво художньої літератури “Дніпро”».

მხატვრული გამოცემა

ტარას შევჩენკო

ფიქრნო ჩემნო...

რჩეული ლექსები

შეადგინა, უკრაინულიდან თარგმნა და
წინასიტყვაობა დაურთო რაულ ჩილაჩავამ

უკრაინული ტექსტის ლიტერატურული რედაქტორი
და კორექტორი ტ. რუბლიოვა

ქართული ტექსტის ლიტერატურული რედაქტორი
და კორექტორი ა. მუშკუდიანი

მხატვრული გაფორმება და რედაქცია მ. ნესტერენკო
ტექნიკური რედაქცია და კომპიუტერული
დაკაბადონება ი. სელეზნიოვა

ორიგინალ-მაკეტის მომზადებისთვის გულითად მადლობას
მოვახსენებთ სახელმწიფო საწარმო „მხატვრული ლიტერატურის
სახელმწიფო სპეციალიზებულ გამომცემლობა „დნიპროს“.



ISBN 978-9941-9802-9-9



9 789941 980299